საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—59
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- — გერმანიის მთავრობა პლებისციტის საკითხში გოგენცოლერნების დინასტიას უჭერს მხარს.
- — პლებისციტის წინ, გერმანიის ყველა პარტიები გაფაციცებით ემზადებიან.
- — ბრაზილიის საზოგადოებრივი აზრი იწონებს ბრაზილიის გასვლას ერთა ლიგიდან.
- — ფინეთის სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებას.
- — ჩან-ძო-ლინს და უ-პეი-ფუს შორის მოხდა შეთანხმება.
- — ამერიკაში ძლიერდება კამპანია საბჭოთა კავშირთან საქმიან ურთიერთობის დაჭერის სასარგებლოთ.
- — მანჯურიაში დიდი გვალვაა. მოსალოდნელია მოსავლის მთლად დაღუპვა.

შაბათი, 19 ივნისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 138 (1593)

ჩვენი სასკოლო პოლიტიკა

(ცეკას რეზოლიუციის გამო)

ქვეყნის მეურნეობის განვითარება, სოციალისტური მშენებლობის წარმატება მჭიდროდაა დაკავშირებული ამისათვის საჭირო მუშაკების მომზადებასთან.

ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ გლეხობის მასსა მოკლებულია სათანადო სასოფლო-სამეურნეო ცოდნას, რის გამო მას არ ძალუძს მიწის წიაღიდან ამოიღოს შედარებით იოლი შრომით და ნაკლები ხარჯების გაწევით ის სიმდიდრე, რომლის მოცემა მას შეუძლია, გლეხობას არ გააჩნია ცოდნა და გამოცდილება, რომ ბუნების ძალები, ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მაქსიმალურად გამოიყენოს თავის სასარგებლოდ.

საქალაქო მრეწველობაშიც ჩვენ განვიცდით კვალიფიციურ მუშა-ხელის სიმცირეს. ვინც ეხლა დაბანდებულია წარმოებაში, მათი უმეტესი ნაწილი ჩვეულებრივ „შავი მუშების“ კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს, თუ მათ ევროპა-ამერიკის დახელოვნებულ მუშის საზომით მიუდგებით. ხოლო თუ ჩვენ ავიღებთ ჩვენს შრომის ბირჟებში აღრიცხულ უმუშევრებს, მათი 90 პროცენტი მაინც მოკლებულია რაიმე კვალიფიკაციას.

მომზადებულ მუშაკების სიმცირე აშკარად ეტყობა აგრეთვე ჩვენს სახელმწიფო აპარატს, სამეურნეო და საზოგადოებრივ დაწესებულება - ორგანიზაციებს.

ასეთ პირობებში, ვიმეორებთ, მშენებლობის სხვადასხვა დარგის მუშაკების საკმაო კადრის მომზადების საკითხი წამოჭრილია ჩვენს წინაშე, როგორც უდიდესი მნიშვნელობის სადღეისო, გადაუდებელი ამოცანა. მის გადაუჭრელად ჩვენი წინსვლა მეტად შეფერხდება.

ვინ უნდა მოგვცეს ასეთი მუშაკები? —რა თქმა უნდა, ჩვენმა სკოლამ. მაგრამ გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ამ დანიშნულებას დღემდე ვერ ასრულებს. მეექვსე წელიწადია, რაც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ვერ მოვახერხეთ სწავლა-განათლების საფუძვლიანი რეორგანიზაცია ჩვენი მიზნების და ახალი ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით. სკოლა თითქო ინერციით განაგრძობს ძველი, მოლიპული გზით სვლას.

ხოლო რას წარმოადგენდა ძველი სკოლა, ეს ყველამ ვიცით. აქ ჩვენ არ ვლაპარაკობთ მის პოლიტიკურ შინაარსზე, რომელიც ბოლო წლებში საერთოდ განდევნილ იქნა იქედან და სამაგიეროდ გაბატონდა მშრომელთა იდეოლოგია. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ წინანდელი სწავლა-განათლების სისტემა მოწყვეტილი იყო ცხოვრებას, წარმოებას; ის არ იძლეოდა პრაქტიკულ აღმშენებლობისათვის გამოსადეგ, ტეხნიკური ცოდნით აღჭურვილ პირებს; ის უმეტესად მოხელეებს, ბიუროკრატებს უშვებდა.

ამის შედეგს ჩვენ ეხლა მწვავედ განვიცდით, ძველი სკოლიდან გამოსული ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი სრულებით მოუმზადებელი გამოდგა დღევანდელი აღმშენებლობისათვის. და ეს საზიანო იყო და არის არა მარტო სამეურნეო მშენებლობის თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკურადაც; უკვალიფიკაციო ინტელიგენცია, რომლის ჩაბმა მშენებლობაში ვერ ხერხდება, რომელიც სამუშაოს ვერ შოულობს, სხვათა შორის, ამიტომაც მტრულადაა განწყობილი მუშურ წყობილებისადმი; ასეთი თავისი განწყობილება მას სურს „გაამართლოს“ „მაღალი პოლიტიკით“ და არა თავისი უცოდინარობით და გამოუსადეგრობით.

ეხლანდელი სკოლაც ყოველ წელს მრავალ ათასობით უშვებს დღევანდელი ცხოვრებისათვის მოუმზადებელ და უმწეო ახალგაზრდობას; ჰუმანიტარული სკოლა ერთ-ერთი მთავარი წყაროა უმუშევართა არმიის.

ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია. ჩვენს წინაშე დასმულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა. იქმნება და ვითარდება მრეწველობა. ხდება სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაცია. საბჭოთა სკოლამ უნდა მოგვცეს ამისათვის საჭირო მუშაკთა კადრი. სოფელი უნდა მოვეფინოთ გლეხური ახალგაზრდობის სკოლებით. ეხლანდელი შვიდწლედები უნდა გადავაკეთოთ სასოფ.-სამეურნეო სკოლებად; აქედან უნდა გამოდიოდეს ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც შესძლებს სასოფლო მეურნეობაში მუშაობას, მასში გაუმჯობესების შეტანას.

ასევე ითქმის ქალაქების სკოლებზე, რომელნიც უნდა გადაკეთდენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებად. მათ უნდა მოგვცენ დახელოვნებული, მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის გამოსადეგი მუშური ახალგაზრდობა.

ამავე დროს საბჭოთა სკოლამ უნდა მოამზადოს პროფესიული მუშაკები ადმინისტრატიულ - საბჭოთა აპარატისა, კოოპერაციისა და სხვა ორგანოებისათვის; ამ მხრივ უნდა იქნას გამომუშავებული კონკრეტიული გეგმა ჩვენი სახელმწიფოს მოთხოვნებთან შეფარდებით.

სასოფლო - სამეურნეო, საფაბრიკო-საქარხნო და პროფტეხნიკური სკოლები,—აი რა გვესაჭიროება ჩვენ. ამ მიმართულებით უკვე აღებულია მტკიცე გეზი. ამას მოწმობს ცეკას პლენუმის რეზოლიუცია, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში. ცეკას პლენუმის დირექტივების განხორციელებას უნდა შევუდგეთ ამ თავითვე და ნაწილობრივ უნდა გავატაროთ ისინი მომავალ სამოსწავლო წელში და შემდეგში თანდათანობით, ძალთა და საშუალებათა მიხედვით, ბოლომდე მტკიცეთ მივიყვანოთ სწავლა-განათლების მთელი სისტემის დასახული რეორგანიზაციის საქმე. ამას დაჟინებით მოითხოვენ სოციალისტური მშენებლობის ინტერესები.

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობისათვის

19 ივნისს მოწვეულია ქ. ლილში საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა. პარტიამ უნდა განიხილოს თავისი წარსული მუშაობა და შეიმუშაოს მომავალი მოქმედების ხაზი.

ჩვენი პარტია ახალგაზრდაა, მისი შემადგენლობის დიდს ნაწილს ახალგაზრდები წარმოადგენენ. გარდა ამისა ის აშკარად ყოველივე კავშირს სწყვეტს გაცვეთილ ცრუმორწმუნეობასთან, გაბატონებული კლასის მიერ შექმნილ იდეებთან; ბოლოს ის ბრძოლას აწარმოებს ყველგან, ქარხანაში, ქუჩაზე, პრესაში, კრებებზე. ყველა ამ მიზეზების გამო მის წინააღმდეგ შექმნილია ერთსულოვანი ბურჟუაზიული ფრონტი.

ჩვენს პარტიას უწინასწარმეტყველებენ ხოლმე, რომ ის სიკვდილის წინ სდგას, ის გამოხრულია შინაგანი წინააღმდეგობებით, ის ჩქარა დაინგრევა, რომ ის ნამდვილად არც კი არსებობს.

ნამდვილად კი ის დღეს უფრო ღონიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა, თავს უფრო ჯანსაღათ გრძნობს, ვიდრე ოდესმე უგრძვნია. ამ პარტიაში სერიოზულად ნაყოფიერად მუშაობენ. ბევრი გრძნობს, რომ ჩქარა, როცა სათანადო პირობები შეიქმნება, ეს პარტია მოწოდებული იქნება უპირველესი როლი შეასრულოს საფრანგეთსა და მსოფლიოში.

საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ იცის, რომ ის სწორს გზას ადგია. ლილში ერთხელ კიდევ გამოჩნდება რამდენად გაძლიერდა და მომწიფდა მისი მატერიალური და ზნეობრივი ერთობა. მაშინ, როცა სხვა პარტიები იხრწნებიან, ის ერთად ერთია, რომელიც მტკიცედ და შეუბღალავად სდგას, მიტომ რომ მხოლოდ მან აუღო ალღო თანამედროვე მოვლენებს. კლასთა შეჯახებაში, რომელიც თანდათან მწვავდება, მას მაღლა უჭირავს პროლეტარული დროშა და ყოველი მისი აქტი, მთელი მისი ტაქტიკა ამ დროშის გამართლებაა. ის ერთგულად გამოჰხატავს პროლეტარიატის მისწრაფებებს და იმ მებრძოლ რაზმების გარდა, რომელიც მის საკუთარ არმიას შეადგენენ, ის იზიდავს თავის რიგებისაკენ თანამგრძნობთა ფართო მასსებს, რომელნიც აფასებენ მის პირდაპირობას და ამხნევებენ მას ერთხელ აღებული გეზის დაცვაში.

საერთაშორისო მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენი პარტიის ყრილობა იხსნება, კიდევ უფრო განამტკიცებს მის ზრახვებსა და მოქმედებას. ჩვენი პარტია რევოლიუციონერი პარტიაა! ის ყოველი ღონისძიებით სცდილობს ჩააგონოს მშრომელთა მასსებს, რომ მოემზადონ, არა მარტო სიტყვების გაზეპირებით, არამედ გულის სიღრმითაც იმ მოვლენების შესახვედრათ, რომელსაც ჩვენს თვალწინ ევროპიული კაპიტალიზმის აშკარა გახრწნა გვიახლოვებს. დაცინვისა და ლანძღვა-გინების მიუხედავათ პარტია განაგრძობს თავის გზას და არც გადაუხვევს მას, რა რიგ დიდი საფრთხეც კი უნდა გადაელახოს წინ.

ყველაზე უფრო საყვედური, რომელსაც კომუნიზმის მოწინააღმდეგეები გვირდგენენ, ის არის, რომ თითქო ჩვენ არაფერი გაგვეგებოდეს სინამდვილისა და მოკლებულნი ვიყოთ ცხოვრების გამოცდილებას. განსაკუთრებით სოციალისტები დაგვცინიან იმის გამო, რომ კაპიტალისტური რეჟიმის მომავალ დამხობას ვწინასწარმეტყველობთ.

მაგრამ თვალი მოვავლოთ ძველ კაპიტალისტურ ევროპას, რომელიც რვა წლის შემდეგ დიდი ომის დამთავრების დღიდან მაინც იმდენად უილაჯოა, რომ წონასწორობაც ვერ აღუდგენია. ბურჟუაზიული გაზეთი „ტან“ გვაუწყებდა ამას წინად, რომ „სტაბილიზაციაქმნილ“ გერმანიაში ორმილიონ ნახევარი სული უმუშავარი ირიცხება, ხოლო ცხოვრების გაძვირებამ ზღაპრულ დონეს მიაღწია. ბურჟუაზიულ ინგლისშიც მილიონზე მეტი უმუშევარი ითვლება ამ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში; ხოლო ამ დღეებში ის იმდენად შეარყია უზარმაზარმა სოციალურმა ქარტეხილმა, რომ თუ მუშათა კლასის რეფორმისტ-ბელადებს უმაგალითო მოღალატეობა არ ჩაედინათ, დღეს ბურჟუაზიული ინგლისი მიწაზე იქნებოდა განარცხული. გაიხსენეთ პოლონეთი, გაიხსენეთ აგრეთვე ბალკანეთის ქვეყნები, საბერძნეთი და პორტუგალია. რევოლიუციამ პერმანენტული ხასიათი მიიღო, ყველგან შეიარაღებული აჯანყებები ხდება; ყველგან გამეფებულია უკიდურესი უიმედობის, მოუსვენრობის, მერყეობის გრძნობა. საფრანგეთში ფინანსების მდგომარეობა გაუკურნებელია, თუმცა ყველა ჯურის არამზადები მის აღმდგენლების როლს კისრულობენ.

ასეთია თანამედროვე მდგომარეობა თანამედროვე ბურჟუაზიულ ევროპაში. ის ისე მძიმედ არის დაავადებული, რომ ვერც ერთი მკურნალი ვერ გაჰკურნავს. მას კიდევ მით უდგია სული, რომ მუშათა კლასის ორგანიზაცია ჯერ სუსტია, მეორე ინტერნაციონალი და მისი სექციები მას ხელს უშლიან, რომ ენერგიულად იმოქმედოს, ის გათიშულია და ნათლად წარმოდგენილი არა აქვს თავისი ძალღონე და მტრის უილაჯობა.

აი რა უნდა გამოარკვიოს ლილის ყრილობამ საფრანგეთის პროლეტარიატის წინაშე. ამ ჭეშმარიტების სინათლეზე მან თავისი ტაქტიკა უნდა შეიმუშაოს, პარტიის გასაძლიერებელი საშუალება გამოძებნოს, პროფკავშირები გააძლიეროს, მათი კლასობრივი მოქმედება გააერთიანოს და პოლიტიკური ბრძოლის იდეებით გაიმსჭვალოს. ამას გარდა მას მოუხდება სწორი პოლიტიკური ხაზი შეიმუშაოს, რათა იმ დაჩაგრული და გაღატაკებული საშუალო კლასების თანაგრძნობა მოიპოვოს, რომელნიც დღეს კომუნიზმს წინანდებურად აღარ უყურებენ.

მარსელ კაშენ.

„ლიუმანიტე“.

მოსკოვის მუშების დემონსტრაცია ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ

თემთა პალატა საბჭოთა პროფკავშირების ფულების შესახებ

ინგლისის კომპარტიის წინადადება გაფიცულთათვის მხარის დაჭერის შესახებ

„ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტა საბედისწეროა ინგლისისათვის“

მოსკოვის პროლეტარიატის დემონსტრაცია

მოსკოვი, 18 ივნისი. დაწვრილებითი ცნობები 17 ივნისს მომხდარ მოსკოვის პროლეტარიატის დემონსტრაციის შესახებ ასეთია:

ინგლისის მთავრობის მემორანდუმის შესახებ ცნობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მოსკოვის პროლეტარიატში. 17 ივნისს, სამუშაოს დასასრულს საერთო აღშფოთება გამოიხატა მფრინავ მიტინგებში, რომლებიც შესდგა მოსკოვის თითქმის ყველა ქარხნებსა და ფაბრიკებში.

მიტინგის დასასრულს მუშები დამწკრივებული რიგებით გაემართენ ქალაქის ცენტრისაკენ, რომ გამოეთქვათ თავისი პროტესტი ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ. **საღამოს 5 საათზე საბჭოთა მოედნის მიმართულებით მდებარე ქუჩები, გაჭედილი იყო მუშებით, მუშა-ქალებით, მოსამსახურეებით და მოსწავლეებით.** მოსკოვის საბჭოს შენობასთან დემონსტრანტების დაუსრულებელი რიგები იყო გაშლილი. გაშლილი იყო წითელი დროშები, რომელზედაც ნათლად იყო აღბეჭდილი ლოზუნგები: „ხელები შორს საბჭოთა კავშირის პროფსაბჭოსაგან“. ჩვენ ვერ მოვითმენთ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევას!“ „არავითარი დათმობა ინგლისის მთავრობას,—ასეთია საბჭოთა კავშირის მუშათა სურვილი!“

მოსკოვის საბჭოს აივანზე მოსკოვის მუშებს შეხვდენ ამხ. **მელნიჩანსკი, ლოზოვსკი, უხანოვი, კოტოვი** და სხვები. გაიმართა მფრინავი მიტინგი, რომელზედაც მრავალი ათასი ხალხი დაესწრო.

მიტინგზე გამოსულმა ამხ. **ლოზოვსკიმ** სთქვა:

„ჩემბერლენის უკანასკნელი ნოტა თუმცა ნაკლებ მუსიკალურია, ვიდრე კერზონის ნოტა, მაგრამ მათ ორივეს ერთი და იგივე დანიშნულება აქვთ: ესაა ცდა ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევისა. ინგლისის ბურჟუაზიის და მისი ბელადების—ხიქსების, ჩემბერლენების და ბალდუინების ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევის ცდაზე, რუსეთის პროლეტარიატი უპასუხებს ისევე, როგორც სამოქალაქო ომის პერიოდში უპასუხა. შორს ინგლისის ბურჟუაზიის ბინძური ხელები ჩვენი პროფკავშირებისაგან. ჩვენ ვეხმარებოდით, ვეხმარებით და მოვეხმარებით გაფიცულ მუშებს თუ გინდ ბრაზისაგან გასკდენ კაპიტალისტები“.

შემდეგ მოსკოვის პროფსაბჭოთა პრეზიდიუმის სახელით დემონსტრანტებს მიმართა ამხ. **დროჟკინმა.**

„ბატონ ჩემბერლენების და ბალდუინების ახალი გამოსვლების საპასუხოდ,—ამბობს ამხ. დროჟკინი—ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ინგლისის სამთამადნო მუშებისადმი დახმარებას“.

სიტყვების დამთავრების შემდეგ ქალაქის ქუჩებში კვლავ დადიან მოსკოვის მშრომელთა ათი ათასობით დამწკრივებული რიგები.

ქალაქის შეხედულება კერზონის ნოტის დღეებს ჰგავდა. დროშებზე უფრო ხშირადაა მრავალისმეტყველი ლოზუნგი: **„ჩვენ ვეხმარებოდით, ვეხმარებით და მომავალშიაც დავეხმარებით!“**

ქუჩებში დემონსტრანტების მსვლელობა დაღამებამდის გაგრძელდა.

დაახლოებითის გამოანგარიშებით, **დემონსტრაციაზე მონაწილეობას იღებდა 300.000 კაცამდე.**

ინგლისის საელჩოსთან

მოსკოვი, 18 ივნისი. ინგლისის მთავრობის მემორანდუმის წინააღმდეგ მომხდარ დემონსტრაციის გამო, ვოროვსკის ქუჩას, სადაც იმყოფება ინგლისის საელჩო, ფეხოსან და ცხენოსან მილიციის გაძლიერებული რაზმები იცავდენ. ქუჩაზე ატარებდენ მხოლოდ ცალკე გამვლელებს. დემონსტრანტების ზოგიერთი ჯგუფებს უნდოდათ ინგლისის საელჩოში შესვლა, მაგრამ მილიციამ ისინი არ გაუშვა.

ასეთივე ცდები განმეორდენ დემონსტრაციის დასასრულამდე.

ლორდთა პალატაში

ლონდონი, 18 ივნისი. ლორდი ბალფური განმარტებით გამოვიდა ლორდთა პალატაში საბჭოთა პროფკავშირების მიერ ინგლისის სამთო-მადნო მუშებისადმი დახმარების შესახებ. უპასუხებდა რა ლორდ ნიუტონს, რომელმაც განაცხადა, რომ ამ ფულების გამოგზავნა ინგლისის შინაურ საქმეებში ცხად ჩარევას წარმოადგენს, ბალფურმა დაახასიათა საბჭოთა მთავრობა, როგორც მსხვილ დაწესებულებათა რიცხვის კომპლექსი, რომელიც ბოლოს და ბოლოს ერთ პარტიას წარმოადგენს. რუსეთში ერთად-ერთი ლეგალური პარტია არსებობს. ყველა მომქმედ ორგანიზაციებს ეს ცენტრალური პარტია ხელმძღვანელობს, მაგრამ როცა საჭიროდ ხდება ბოდიშის მოხდა, მაშინ ეს ორგანიზაციები თავის მრავალრიცხოვან შემადგენელ ერთეულებად ნაწილდებიან.

ფაქტი ნათელია, რომ როცა საქმე გვაქვს ამ სხვა და სხვაგვარ ერთეულებთან, რა სახელებითაც არ უნდა იყვნენ ისინი ცნობილნი, ჩვენს წინაშე სდგას უაღრესად კარგად მოწყობილ და ცენტრალიზაცია-ქმნილი ერთეული, რომელიც დაჟინებით სცდილობს ერთი მუდმივი და მის მიერ აღიარებული პოლიტიკის განხორციელებას.

ამგვარად, ეს ერთად-ერთი შეურყეველი და დაუნდობელი ორგანიზაცია არის ნომინალურ ხელისუფლების მოქმედებათა სულის ჩამდგმელი. რუსეთს აქვს განუსაზღვრელი უფლება მართოს თავისი საქმეები საკუთარი კანონებით.

მაგრამ ინგლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში სცნობს, რომ შეეხენ მის ინტერესებს, როცა ეს რუსეთის მიერ მიღებული მმართველობის ფორმა, აშკარადაა გამოყენებული ისეთი მიზნებისათვის, რომლებიც მისი ტერიტორიის ფარგლებისაგან ძალიან მოშორებით მდებარეობენ. საბჭოთა სისტემის რაობა იმაშია, რომ იგი თავისი საკუთარი საზღვრების იქით მიდის. საბჭოთა მთავრობა იკვეხის, რომ იგი მისწრაფის მსოფლიო რევოლიუციისაკენ და ამას წინად მან კომპლიმენტი გვიძღვნა, განაცხადა, რომ ინგლისი ერთ დიდ დაბრკოლებათაგანს წარმოადგენს მსოფლიო რევოლიუციის გზაზე.

საბჭოთა მთავრობა ინგლისს სთვლის, როგორც ნამდვილ ციტადელს იმ სისტემისა, რომლის დანგრევა მას თავის მოვალეობად მიაჩნია.

ზოგიერთმა საბჭოთა ორგანიზაციებმა გაგზავნეს ფული ინგლისში სამთო-მადნო მუშების დასახმარებლად და საბჭოთა მთავრობამ გაუადვილა ამ ფულის გადაგზავნა.

ბალფურმა ეჭვი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირიდან გამოგზავნილ ფულს თვითონ მუშები აგროვებდენ. ბალფურს ეჭვი შეაქვს იმაში, რომ ეს ფულები ნამდვილად უშუალოდ მუშების მიერ იყოს შეგროვებული, რომლებიც საშუალოდ იღებენ არა უმეტეს 12 შილინგისა კვირაში, იმ მუშების დასახმარებლად, რომლებიც ინგლისში იღებენ 45-დან 75 შილინგამდე.

ირკვევა, რომ უკანასკნელი ამბებით ინგლისში მოახდინეს ცდა ბრიტანეთის მუშათა საარსებო დონეს შესამცირებლად. რატომ არ გამოიყენა საბჭოთა მთავრობამ ეს ძღვენი იმისათვის, რომ საბჭოთა რუსეთის მუშათა საარსებო მინიმუმის დონე აეწია?!

ბალფური ეჭვს გამოსთქვამს იმაზე, რომ 400.000 გ. სტერლინგის შეგროვება ასეთი მოკლე დროის განმავლობაში იყოს შესაძლებელი და მისი აზრით, ერთად ერთი სწორი აზრია ის, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი საბჭოთა მთავრობას ეკუთვნის. თუმცა გამოცხადებული მიზანია—გაფიცვისათვის დახმარება, მაგრამ ნამდვილი მიზანია—ინგლისში რევოლიუციის გამოწვევა.

საბჭოთა მთავრობა თავს არ იწუხებს იმის გამოსარკვევად, კანონიერია ეს მოძრაობა თუ არა. იგი მოძრაობის ამ ორ ფორმას უყურებს ისე, როგორც იარაღს, ერთიდაიგივე მიზნის მისაღწევად: სახელდობრ, ბრიტანეთის მრეწველობის დასანგრევად.

შემდეგ ბალფურმა სთქვა, რომ იგი ამჟამად არა ხედავს არავითარ სარგებლობას საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის შეწყვეტაში.

კარგი იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობა განგვეახლებინა, როგორც მოიქცა ამერიკა. მაგრამ ეხლა, იმის შემდეგ, რაც ჩვენ განვაახლეთ სავაჭრო ურთიერთობა, აღარ ღირს მისი კვლავ შეწყვეტა. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტა გამოიწვევს ისეთ უწესრიგობას, რომელიც ინგლისისა და საბჭოთა კავშირის საზღვრებს იქით გავრცელდება.

ბალფურის აზრით, უცხოეთის სახელმწიფოთა პროლეტარიატის დახმარება, მთლიანად აღებული, ვერ იქონიებს გავლენას სამთამადნო მუშების გაფიცვის მიმდინარეობაზე. საზღვარგარეთიდან მიღებული ფული უნდა განაწილდეს, როგორც აღნიშნავენ, სამთამადნო მუშების ოჯახებს შორის. მაგრამ თვითონ ინგლისი გაცილებით მეტ თანხას აწვდის ამავე მიზნით საზოგადოებრივ ფონდებიდან, რომელთან შედარებით საბჭოთა კავშირიდან მოსული დახმარება უმნიშვნელო თანხას წარმოადგენს.

ბალფური დარწმუნებულია იმაში, რომ სამთომადნო მუშების უმრავლესობა საშინლად შეშფოთდებოდა, რომ მათ შეეძლოთ წარმოიდგინონ, რომ გაფიცვის შედეგებით მათი მდგომარეობა რუს მუშების ცხოვრების დონემდე დაეცემა.

მემაღაროების უმრავლესობა ყოველგვარი რევოლიუციონური მეთოდების წინააღმდეგია.

დასკვნაში ბალფური აცხადებს, რომ იგი მომხრეა იმისა, რომ დარჩეს არსებული მდგომარეობა და ამასთან ერთად ინგლისის მთავრობამ უნდა აგრძნობინოს, რომ იგი არ მოტყუვდება საბჭოთა პოლიტიკით.

მთავრობა, სთქვა ბალფურმა დარწმუნებით, ერს ემყარება და მას სრულიად არ ეშინიან რომელიმე სახელმწიფოს ინტრიგებისა.

კომპარტიის მოთხოვნილება

ლონდონი, 17 ივნისი. კომპარტიის ორგანო „უორკერ უიკლი“ მოწინავე წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროფკავშირების აღმასკომთა კონფერენციამ, რომელიც 25 ივნისს გაიმართება, აუცილებლად უნდა აკრძალოს ნახშირის დატვირთვა-გადმოტვირთვა.

შემდეგ გაზეთი აცხადებს, რომ ბრძოლის ხელმძღვანელობის ისევ გენერალური საბჭოს ხელში დატოვება,—ეს აუცილებლად დამარცხებამდე დათანხმებას ნიშნავს. გაზეთი მოითხოვს, რომ კონფერენციამ კომისია ისეთი ხალხისაგან შეადგინოს, რომელთაც სურთ ბრძოლა.

„ხელები შორს საბჭოთა პროფკავშირებისაგან“

(„პრავდას“ მოწინავე)

სულ უფრო და უფრო ფართოვდება საბჭოთა კავშირის მშრომელთა პროტესტი ინგლისის მთავრობის თავხედური ნოტის წინააღმდეგ. მოსკოვის მუშების აღშფოთება ინგლისის ნოტით იქამდე მივიდა, რომ ისინი გუშინ სტიქიურად გამოვიდენ ქუჩაში და მრავალრიცხოვანი მწყობრი რიგებით დემონსტრაცია მოახდინეს და გამოააშკარავეს თავისი პროტესტი ბრიტანეთის დიპლომატიის გამოლაშქრების წინააღმდეგ.

მოსკოვის, ისე როგორც მთელი კავშირის, მშრომელებმა იმ თავითვე გაიგეს ინგლისის ნოტის არსებითი აზრი. ჩვენი ქვეყნის მშრომელები უკვე იცნობენ ინგლისის დიპლომატების ზნე-ჩვეულებებს. ინგლისის ნოტაში მათ შესძლეს შეემჩნიათ ინგლისის მებრძოლი იმპერიალიზმის ბასრი ბრჭყალები, რომელიც დაფარული იყო ნაფიცი დიპლომატიური „თავაზიანობის“ ხავერდოვან სამოსით.

ინგლისის კონსერვატორების ცდა, ისე „რბილად“ გაშალონ ლოგინი, რომ ბოლოს და ბოლოს ძალიან უხერხულად და მოუსვენრად იძინონ საბჭოთა მუშებმა, უკვე ცხადია მთელი საბჭოთა კავშირის შეგნებულ მშრომელთათვის.

ინგლისის ნოტა—ეს ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევის აშკარა ცდაა. ინგლისის ნოტა ნიშნავს, რომ რეაქციონურმა ლორდებმა განიზრახეს ასწავლონ საბჭოთა მთავრობას პროფკავშირებისადმი „კარგად“ (კარგი—ინგლისის ბურჟუაზიის თვალსაზრისით) მოპყრობა. საბჭოთა პროფკავშირების დახმარება ინგლისის პროლეტარიატისადმი, დახმარება, რომელიც აღკრძალული არაა საერთაშორისო უფლების არსებული ნორმებით, ინგლისის იმპერიალისტებმა გახადეს იმის საბაბათ, რომ სახიფათო თამაში დაეწყოთ ჩვენს წინააღმდეგ.

ინგლისის ნოტის დაფარული მოტივების გამოაშკარავება არაა ძნელი. საერთაშორისო ბურჟუაზია ხედავს, [illegible] ინგლისის კაპიტალი კი პირველ რიგში ხედავს, თუ როგორ იზრდება მტკიცდება სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი. საერთაშორისო კაპიტალი რწმუნდება, რომ ჩვენი ზრდა მიდის წინ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ განვიცადეთ პარტიულ დისკუსიის მძიმე ციებ-ცხელება.

ჩვენი მტრების იმედი, სამეურნეო დაბრკოლებათა ზრდაზე დამყარებული, უკვე გაცრუებულია. ჩვენ დავიწყეთ ეკონომიურ დაბრკოლებათა გადალახვა. მაგრამ ჩვენი განუწყვეტელი ზრდისა და ჩვენი პროლეტარიატის განმტკიცების ფაქტი ნიშნავს იმას, რომ იზრდება მის მხრივ საერთაშორისო პროლეტარიატისადმი დახმარების შესაძლებლობა. კაპიტალისტთა კლასის რეაქციონურ ლიდერებს აბრაზებს ის გარემოება, რომ რევოლიუციის მეცხრე წელში საბჭოთა პროლეტარიატი ისე გაიზარდა, რომ შეუძლია სერიოზული ნივთიერი დახმარება მისცეს ინგლისის მებრძოლ მემაღაროებს.

ამის შედეგად ინგლისის ბურჟუაზიამ დიპლომატიური გამოლაშქრება მოახდინა ჩვენს წინააღმდეგ. ამ გამოლაშქრებას იგი იწყებს „პრევენტიულად“, ე. ი. წინასწარი თავდასხმით საბჭოთა კავშირზე. ჩვენს წინააღმდეგ გამართულ კამპანიას საფუძვლად უძევს მიზანი —ჩვენი სამეურნეო ზრდის შეფერხებისა. ინგლისის რეაქციას ეშინიან ჩვენი ზრდისა, ამიტომ დაიწყო მან ჩვენს წინააღმდეგ დაუშვებელი დიპლომატიური გამოლაშქრება. ამიტომ გვიდგენს იგი სრულიად დაუსაბუთებელ პრეტენზიებს.

კონსერვატიულ ბურჟუაზიას არაფერი ექნებოდა „მოშინაურებულ“ პროფკავშირების საწინააღმდეგო, ისეთ პროფკავშირების, რომელიც სასოებით სცემს თაყვანს კაპიტალიზმის ყველა კერპებს. კონსერვატიულ ბურჟუაზიას არაფერი აქვს იმის წინააღმდეგ, რომ პროფკავშირებმა კაპიტალისტურ სახელმწიფოს დანართის როლი ითამაშონ, მაგრამ კონსერვატიულ ბურჟუაზიას ეზიზღება ისეთი პროფკავშირები, რომლებიც კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე სდგანან.

კონსერვატიული ბურჟუაზია სრულიად არა სცნობს პროფკავშირთა როლს პროლეტარულ სახელმწიფოში. იმის გამო, რომ პროლეტარულ დიქტატურის სახელმწიფოში პროფკავშირებს აქვთ სრული თავისუფლება პროლეტარულ სოლიდარობის გამოსამჟღავნებლად, კონსერვატიული ბურჟუაზია მზადაა „სამღვთო ომი“ გამოუცხადოს მათ და ფეხქვეშ გასთელოს ამისათვის ყოველგვარი ლოღიკა, საერთაშორისო ურთიერთობის ყოველგვარი ნორმები.

გენერალურ საბჭოს კაპიტულიაციის შემდეგ ინგლისის რეაქციონერები თავხედურ ცდას ახდენენ „მოაჭკვიანონ“ საბჭოთა პროფკავშირები და წაართვან მათ თავისი უფლებები.

მაგრამ იმიტომ არ ჩაუგდიათ ხელში ძალაუფლება ჩვენი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს, რომ რევოლიუციის მეცხრე წელზე მორჩილად გაუგონონ „შუბლშაგარ“ კონსერვატორების გადმოძახებებს.

იმიტომ არ მყარდება სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში, რომ პროლეტარულმა ხელისუფლებამ ბრიტანეთის მაღაროს მეპატრონეთა დღეგრძელობისათვის ძალდატანება იხმაროს პროფკავშირთა წინააღმდეგ. ბრიტანეთის დიპლომატია ძალიან შორს იწვდის თავის ხელებს. ვერც ერთი კაპიტალისტური სახელმწიფო ვერ გაჰბედავს შესცვალოს პროფკავშირების და სახელმწიფო ხელისუფლების შორის არსებული ურთიერთობა პროლეტარულ სახელმწიფოში.

ხელები შორს საბჭოთა პროფკავშირებისაგან. ესაა ხმა საბჭოთა კავშირის რვა მილიონი პროლეტარიატისა. კარგად გაიგონონ ეს ყალყზე შემდგარმა ინგლისის ლორდებმა.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 18 ივნისი.

მასწავლებელთა საზაფხულო კურსებისათვის

ახლო მომავალში დაიწყებს მუშაობას მასწავლებელთა საზაფხულო კურსები.

სახალხო განათლების კომისარიატს განზრახული აქვს გახსნას ასეთი კურსები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

სამწუხაროდ, ობიექტიური მიზეზების გამო, რომელთა შორის არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს მატერიალური რესურსების სიმცირეს, ხსენებულ კურსებს არ ექნება მასიური ხასიათი და მხოლოდ რჩეულნი გამოიყენებენ მას.

საზაფხულო კურსების პროგრამები უკვე დამზადებულია.

ჩვენი ორგანიზაცია, განათლების მ. კავშირი უაღრესად დაინტერესებულია როგორც მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსებით, ისე მისი პროგრამის შინაარსით. სხვას რომ თავი დავანებოთ მარტო პროფცოდნის გავრცელებისათვის მასწავლებელთა გადასამზადებელმა კურსებმა უნდა ითამაშონ განსაკუთრებული [illegible] გვერდს კავშირი, რომელსაც დამკვრელ ამოცანად დაუსახავს პროფცოდნის გავრცელება განათლების მუშაკთა შორის.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ პროფუმეცრება ჩვენ ორგანიზაციაში დღესაც ზეიმობს თავის ჩვეულებრივ გამარჯვებას.

საშინელი გულგრილობა პროფკავშირისადმი და პროფმუშაობისადმი, სრული აპატია საკუთარ საკავშირო ორგანიზაციისადმი არის უაღრესად დამახასიათებელი თვისება ჩვენი ორგანიზაციის წევრის. ეს დიდი მჭერმეტყველური მნიშვნელობის ფაქტი, მოწმობს, რომ მშრომელ ინტელიგენტს არც ისე ემარჯვება ამაღლდეს თავის ინტერესების ღრმა შეგნებამდე, როგორც ეს ბევრს ჰგონია.

ცხადია, რომ პროფკავშირი ჩვენი ორგანიზაციის წევრს მიაჩნია გულის სიღრმეში საზოგადოებრივი ცხოვრების მეხუთე ბორბლად.

მეორე მხრით ცხადია, რომ გულგრილობას და აპატიას პროფკავშირისადმი განათლების მუშაკთა ზოგიერთ წრეებში რამოდენიმედ საფუძვლად უდევს გულგრილობა საბჭოთა თანადროულობისადმი.

რასაკვირველია მშრომელი ინტელიგენცია თავის მასაში ლოიალურად არის განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ,—ამ ინტელიგენციამ უკვე გაიარა იდეოლოგიური გარდატეხის პირველი ფაზა, მაგრამ შემცდარი იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ინტელიგენტს, რომელიც ანთებულია სოციალისტური შემოქმედების ექსტაზით, რომელსაც ღრმად შეცნობილი აქვს საბჭოთა ხელისუფლების მისია, და მისი ამოცანები საკუთარ თავის მიზნებათ მიაჩნია, თითქოს ასეთი მასწავლებელი იყოს ჩვენს ორგანიზაციაში, განათლების მუშაკთა კავშირში, ცენტრალური ფიგურა.

ახალგაზრდა მასწავლებლობა, რომელიც შეიკრიბება გადასამზადებელ კურსებზე საჭიროებს პოლიტიკურ საზოგადოებრივ აღზრდას. მას უნდა მიეცეს საშუალება შეიცნოს თანამედროვე პროფმოძრაობა, როგორც დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენა.

მასწავლებელი, რომელიც თავს ვერ დააღწევს ორგანიულ გულგრილობას პროფკავშირისადმი, რომელიც არ დაიტვირთება ანბანური პროფცოდნით, ვერას დროს ვერ ამაღლდება ახალი სკოლის ამოცანების შეგნებამდი და არ გამოდგება იმ სასკოლო საამშენებლო საქმისათვის, რომელსაც აწარმოებს სახ. განათლების კომისარიატი.

ახალი სკოლის პარტიზანებმა არ უნდა დაივიწყონ ეს მარტივი ჭეშმარიტება.

განათლების მუშაკთა კავშირს უნდა მიეცეს ფართე საშუალება გამოიყენოს საზაფხულო კურსები პროფცოდნის გავრცელებისათვის.

გ. კვიცარიძე.

ს ა ბ ჭ ო თ ა პ რ ე ს ა

საჭიროა საზოგადოებრივი მზრუნველობა

გლეხობისათვის გადაცემულ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოვლა-პატრონობა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. პირველყოვლისა საჭიროა ამის გარშემო სოფლის საზოგადოებრივი აზრის ამოძრავება, რაც ჯერ კიდევ ძალიან სუსტია ან ნამდვილად არც კი არსებობს. მაგ., ნორჩი ხის ტყვილა-უბრალოდ გადატეხვას და მოჭრას ტყეში გასეირნობის დროს თითქო თავის მოვალეობად თვლიან; ეს არ ითვლება დანაშაულად და სამარცხვინო მოქმედებად. როცა საზოგადოებრივ ტყეში ვინმე თვითნებურად ჩეხავს ხეებს და ამით სოფლის ქონებას ანიავებს, ეს იშვიათად იწვევს აღშფოთებას. ხანამ ასეთი დამოკიდებულება ტყისადმი ძირიან-ფესვიანად არ აღმოიფხვრება, სანამ ტყე არ გახდება ისეთ საზოგადოებრივ საკუთრებად, რომლის ბედისათვის პასუხისმგებლობას იგრძნობს ყოველი მშრომელი გლეხი, მანამ წარმატებით ბრძოლაზე ამ დარგში შეუძლებელია ლაპარაკი. ამავე დროს, ცხადია, რომ სოფლის თემის საბჭომ ტყეების განადგურების წინააღმდეგ და რაციონალური სატყეო მეურნეობის წარმოებისათვის უნდა მიიღოს გადაჭრილი ზომები. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობა ამ მხრივ ძალზე მოისუსტებს.

გაზ. „ბედნოტა“ ეხება ამ საკითხს და ამბობს: „გლეხური სატყეო მეურნეობის დაცვა და აღდგენა—აი სოფლის ყველა შეგნებული ელემენტების ერთი უმნიშვნელოვანესი საქმეთაგანი ამჟამად. თვით მოსახლეობამ, მისმა მოწინავე ნაწილმა, საერთო კრებების და სოფლის საბჭოების საშუალებით, „ტყის მეგობართა“ წრეების მოწყობით, უნდა იქონიოს ტყეზე მზრუნველობა.

აღრიცხვის გარეშე არავითარი მეურნეობის წარმოება არ შეიძლება. სასოფლო საბჭოებმა, პირველ რიგში თავისი სატყეო [illegible], უნდა დაწვრილებით აღრიცხონ დიდი საზოგადოებრივი კაპიტალი, როგორიცაა გლეხებისთვის გადაცემული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე. სამწუხაროდ, სასოფლო საბჭოებს დღემდე სძინავთ. მათ თავის ხელში არ [illegible], არც კი ცდილობენ აიღონ, სატყეო მეურნეობა. ბევრია განა ისეთი სასოფლო საბჭო, რომელთაც აქვთ მათ გამგეობაში არსებულ ტყის აღწერა. განა იციან მათ, თუ რამდენი, რანაირი ჯიშის და ჰასაკის ხეებია მათ საზოგადოებრივ ტყეში. მრავალ სასოფლო საბჭოს ცხვირწინ ათობით და ასობით ჩეხავენ ხეებს, ყრიან მათ ქუჩებში და ეზოებში, ან ეზოებიდან ქალაქში გასაყიდად, და აღშფოთების არც ერთი ხმა ტყის ქურდთა წინააღმდეგ!

.... სატყეო მეურნეობის საკითხების ხშირად დასმა საერთო კრებებზე განსახილველად, საერთო კრებების გადაწყვეტილებათა შესრულების ხშირად შემოწმება, გადაჭრილი ზომების მიღება, რათა ამ გადაწყვეტილებებს ყველა დაემორჩილოს, აი როგორ უნდა დავიწყოთ ბრძოლა სატყეო მეურნეობისათვის.

ტყის აღრიცხვა, მოჭრის გეგმა, დაცვა, სწორი განაწილება, ტყის აღორძინება—ეს ხუთი უმთავრესი ცნება უნდა გახდეს თვითეულ სასოფლო საბჭოს ყოველდღიურ საქმედ“.

ამნაირად, მტკიცე საზოგადოებრივი აზრის შექმნა, ერთი მხრივ, სათანადო ადგილობრივი ორგანოების სისტემატიური მზრუნველობა ტყის მოვლა-პატრონობაზე მეორე მხრივ—აი რა გვესაჭიროება ჩვენ: ამავე დროს გლეხობაში უნდა შევიტანოთ ცოდნა სატყეო მეურნეობის რაციონალურად დაყენების შესახებ. ეჭვი არა არის, რომ ტყის განადგურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი [illegible] ექსპლოატაციის უცოდინარობაა.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

დუმერგი პასუხს მოელის

პარიზი, 17 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ **ხვალ დილით ბრიანს საბოლოო გადაჭრილი ცნობა ექნება ერიოსა და პუანკარეს შესახებ და შუადღისას მისცემს პასუხს დუმერგს.**

რადიკალების პროგრამა

პარიზი, 17 ივნისი. რადიკალ-სოციალისტების კონფერენციამ დაადგინა შემდეგი პროგრამა წამოაყენოს ფინანსიურ პრობლემის გადასაწყვეტად: მტკიცე ოქროთი უზრუნველყოფილ ვალიუტის შექმნა; სახელმწიფოს მიერ მსხვილ წარმოებათა შექმნა; კაპიტალების აღწერა; გამდიდრებაზე გადასახადის შემოღება და ქონებაზე საგანგებო გადასახადის შემოღებისათვის მზადება.

ინგლისის პრესის აზრი

ლონდონი, 17 ივნისი. ჯერ-ჯერობით მხოლოდ „ტაიმსი“, „მორნინგ პოსტი“ და „დეილი კრონიკლი“ ეხებიან საფრანგეთის მთავრობის კრიზისს. „ტაიმსი“ და „მორნინგ პოსტი“ ცდილობენ თავის შეკავებას და აცხადებენ, რომ ინგლისს მხოლოდ ის აინტერესებს, რომ საფრანგეთმა განამტკიცოს თავისი ფინანსები.

საბჭოთა კავშირი და ამერიკა

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელობაში შემადგენლობის მომხდარი ცვლილებები დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ **ამერიკის საქმიანი წრეები თანდათან რწმუნდებიან საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთი-ერთობის განვითარების აუცილებლობაში.** უკანასკნელ დრომდე პალატის სათავეში იდგენ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი პირები და მათ შორის დროებითი მთავრობის ყოფილი ელჩი ბახმეტიევი. მათ დროს პალატა ანტისაბჭოთა პროპაგანდის ხარალს წარმოადგენდა. ამ ბოლო დროს პალატის ამერიკელ წევრების ნაწილმა გადასწყვიტა გამოეყენებია პალატა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთი-ერთობის განვითარებისათვის. ამ ჯგუფის ცდა გამარჯვებით დამთავრდა და წინანდელი გამგეობა გადადგა. პალატის თავმჯდომარეთ არჩეულია **რიშლეი,** „ჩეიზ ნეშენელის“ ბანკის ვიცე—პრეზიდენტი, მდივნათ კი **—ჩარლზ ხტონ სმიტი,** საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთი-ერთობის განვითარების მომხრე, საკავშირთაშორისო სარკინის-გზო კომისიის წევრი ციმბირში კოლჩაკის დროს. ის კონრადის პროცესზე ბრალდებულის მოწმეთ გამოდიოდა. პალატის გამგეობაში შედიან საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

პ ლ ე ბ ი ს ც ი ტ ი ს წ ი ნ

ტერორით

ბერლინი, 17 ივნისი. გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების აღმასკომმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების კონფისკაციის საკითხის კენჭის ყრის მოლოდინში, **მწარმოებლები ცდილობენ ტერორს ქვეშ დააყენონ მუშები,** სარგებლობენ რა მათი ეკონომიური მდგომარეობით. ასეთი შემთხვევა ხშირია განსაკუთრებით სოფლად, სადაც **მწარმოებლებს განზრახული აქვთ სპეციალურ „შავ სიებში“ შეიტანონ ის პირები, რომელნიც კენჭის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ.**

აღმასკომი მოუწოდებს ყველა მუშებს მიიღონ მონაწილეობა კენჭის ყრაში და თვალყური ადევნონ კენჭის ყრის პროცესს, განსაკუთრებით სოფლად.

მარქსის კაბინეტი

ბერლინი, 18 ივნისი. კანცლერმა მარქსმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ **გერმანიის მთავრობა არ სცნობს ყოფილ პრინცების ქონების კონფისკაციას.**

ეპისკოპოსებიც

ბერლინი, 18 ივნისი. ბერლინის ეპისკოპოსი მოაგონებს კათოლიკებს გერმანელ ეპისკოპოსების მოწოდებას, რომ არ დაუჭირონ მხარი ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების კონფისკაციის საკითხს.

უკანასკნელი დღეები

ბერლინი, 17 ივნისი. უკანასკნელ დღეებში საყოველთაო კენჭის ყრის მოლოდინში **ორივე მხარე გაცხოველებით მუშაობს.** ცენტრიდან პროვინციაში იგზავნება დიდძალი სააგიტაციო ლიტერატურა და პლაკატები, რომელიც მცხოვრებლებს შორის გავრცელდება პლებისციტის დროს და მის წინა დღეებში.

აუნაზღაურებლად კონფისკაციის მოწინააღმდეგეებს, რომელთაც ლებელის კომიტეტი მეთაურობს, დიდძალი საშუალება გააჩნიათ და ისინი არაჩვეულებრივ აგიტაციას უწევენ პლებისციტში მონაწილეობის წინააღმდეგ ნაციონალისტები უთვალავ მოწოდებებს და სააგიტაციო ფურცლებს ავრცელებენ. სააგიტაციო მასალა ვაგონობით იგზავნება პროვინციაში. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ლებელის კომიტეტმა კიდევ ორი მილიონი მარკა მიიღო. კომიტეტს განზრახული აქვს თვითეულ სამგზავრო მატარებელს სპეციალური სააგიტაციო ვაგონი მიაბას.

კათოლიკების პოზიცია

ბერლინი, 17 ივნისი. გერმანელი ეპისკოპოსები სცდილობენ თავისი ავტორიტეტით ხელი შეუშალონ ყოფილ საგვარეულო ქონების უფასოდ ჩამორთმევის სასარგებლოდ მოძრაობის ზრდას.

ბერლინის ეპისკოპოსმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აცხადებდა, რომ უფასოდ ჩამორთმევა ეწინააღმდეგება მორალს და ამას არც ერთმა კათოლიკმა არ უნდა მისცეს ხმა.

ე რ თ ა ლ ი გ ა შ ი

ვაშინგტონი, 17 ივნისი. სახელმწიფო დეპარტამენტი უარყოფს ჟენევიდან მიღებულ ცნობებს, თითქოს ამერიკის ელჩს რიო-დე-ჟანეიროში მიელოცოს ბრაზილიის პრეზიდენტისათვის ერთა ლიგიდან ბრაზილიის გამოსვლა. ოფიციალურ წრეებში უარყოფენ, თითქოს ბრაზილია ერთა ლიგიდან შეერთებული შტატების ზეგავლენით გამოსულიყოს.

ბრაზილიის პრესა საერთოდ იწონებს ბრაზილიის მთავრობის გადაწყვეტილებას. დეპუტატთა პალატის ოპოზიციის ბელადმა **პლინის კასადომ** განაცხადა:

„ბრაზილიის მონაწილეობა ერთა ლიგაში აუცილებლად ჩაითრევდა ბრაზილიას ევროპის დიპლომატიურ ინტრიგებში და შექმნიდა ჩვენთვის დიდ დაბრკოლებებს“.

პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ავგუსტო ლიმამ განაცხადა.

„მთელი ერი იწონებს ბრაზილიის გამოსვლას ერთა ლიგიდან. ეს ნაბიჯი განამტკიცებს ბრაზილიის დამოკიდებულებას ამერიკის რესპუბლიკებთან, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებთან“.

„როგორც მოხვალ სვინაო-ისე წახვალ შინაო“

ინგლისის მთავრობამ პროტესტი განაცხადა საბჭოთა კავშირიდან პროფკავშირების მიერ გაფიცულთათვის ფულის გადაგზავნის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტის შემდეგ ინგლისის კაბინეტმა გადასწყვიტა არ გაამწვავოს საკითხი ამის შესახებ.

დეპეშებიდან.


ს.ს.რ.კ.
მე იმას ვუჩვენებ!..
ვინ ვის უჩვენა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარშალ პილსუდსკის კონსტიტუცია

ახალი კონსტიტუცია დიქტატორულ უფლებებს ანიჭებს პრეზიდენტს

პილსუდსკი რჩება სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეთ და მთავარსარდლათ

ეროვნულ უმცირესობათა საკითხი გამწვავებულია

დიქტატორი

ვარშავა, 17 ივნისი. გამოქვეყნდა პოლონეთის კონსტიტუციის შეცვლის პროექტი, რომელიც პოლონეთის მთავრობამ შეიტანა სეიმში.

პროექტი გულისხმობს შემდეგს: სეიმი, რომელიც იკრიბება სექტემბერში ყოველწლიურ სესიაზე, ვალდებულია 4 თვის განმავლობაში მიიღოს ბიუჯეტი. თუ ის თავის დროზე არ იქნება მიღებული, მთავრობის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტს კანონის ძალა ეძლევა და ის ქვეყნდება პრეზიდენტის დეკრეტის სახით.

კონსტიტუციაში შედის ახალი მუხლი იმის შესახებ, რომ პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს სეიმი და სენატი მინისტრთა კაბინეტის წინადადებით. მეორე მუხლი პრეზიდენტს უფლებას აძლევს ჰკრძალოს სეიმის მიერ მიღებული ყოველგვარი კანონი. პრეზიდენტს უფლება ეძლევა გამოსცეს დეკრეტი, რომელთაც ექნებათ კანონის ძალა სეიმის დათხოვნის ან სეიმის რწმუნებულების ვადის გასვლის შემდეგ.

კანონპროექტის უკანასკნელი მუხლი ამბობს: სეიმის მიმდინარე სესია დაიხურება ივლისში. 1927 წლ. 31 დეკემბრამდე პრეზიდენტს უფლება ეძლევა გამოსცეს დეკრეტები იმავე საფუძველზე სეიმის დათხოვნის დროს.

უკანასკნელი მუხლის მიღება სრულიად უმოქმედოთ სტოვებს სეიმს ერთ ნახევარი წლის განმავლობაში. სეიმის რწმუნებულების ვადის გასვლის შემდეგ პრეზიდენტს და მთავრობას დიქტატორული უფლებები ენიჭება.

მსაჯული ბრალდებულის როლში

ვარშავა, 17 ივნისი. სეიმის შენობაში სწარმოებს ყველა ფრაქციების თათბირები. პირველ სხდომას გადატრიალების შემდეგ პოლიტიკური წრეები დიდი ინტერესით მოელიან.

რეაქციონური გაზეთი „პორანა ვარშავსკა" სწერს:

პოლიტიკა ისევ სეიმის ხელში ბრუნდება. ერთი თვის არევ-დარევისა და ქაოსის შემდეგ გუშინდელი მსაჯული წარმოსდგება სეიმის წინაშე, როგორც ბრალდებული, დარცხვენილი, ბიუჯეტის პროექტით ხელში".

ვერ გამოურკვევიათ

ვარშავა, 17 ივნისი. სეიმის უკრაინელთა ფრაქციის წარმომადგენლებთან თათბირის დროს ბართელმა განაცხადა, **რომ მთავრობას ჯერ კიდევ დაწვრილებით არ გამოურკვევია თავისი პოლიტიკა ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ** და სთხოვა მათ წარმოედგინათ უკრაინელთა მოთხოვნილებანი, რომელთაც მთავრობა განიხილავს.

უკრაინელთა ფრაქციის დელეგაცია ეწვია შინაგან საქმეთა მინისტრს და მიუთითა მას იმ ძალადობაზე, რომელთაც განაპირა ქვეყნებში მემამულეების მიერ გამოწვეული დამსჯელი რაზმები მიმართავენ.

პილსუდსკი

ვარშავა, 17 ივნისი. „კურიერ პორანი" უარყოფს ხმებს—თითქოს პილსუდსკის გადაწყვეტილი ჰქონდეს სამხედრო მინისტრის პოსტზე უარის თქმა.

რეაქციონერები

ვარშავა, 17 ივნისი. მემარჯვენეების წარმომადგენლები თავის წერილებში და სიტყვებში მოითხოვენ, რომ მთავრობამ გადამწყვეტი ზომები მიიღოს კომუნისტების და მათ ახლო მდგომ ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ქრისტიანულ ნაციონალური პარტიის ერთ-ერთმა ბელადმა სტრანსკიმ პარტიულ თათბირზე ვარშავაში განაცხადა:

„თუ მოსკოველი კომუნისტები 400.000 გირ. სტერლინგს უგზავნიან ინგლისელ გაფიცულებს, არ იფიქროთ, რომ ისინი ივიწყებენ პოლონეთს, რომელშიაც მათი აზრით გადატრიალება მოსალოდნელია".

პილსუდსკის გეგმები

ვარშავა, 17 ივნისი. „რეჩ პოსპოლიტა" **იტყობინება, რომ პილსუდსკის განზრახული აქვს უარი სთქვას სამხედრო მინისტრის პორტფელზე და დაიკავოს სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა.**

ამ ცნობის შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ პილსუდსკის გეგმით სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე, იგივე მთავარსარდალი, პასუხისმგებელი არ არის სეიმის წინაშე. სამხედრო მინისტრი მხოლოდ მთავარსარდლის წარმომადგენელია მთავრობაში.

ბართელის განცხადება

ვარშავა, 17 ივნისი. ბართელმა განაცხადა, რომ თუ სეიმი უარყოფს მთავრობის წინადადებებს, **მთავრობა გადადგება**, რადგან მას არ სურს პარლამენტარიზმის საფუძვლების შერყევა.

„კონტროლი"

ვარშავა, 17 ივნისი. უკანასკნელ დროს პოლიტიკური წრეები აღნიშნავდენ, რომ კნილი, რომელიც პილსუდსკიმ გადატრიალების დღეებში გარეშე საქმეთა სამინისტროს სათავეში დააყენა, ისე იქცევა, როგორც პოლიტიკური კომისარი და **კონტროლს უწევს თვით გარეშე საქმეთა სამინისტროს უფროსს ზალესკის.**

მემარჯვენეთა გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა" პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ კნილმა და მისმა მეგობრებმა ხელში ჩაიგდეს გარეშე საქმეთა სამინისტრო.

„რეორგანიზაცია"

ვარშავა, 17 ივნისი. მინისტრთა საბჭოს გუშინდელმა სხდომამ დაადგინა შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით დაარსებულ იქნეს სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა მოახდინოს ადმინისტრატიული აპარატის რეორგანიზაცია.

გაზეთები იტყობინებიან, რომ გენერლები იოსებ პილერი, რაშევსკი და ოსინსკი მარქაფში არიან გადარიცხული.

„პოლსკა ზბროინია" იტყობინება, რომ პრეზიდენტმა ვარშავაში ჩამოსული გალერი არ მიიღო და წინადადება მისცა მას აუდიენციის უფლება სამხედრო მინისტრისაგან ეძიო. გალერი ვარშავაში არცერთ სამხედრო ორგანიზაციაში არ გამოცხადებულა.

რეაქციონერები შეთანხმდენ

ფინეთის მენშევიკები

ჰელსინგფორსი, 17 ივნისი. ფინეთის გაზეთი „სოციალ-დემოკრატ" ეხება „პრავდა"-ში მოთავსებულ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დეპეშას, რომ განზრახულია ბალტიის განაპირა ქვეყნების სოციალ-დემოკრატების კონფერენციის მოწვევა. გაზ. „სოციალ-დემოკრატ"-ი აღნიშნავს, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება, რამდენადაც ფინელ სოციალ-დემოკრატებზედაც არის ლაპარაკი.

აღნიშნულ დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის სოციალ-დემოკრატების კონფერენციას, რომელზედაც განხილული იქნება პოლონეთის ხელმძღვანელობით ბალტიის განაპირა ქვეყნების ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის გეგმა, მოჰყვება გაფართოებული ანტისაბჭოთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრებიან ფინეთის და შემდეგ პოლონეთის სოციალ-დემოკრატები.

„სოციალ-დემოკრატ" განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ **ფინეთის სოციალ-დემოკრატია სცდილობს დაიცვას საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება.** გაზეთი აცხადებს, რომ ფინეთის სოციალ-დემოკრატია ასეთ კონფერენციაზე არ ყოფილა მიწვეული.

„თუ მოგვივიდა მიწვევის ცნობა—სწერს გაზეთი—ფინეთის სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის საკითხი განხილული იქნება. რაც შეეხება მათ პოზიციას, **ისინი კვლავ უარყოფითად უცქერიან ასეთი კავშირის შექმნას".**

ჩინეთის რეაქციის წინააღმდეგ

პეკინი, 17 ივნისი. ხანკოუში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის წლისთავის აღსანიშნავად უჩანში და ხანკოუში გაიმართა მასიური მიტინგები. მიტინგებზე ილაპარაკეს ვომინდანის და მუშათა კავშირების, აგრეთვე სტუდენტთა და ვაჭართა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. **საერთო ნაციონალურ მოთხოვნილებებს გარდა, ორგანიზატორები მოითხოვდენ უ-პეი-ფუს მიერ შემოღებულ აუტანელ გადასახადების გაუქმებას, მთელი პროვინციალური ეკონომიური პოლიტიკის შეცვლას და კანტონისაგან ჯარების მიშველებას ხუნაის ჯარებისათვის,** რომელნიც უ-პეი-ფუს აუჯანყდენ.

რეაქციონერები შეთანხმდენ

საერთო კაბინეტის ძებნაში

ბერლინი, 18 ივნ. „ტაიმს"-ის ცნობით, **უ-პეი-ფუსა და ჩჟილის პარტიის შორის შეთანხმება მიღწეულია.**

ორივე მხარე თანახმაა შეადგინონ საერთო კაბინეტი, რომელიც ერთი წლის შემდეგ მუკდენის კაბინეტით იქნება შეცვლილი.

უმთავრობოთ

პეკინი, 17 ივნისი. საერთო პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ გამოურკვეველი რჩება. ზოგიერთი ცნობების თანახმად, უ-პეი-ფუ თანახმაა დაემორჩილოს ტიან-ძინის კონფერენციის (ჩჟან-ძო-ლინის, ლი-ჩინ-ლინის და ჩჟან-ძუნ-ჩანის წარმომადგენლების კონფერენციის) დადგენილებას იენ-გუი-ჩინის მთავრობის გადადგომის შესახებ, მაგრამ მოითხოვს, რომ იენმა დანიშნოს თავისი მემკვიდრე.

პრემიერის კანდიდატებად ასახელებენ ველინგტონ კუს, სუნ-ბაო-ჩის და ჩჟან-ჩი-ტანს. სხვა წყაროებიდან მიღებული ცნობით, იენ-გუი-ჩინი არ ფიქრობს გადადგომას.

გუშინ ველინგტონ კუ შეუდგა ფინანსთა მინისტრის თანამდებობის შესრულებას. ხმების მიხედვით, მას ჰონკონგში აქტიურ დახმარებას უწევდენ კანტონის ეხლანდელი მთავრობის ჩამოგდების საქმეში.

აბდ-ელ-ქერიმის ბედი

პარიზი, 17 ივნისი. საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენციას, რომელმაც განიხილა დღის წესრიგში არსებული ყველა საკითხები, ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანია. იტყობინებიან, რომ ფრანგები მეტ ლმობიერებას იჩენენ აბდ-ელ-ქერიმის ბედის საკითხში. ესპანელებს კი სურთ, რომ აბდ-ელ-ქერიმს მიუდგენ, როგორც ბანდიტს.

საგვარეულო ქონების ჩამორთმევის გარშემო

კამპანია გრძელდება

ბერლინი, 18 ივნისი. გერმანიის მთავრობა განაგრძობს კამპანიას ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების უფასოდ ჩამორთმევის წინააღმდეგ. მარქსისა და შტრეზემანის გარდა ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონებათა კონფისკაციის საკითხის შესახებ სიტყვით გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი კიულცი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი აზრით, ქონების უფასოდ ჩამორთმევა რევოლიუციონური აქტია.

თავადთა მძარცველობის წინააღმდეგ

ბერლინი, 18 ივნისი. მოძრაობა „ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების უფასოდ ჩამორთმევის სასარგებლოდ დასახულ მიზნის ფარგლებს საგრძნობლად გაშორდა", განაცხადა გერმანიის კომპარტიის ბელადმა ტელმანმა. კომპარტიამ შესძლო სოციალ-დემოკრატ და კომუნისტ მუშებს შორის აღმართული „კედლის" გარღვევა. კომპარტიამ შესძლო თავადების მძარცველობის წინააღმდეგ არა მარტო მძლავრი სახალხო მოძრაობის შექმნა, არამედ მთელი ამ კამპანიის ხელმძღვანელობის შენარჩუნება.

მანჯურიას ძარცვავენ

ხარბინი, 18 ივნისი. იაპონიის სააგენტო „კიტაცუ" იტყობინება, რომ მანჯურიაში მყოფ იაპონიის ჯარების მთავარსარდალის გენერალ სირაკავას მოხსენების გამო, იაპონიის მთავრობამ დაადგინა:

იაპონიის მთავრობას საშუალება არ აქვს უშუალოდ გაიყვანოს ჩინეთში რკინის-გზები და შეუდგეს ფართო მასშტაბით სიმდიდრეების ექსპლოატაციას მანჯურიაში. ამიტომ მთავრობას, ჩან-ძოლინის მიერ გამოთქმულ სურვილის თანახმად, განზრახული აქვს მისცეს უკანასკნელს საჭირო საშუალებები ახალი გზების გასაყვანად და შემდეგ შეუდგეს მანჯურიის სიმდიდრეების ექსპლოატაციას ფართო მასშტაბით.

გვალვა მანჯურიაში

ხარბინი, 17 ივნისი. მანჯურიაში წელს არაჩვეულებრივი გვალვაა. მუკდენის პროვინციის ზოგიერთ ადგილებში უკვე მეთოთხმეტე დღეა წვიმა არ მოსულა. ხელისუფლება შეშფოთებულია.

ზოგიერთ ადგილას მოსახლეობა აღშფოთებულია „რიუო ღმერთის" (ამინდის კულტი) სისასტიკით. გლეხებმა დაადგინეს მოსპონ რიუო ღმერთის ტაძრები, თუ 22 ივნისამდე წვიმა არ მოვიდა. თუ მახლობელ დღეებში წვიმა არ მოვა, საბოლოოდ დაიღუპება ხორბალის და სიმინდის მოსავალი.

ხარბინი, 17 ივნისი. მანჯურიაში სცხოვრობს 800.000 კორეელი. იმის გამო, რომ გვალვამ გაანადგურა ბრინჯის ნათესი—კორეელების კვების უმთავრესი პროდუქტი—უკანასკნელნი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან.

ბრძოლა ალკოგოლიზმთან

მოსკოვი, 18 ივნისი. საკავშირო სახკომსაბჭოში ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა შეიტანა კანონ-პროექტი 40 გრადუსიან არაყის გაყიდვის შეზღუდვის შესახებ.

ჯანსახკომის კოლეგიამ დაამტკიცა თავის მუშაობის გეგმა ალკოგოლიზმთან ბრძოლის საქმეში შემდეგი სახით: თანამედროვე ალკოგოლიზმის ხასიათის მეცნიერული შესწავლა, მონაწილეობის მიღება ამკრძალავ ხასიათის საკანონმდებლო და ადმინისტრატიულ ზომების გამომუშავებაში, სანიტარ.-საგანმანათლებლო მუშაობა, სამკურნალო და პროფილაქტიური დახმარების მოწყობა ალკოგოლიკისათვის.

აღნიშნული ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლათ, კოლეგიამ აუცილებელ საჭიროებათ სცნო, წყაროები გამონახოს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტიდან, ნაწილობრივ ღვინის და ლუდის აქციების შემოსავლიდან პროცენტების გადარიცხვით.

საქ. კომპარტიის ცეკას პლენუმის რეზოლიუცია

სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენების გამო სასკოლო ქსელის შესახებ

1. საბჭოთა ხელისუფლების დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს არა მარტო მასიური სკოლების და მოწაფეთა რიცხვის ზრდა, არამედ ისიც, რომ სწავლა განათლებას მასიურად ეტანება რესპუბლიკის ყველაზე ჩამორჩენილი კუთხეების და ყველა ეროვნებათა მოსახლეობა.

2. მაგრამ არსებული სასკოლო ქსელი მოსახლეობის მოთხოვნილებებს სავსებით ვერ აკმაყოფილებს: სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშვთა რიცხვი 47 პროცენტს უდრის. აქედან გამომდინარეობს პირველ დაწყებითი სწავლა-განათლების სასკოლო ქსელის გაფართოების ამოცანა. საჭიროა განვაგრძოთ მუშაობა ამ მიმართულებით, რომ მახლობელ წლებში განხორციელებულ იქნეს საყოველთაო სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლება.

3. მასიური სკოლის მატერიალური გაჭირვება იწვევს, ერთის მხრივ, ბუნებრივი ზრდის შეფერხებას, დიდი რაოდენობის არა სრულ 4 წლედების არსებობას (3 წლედი, 2 წლედი და 1 წლედი) და მეორეს მხრივ ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ 1826 სკოლიდან (სკოლების საერთო რიცხვი) თითო მასწავლებელი მუშაობს 3—4 ჯგუფთან (135 სკოლაში) და 2 ჯგუფთან (1162 სკოლაში).

საჭიროა გამოსწორებულ იქნეს ეს დეფექტები ისე, რომ 1926—27 სასწავლო წლისათვის მოსპობილ იქნეს მთელ რესპუბლიკაში ერთი მასწავლებლის 3—4 ჯგუფთან მეცადინეობის შემთხვევა, ხოლო შემდეგ 4 წლედებში თანდათანობით მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ თვითეულ ჯგუფს ჰყავდეს საკუთარი მასწავლებელი.

4. ვინაიდან, არსებული მეორე საფეხურის სკოლები უშვებენ ისეთ ახალგაზრდობას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ჩვენი სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობის მოთხოვნილებებს, მოწონებულ იქნეს ცეკას პრეზიდიუმის ხაზი, რომლის თანახმად მეორე საფეხურის სკოლები გადაკეთებულ უნდა იქნეს გლეხურ ახალგაზრდობის სკოლებათ და ქალაქის შვიდწლედებათ.

რესპუბლიკაში არსებულმა გლეხური ახალგაზრდობის სკოლებმა (სულ 23) 1½ წლის მუშაობით შექმნეს ახალი სკოლის ავტორიტეტი და გადაიქცენ არა მარტო მოწაფეების და ახალგაზრდობის, არამედ მოზარდი მოსახლეობის განათლების და აღმზრდელობის კერათ. მიმდინარე წელს გლეხური ახალგაზრდობის სკოლებათ გადაკეთებულ უნდა იქნეს 50 შვიდწლედი, ხოლო 80 შვიდწლედი უნდა გადაკეთდეს 1927—28 წ. (გატარებულ იქნეს მოსამზადებელი მუშაობა).

5. გარდა იმისა, რომ მუშაობის სისტემა უნდა შეიცვალოს ნამდვილი შრომის საბჭოთა სკოლის შექმნის ხაზით (სკოლის,რომელიც დაკავშირებული იქნება საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებასთან, შრომასა და წარმოებასთან), სახელმწიფოს ეკონომიურ საჭიროებათა და ცხოვრების გადაუდებელ მოთხოვნილებების გამო საჭიროა აგრეთვე მეორე საფეხურის მეორე კონცენტრის რეორგანიზაცია პროფესიონალიზაციის (პრაქტიზაცია) ხაზით.

მეორე კონცენტრის პროფესიონალიზაცია (პრაქტიზაცია) მდგომარეობს იმაში, რომ მას უნდა მიეცეს მიზნობრივი საფუძველი მასიური, კვალიფიციური, შეგნებული მუშაკის მოსამზადებლათ შრომის განსაზღვრულ დარგისათვის. პროფესიონალიზაციის დროს აუცილებლათ შენარჩუნებულ უნდა იქნეს 9 წლის საერთო (პოლიტეხნიკური) განათლება ისე, რომ ყოველ მოწაფეს მეორე საფეხურის სკოლის დამთავრების შემდეგ ჰქონდეს საჭირო მომზადება არა მარტო რაიმე პრაქტიკულ მუშაობისათვის, არამედ უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელადაც.

ამასთან დაკავშირებით დაწყებულ უნდა იქნეს 9 წლედი სკოლების ნაწილის რეორგანიზაცია.

სახელმწიფოს კულტურულ და სამეურნეო მოთხოვნილებების მიხედვით, მეორე საფეხურის რეორგანიზაცია ქმნილ მეორე კონცენტრში შემოღებულ უნდა იქნეს შემდეგი სახის პროფესიონალური მომზადება:

ა) პედაგოგიური, ბ) პოლიტიკურ საგანმანათლებლო, გ) სასოფლო - სამეურნეო, დ) კოოპერატიული, ე) ადმინისტრატიული - საბჭოთა.

მეორე საფეხურის მეორე კონცენტრში ახალგაზრდობის მიღების დროს გატარებულ უნდა იქნეს ზედმიწევნით შერჩევის პრინციპი; მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არა მარტო სოციალური მდგომარეობა, არამედ ნიჭიც.

6. მომავალ წელს მე-8-ე და მე-9-ე ჯგუფების საჭირო რაოდენობა საქართველოში, გარდა თბილისისა, დაყვანილ იქნეს 51-მდე თითო ჯგუფისთვის. სკოლების შემცირება მოხდეს აგრეთვე თბილისშიაც.

დაევალოს ცეკას პრეზიდიუმს გაატაროს ეს რეფორმა აგრეთვე აჭარისტანში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში.

7. გადამზადების გეგმაში მიმდინარე წელს შეტანილ იქნეს: კურს-კონფერენციების მოწყობა პირველი საფეხურის მასწავლებელთა აქტივისათვის, მეორე საფეხურის სკოლების საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთათვის, გლეხური ახალგაზრდობის სკოლების ხელმძღვანელთათვის და სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებების ინსტრუქტორებისა და ინსპექტორებისათვის. გარდა ამისა გატარებულ იქნეს მეორე კონცენტრის მუშაკთა ყრილობები.

8. ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა უკანასკნელ დროს ძლიერ განვითარდა, ხოლო მუშაობა საბავშვო კომუნისტურ ჯგუფებში ყოველთვის არ სდგას სათანადო სიმაღლეზე მომზადებულ ხელმძღვანელების და მატერიალურ საშუალებათა უქონლობის გამო.

ცენტრალურ საბავშვო კომუნისტურ ჯგუფებისათვის და პიონერკოლექტივების ცენტრალ. დაწესებულებებისათვის საჭიროდ ჩაითვალოს მუდმივი, შტატში გატარებული მუშაკები. პიონერ - მუშაკების მომზადება და გადამზადება შეტანილ იქნეს განათლების სახ. კომისარიატის ბიუჯეტში, ხოლო ადგილებს წინადადება მიეცეს სამაზრო საბავშვო კომჯგუფების სათანადო ხარჯები შეიტანონ სახალხო განათლების ბიუჯეტში.

9. რადგან ქართულ სომხურ და თურქულ ენებზე არ არსებობს საბავშვო ლიტერატურა — აუცილებლათ ჩაითვალოს ჟურნალების გამოცემა: 2-ის ქართულ ენაზე, 1-ის სომხურზე და ერთისაც თურქულზე.

დაევალოს ცეკას პრეზიდიუმს შეიმუშაოს ორიგინალურ და ნათარგმნ საბავშვო ლიტერატურის გამოცემის გეგმა.

10. გამოცემულ იქნეს პედაგოგიური ჟურნალი „ახალი სკოლისაკენ".

11. პროფტეხნიკური განათლება უნდა შეფარდებულ იქნეს სახელმწიფო საწარმოო და კულტურულ საგანმანათლებლო საჭიროებებთან. მან ამოცანად უნდა დაისახოს სათანადო სკოლების მოწყობის გზით დაბალ, საშუალო და უმაღლეს კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება სახალხო მეურნეობის და სახელმწიფო აღმშენებლობის სხვადასხვა დარგებისთვის. ასეთი სკოლები უნდა იქნეს: ა) 4 წლედის პრინციპის მიხედვით აგებული პირველი საფეხურის სასოფლო - სამეურნეო სკოლები, რომელთაც უნდა მოამზადონ სასოფლო მეურნეობისათვის ვიწრო სპეციალობის ტეხნიკოსები (მებაღეები, მევენახეები, მეხილეების სპეციალისტები და სხვა).

ბ) შვიდწლედის პრინციპებზე აგებული სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმები, რომელთაც უნდა მოამზადონ საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტები სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის (მეველეობის, მეფუტკრეობის, მესაქონლეობის, მეტყევეობის, მიწადმოწყობის, ჰიდროტეხნიკის და სხვა დარგის სპეციალისტები).

13. მოზრდილ მოსახლეობას შორის სასოფლო - სამეურნეო ცოდნის გავრცელების მიზნით საჭიროდ ცნობილ იქნეს საზამთრო, სასეზონო სკოლა-კურსების მოწყობა, რომლებშიაც მსმენელები გამოცდილ სპეციალისტების ხელმძღვანელობით გაეცნობიან ამა თუ იმ რაიონის სასოფლო-სამეურნეო პირობებს და თავისებურობას.

14. ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრის გამოყენების და ინდუსტრიალიზაციის მიზნით, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ინდუსტრიალურ - ტეხნიკურ განათლებას (მექანიკურ, საამშენებლო, ქიმიურ, ელექტრო-ტეხნიკურ, სამთამადნო, საფეიქრო და სხვ.).

15. წარმოების მომწიფებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის და საშუალო პროფტეხნიკურ განათლების ქსელის შემდგომ გეგმიან განვითარებისათვის საჭიროდ იქნეს ცნობილი სამთამადნო და საფეიქრო ტეხნიკუმების მოწყობა.

16. მასიური სკოლების უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივ საგნების მომზადებულ მასწავლებლებით უნდა გაფართოვებულ იქნეს საქართველოს პედაგოგიურ ტეხნიკუმების ქსელი და განვითარდეს მათი მუშაობა სასოფლო - მეურნეობის საფუძველზე.

17. სპეციალურ ტეხნიკუმებში მიღების დროს შემოღებულ უნდა იქნეს ახალგაზრდობის ზედმიწევნით შერჩევა, როგორც სოციალური მდგომარეობის, ისე მომზადების მხრივ.

18. საქარხნო შეგირდობის სკოლების არსებული ქსელი თანდათან გაფართოვებულ იქნეს, მოთხოვნილებების წინასწარ აღრიცხვით და ამ სკოლების წარმოებასთან დაახლოებით.

19. მუშების წინასწარ მომზადების და კვალიფიკაციის აწევის საქმეს უნდა ემსახურებოდენ სამეურნეო ორგანოების წარმოებების დავალებით და დაკვეთით დაარსებული მოკლევადიანი პროფტეხნიკური კურსები.

ასეთი კურსების ორგანიზაციის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შინამრეწველობის ინტერესები.

20. სასოფლო - სამეურნეო ტეხნიკუმებს და პირველი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო სკოლებს რაიონული ხასიათი უნდა ჰქონდეთ.

მოწაფეთა შრომის ნაყოფიერების მიზნით სასწავლებლებთან უნდა დაარსებულ იქნეს ინტერნატები და საერთო საცხოვრებლები.

21. აუცილებლათ იქნეს ცნობილი, რათა ყველა ტიპის და საფეხურის პროფტეხნიკურ სკოლებს მიეცეთ შესაძლებლობა აწარმოონ პრაქტიკული მუშაობა წარმოებებში.

22. გაერთიანებულ იქნეს ყველა ტიპის და საფეხურის სკოლები ერთ მთლიან სისტემაში, რათა დაბალი საფეხურები წარმოადგენდენ მაღალ საფეხურების საფუძველს.

23. უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა:

1) გატარებულ იქნეს ცხოვრებაში ახალი საუნივერსიტეტო წესდება.

2) მოხდეს აკადემიური წმენდა უმაღლეს სასწავლებლების განთავისუფლებლად ჩამორჩენილ ელემენტებისაგან.

3) სტუდენტების მიღების დროს სასტიკათ დაცულ იქნეს სოციალური შერჩევის პრინციპი.

4) უმაღლეს სასწავლებლებში მიღება განსაზღვრულ იქნეს იმ ანგარიშით, რომ სასწავლებლების მოწყობილობა (კაბინეტები,ლაბორატორიები და სხვ.) აკმაყოფილებდეს სტუდენტების მთელი შემადგენლობის მოთხოვნილებას და უზრუნველყოფდეს პრაქტიკულ მეცადინეობის შესაძლებლობას.

5) ყველა სპეციალურ ფაკულტეტებზე მიღებულ უნდა იქნეს სოციალურ - პოლიტიკურ ცოდნის მინიმუმი.

6) დაევალოს ცეკას პრეზიდიუმს გაგზავნოს უმაღლეს სასწავლებლებში საშუალოთ მარქსისტული ძალები, რომელთაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ საორგანიზაციო და სამოსწავლო მუშაობას.

7. აუცილებლათ ჩაითვალოს ფაკულტეტების სამოსწავლო გეგმების და პროგრამების შეცვლა.

24. ვინაიდან მუშფაკებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ უმაღლეს სასწავლებელთა პროლეტარიზაციის საქმეში, დაევალოს ცეკას პრეზიდიუმს შეიმუშაოს ღონისძიებები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საჭიროა მსმენელთა შერჩევა ჰასაკის და აკადემიურ წარმატების მხრივ და აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საგნების უზრუნველყოფა მარქსისტულ ძალებით.

25. გაძლიერებულ იქნეს რუსული ენის სწავლება სკოლის ყველა საფეხურებზე.

26. სასკოლო საამშენებლო მუშაობა უნდა შეთანხმებულ იქნეს კომკავშირთან, პროფკავშირებთან და სამეურნეო ორგანოებთან. მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნეს აგრეთვე სხვა საზოგადოებრივ პოლიტიკური ორგანიზაციები და მშრომელთა ფართო მასები.

27. რადგან პოლიტიკური მუშაობა სუსტათ არის დაყენებული ყველა საფეხურის სკოლებში, საჭიროდ იქნეს ცნობილი პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერება უმაღლეს სასწავლებლებში და მეორე საფეხურის სკოლებში. გაძლიერებულ იქნეს აგრეთვე პიონერთა ორგანიზაციების მუშაობა პირველი საფეხურის სკოლებში.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

რამიშვილებმა ჩხეიძის მაგალითს უნდა მიბაძონ

ქართულ ემიგრაციის ბანაკში ზედი-ზედ ორი მსხვერპლი დაეცა: დანით ყელგამოღადრული და ტყვიით გულგაგმირული. ემიგრაციის ხუთი წლის არსებობის განმავლობაში ასეთ მამხილებელს და გამომჟღავნებელს ფაქტებს, მენშევიკების მორალურად და პოლიტიკურად გაკოტრებისას, ჯერ ადგილი არ ჰქონია. კარლო ჩხეიძემ თავის სიკვდილით სთქვა ის, რაც დამახასიათებელია რამიშვილის კომპანიისა; საზღვარგარეთულ ბიუროს აღარა აქვს სალი მსჯელობის უნარი, ისიც ისევე სდგას დანის პირდაპირ, როგორც ერთი მისი ლიდერი იდგა. ასეთი სამარცხვინო აღსასრული მოელის ყველას, ვინც გაურბის საქართველოს [illegible] მდგომარეობას.

კარლო ჩხეიძე ვერ [illegible] რევოლიუციონურ ბუნებას. ის ხედავდა ბოლო ხანებში ყალბ გზებს, ხედავდა, რომ მისი 30—40 წლის ნამოღვაწევი უფსკრულში ინთქმოდა. მას აქედან ორი გამოსავალი გზა ჰქონდა, ან სიკვდილი თავის ხელით, ან და ძველ სოციალ-დემოკრატიულ, ბოლშევიკურ ოჯახში დაბრუნება! იგი უნდა გაშორებიყო: პოლიტიკურად გახრწნილით, ზნეობრივად დაცემულით, ისტორიისაგან წიხლ-მირტყმულით, რომ სწორ გზას დაბრუნებოდა. მან კი დანით ყელის გამოჭრით გასცა პასუხი თავის შემცდარობას და საკუთარ პარტიის დაღუპვას.

იგი ჯერ კიდევ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ განშორდა მენშევიკურ ბიუროს. ამავე წლის შვიდ მაისს მე შევხვდი კარლო პარიზში მონპარნას მიწის ქვეშა მეტროს სადგურზე, სადაც ჩემ შეკითხვაზე, მან მიპასუხა: „შენ მუნჯურად უნდა იცოდე, თუ მე რას ვაპირობ, დამაცადეთ, მე თანდათანობით დავუმტკიცებ შემცდარ გზაზე მდგომ რამიშვილსა, ჟორდანიას და მათ მიმდევრებს, რომ რეაქციონერებთან კავშირს ბოლშევიკებთან კავშირი სჯობიან! თქვენ წადით, პირველი ნაბიჯი თქვენ გადადგით, თქვენია! რუსეთში როგორი მთავრობაც არ უნდა იყოს, საქართველოსათვის მისი მეზობლობა და სახელმწიფოებრივი კავშირი აუცილებელია! მით უმეტეს, რომ დღეს, საბჭოთა რესპუბლიკების სათავეში ძველი სოციალ-დემოკრატიული,—ბოლშევიკური პარტია სდგას"-ო. აი რას ამბობდა კარლო ჩხეიძე, რასაც ჩვენ მოწმეებით დავადასტურებთ. მაგრამ ცუდი ისაა, რომ ასეთი სიტყვების შემდეგ მან ველარ შესძლო გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგებისათვის.

რა მნიშვნელობა აქვს კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობას მენშევიკურ ბიუროსათვის? მენშევიკურმა ბიურომ ჩხეიძის სიკვდილით სამუდამოთ გახრწნა, გააკოტრა თავისი თავი მუშათა კლასისა და მთელი ქართველი ხალხის წინაშე! ჩხეიძის სიკვდილმა ყველას დაანახვა, რომ რამიშვილი პორტფელისა და სავარძლის მონატრეა. თუ კი ვისმე კიდევ ჰქონდა იმედი მენშევიკური ბიუროსი ქართველი ხალხიდან ამ განწირული თვითმკვლელობით, უნდა შეიგნოს ყველამ სინამდვილე. კარლო ჩხეიძის სიკვდილმა ყველას აგრძნობინა, რომ რაღაც საშინლობაა იქ, საზღვარგარეთ, მენშევიკურ ბიუროში. კარლოს სიკვდილმა ყველას დაანახვა საშინელი პესიმიზმი ისედაც წყალწაღებულ ემიგრანტებისა. ჩხეიძის სიკვდილმა გამოამჟღავნა მენშევიკურ ლიდერების უილაჯობა და სასოწარკვეთილება.

კარლო ჩხეიძემ თავის სიკვდილით ხაზი მოაწერა იმ განაჩენზე, რომელიც ისტორიულად მისცა სანდრო ფარნიევის ყოფილ მენშევიკთა ყრილობამ, ძაჰანაშვილის მუშათა ჯგუფმა და საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ ემიგრანტ-მუშებმა და სხვებმა.

კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობამ დაანახვა მეორე ინტერნაციონალს, მთელი ევროპის მუშებს და საქართველოს ურწმუნო თომებს მენშევიკურ ბიუროს სიყალბე და რეაქციონერობა. დღეის შემდეგ ქართველი მუშათა კლასი უფრო შეამჭიდროებს კომუნისტურ რიგებს.

ჩხეიძემ თავის თავი თვითონ გაისამართლა და თუ რამიშვილსა და ჟორდანიას სინდისი აქვთ, იმათაც მის მაგალითს უნდა მიბაძონ!

ეხლა მეორე ფაქტი. აგვისტოს ავანტიურამ გრიგოლ ვეშაპელს თვალები აუხილა. მან მოლაპარაკება დაუწყო საქართველოში დაბრუნებაზე ჯერ მიწიშვილს და შემდეგ ლევან ღოღობერიძეს. ის შეუდგა აქტიურ თანამშრომლობას საბჭოთა ხელისუფლებასთან და დაიწყო „ახალ საქართველოს" გამოცემა. ამის შემდეგ, ეს, ჩვენი ყოფილი პოლიტიკური მოპირდაპირე, ჩვენ შეგვირიგდა და დავიწყეთ ერთად თანამშრომლობა. გრ. ვეშაპელის მონაწილეობით დავაარსეთ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგომ ქართველ მუშების კოლონია პარიზში.

1925 წლის 9 აგვისტოს ჩვენს კრებას თავს დაესხა მენშევიკებისა და თეთრგვარდიელების ჯგუფები და მოინდომეს მისი განადგურება. მაგრამ ეს ვერ შესძლეს, და ამის შემდეგ დაიწყო ჩვენსა და მათ შორის აშკარა ბრძოლა. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ **გრ. ვეშაპელი მოკლულია რამიშვილის ჯგუფის მიერ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აპირებდა საქართველოში დაბრუნებას მრავალ დოკუმენტებით ხელში მენშევიკურ პარტიის და ემიგრაციის ლიდერების წინააღმდეგ!**

ვინ არის ეს გრ. ვეშაპელი? როგორ მოხდა, რომ ერთ დროს მენშევიკურ მთავრობის დიდი ავან-ჩავანი და მესაიდუმლე, დღეს მისივე ხელით გაიგმირა? გრ. ვეშაპელი ახალი ქართველი ინტელიგენტის საუკეთესო ტიპს წარმოადგენდა, რომელმაც, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც დაინახა საქართველოს რეალური მდგომარეობა, ასწონ-დასწონა იგი, გაატარა მკაცრი კრიტიკის ქარ-ცეცხლში და აქედან გამოიყვანა ისტორიულად სწორი ლოღიკური დასკვნა. მან დაგმო გუშინდელი აზროვნება, იცნო საბჭოთა ხელისუფლება და მედგარი ბრძოლა დაუწყო თავის გუშინდელ მეგობრებს! აქ დაიბადა რამიშვილის კომპანიის ჩვეულებრივი შური, მტრობა და ღვარძლი, და გრ. ვეშაპელს ტერორით მოუსპეს სიცოცხლე. ალბათ მენშევიკურ და ფაშისტურ, რეაქციონურ ჯგუფებს ჰგონიათ, რომ ისინი გაიმარჯვებდენ! მაგრამ მათდა საუბედუროთ ეს ასე არ მოხდა. პირიქით, ქართველმა ხალხმა ამ ტერორისტულ აქტით სამუდამოთ გაახილა თვალი და შეაფურთხა მენშევიკურ მოღალატურ გზას.

ვანო ალიხანაშვილი.

რენოდელების ადვოკატობამ გასჭრა

პარიზი, 17 ივნისი. დამთავრდა ქართველ ემიგრანტების პროცესი, რომლის დროს მოკლულ იქმნა „ახალ საქართველოს" რედაქტორი—ვეშაპელი.

სასამართლომ გაამართლა პასუხისგებაში მიცემული ქართველი ემიგრანტები, რომელთაც ბრალი ედებოდათ, საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ ქართველთა კრებაზე თავდასხმა.

გ. ვეშაპელის ნეშთის გადმოსვენების შესახებ

როგორც ჩვენ გაზეთში უკვე იყო აღნიშნული, მენშევიკების მიერ მოკლული გრიგოლ ვეშაპელის მშობლების თხოვნით გაგზავნილი იყო შეკითხვა პარიზში, საბჭოთა საელჩოში, განსვენებულის ნეშთის საქართველოში გადმოსვენების შესაძლებლობის შესახებ.

როგორც მიღებული პასუხის თანახმად ჩვენ გვატყობინებენ, გრიგოლ ვეშაპელის ცხედრის გადმოსვენება შეუძლებელი ხდება იმის გამო, რომ გვამი გახრწნილი იყო და თავის დროზე არ ყოფილა მიღებული სათანადო ზომები მის შესანახად.

მომჭირნეობის რეჟიმის მიზანი

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება სოხუმის პროფკავშირების საერთო საქალაქო კრებაზე

სოხუმი, 18 ივნისი. პროფკავშირთა საბჭოს პარკში შესდგა სოხუმის პროფესიონალურ კავშირების საერთო საქალაქო კრება.

ამხ. ორახელაშვილმა მოხსენება გააკეთა მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ.

მოხსენების დასაწყისში ამხ. ორახელაშვილი დაწვრილებით ეხება სახალხო მეურნეობის ეხლანდელ მდგომარეობას და იმ სიძნელეებს, რომელიც გადავლახეთ.

სამეურნეო მშენებლობის პოლიტიკა—ლაპარაკობს ამხ. ორახელაშვილი,—მოწმობს, რომ 1920 წელს სასოფლო მეურნეობის პროდუქცია დაეცა 45 პროცენტით, მრეწველობის—85 პროცენტით. 1926 წელს სასოფლო მეურნეობის პროდუქცია შეადგენს ომის წინანდელ პროდუქციის 90 პროცენტს, ხოლო მრეწველობის პროდუქცია კი—95 პროცენტს. 1926 წელს ჩვენ მიუახლოვდით ომის წინანდელ დონეს.

„მაგრამ განა ამიტომ მოვახდინეთ ოქტომბრის რევოლიუცია? რა უნდა ვაკეთოთ ამიერიდან? კითხულობს ამხ. ორახელაშვილი. საბჭოთა ხელისუფლება ლაპარაკობს, რომ ის ამჟამად აყენებს ამოცანად ინდუსტრიალიზაციას. ჩვენ დაჩქარებით უნდა გავაძლიეროთ ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი".

ამხ. ორახელაშვილი შემდეგ ჩერდება იმ მტაცებლურ მეთოდებზე, რომელთაც ბურჟუაზია მიმართავს სიმდიდრის დასაგროვებლად.

„ჩვენ ვერ დავადგებით ასეთ გზას—ლაპარაკობს მომხსენებელი — არა იმიტომ, რომ ხელი არ მიგვიწვდება, არამედ მიტომ რომ ჩვენ არ შეგვიძლია მუშების ყვლეფა და ახალშენების ძარცვა. ჩვენ თანახმა ვართ ავიღოთ სესხი, მაგრამ არა მონურ პირობებში; ალბად, სწორედ ამიტომ არ გვაძლევენ ჩვენ სესხს. ჩვენი მრეწველობის განვითარების წყაროები უნდა ვეძიოთ ჩვენივე ქვეყნის შიგნით და ჩვენს სოციალისტურ დაგროვებას, ძირს გაუმაგრებს მომჭირნეობის რეჟიმი.

ნიშნავს ეს მში[illegible] ულუფაზე გადასვლას? არა ეს ნიშნავს უარს იმაზე, რაც ჩვენს შემოსავალს ნთქავს. ამჟამად ჩვენ შეგვიძლია ჩვენი სახელმწიფო მანქანა გავამარტივოთ, ამჟამად ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იაფი მთავრობა საუკეთესო მთავრობაა მშრომელთათვის. ზედმეტი და ძვირი უნდა მოვკვეთოთ. სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია, მრეწველობის რაციონალიზაციასთან ერთად, გაანთავისუფლებს მნიშვნელოვან თანხებს, რომელთაც ჩვენ ინდუსტრიას მოვახმართ.

რას ნიშნავს მომჭირნეობის რეჟიმი ვაჭრობისათვის? პირველ ყოვლისა საქონლის გამტარებელ ქსელის გაჯანსაღებას. შეუძლებელია, რომ ერთმა კოლოფმა ასანთმა, ფაბრიკის კარებიდან გამოსვლის შემდეგ, 13 ინსტანცია გაიაროს. შემცდარი აზრია, თითქოს მომჭირნეობის რეჟიმი მუშის ხარჯზე უნდა გატარდეს, ვინაიდან კულტურულად და მატერიალურად შევიწროებული მუშა სოციალიზმის მშენებლობისათვის არ გამოდგება.

ჩვენ ვერ დავუშვებთ აგრეთვე, რომ მრეწველობის მშენებლობისათვის გლეხობას გამოვაცალოთ ყველაფერი, რაც აბადია, ვინაიდან ჩვენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას წარმოვადგენთ. თუ ჩვენ ძალიან დიდ ფას დავაწესებთ საქონელზე, გლეხობა კარებს გამოიკეტავს და მრეწველობა განვითარების ნიადაგს მოუსპობს.

აქ, ამ პატარა აფხაზეთში, უკვე საგრძნობია ინდუსტრიის შემოჭრა. სწარმოებს მუშაობა რკინისგზის გასაყვანად. იქ, სადაც წინად პოლიციელების მათრახების ტლაშა-ტლუში ისმოდა, დღეს ერები თავის მშობლიურ ენებზე ლაპარაკობენ და მოითხოვენ: „მოგვეცით ელექტროფიკაცია, მოგვეცით ტრაქტორი, გუთანი აღარ უნდათ". **(ტაში)**

დასასრულ ამხ. ორახელაშვილი მოუწოდებს პროფორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბრძოლაში მომჭირნეობის რეჟიმისათვის.

უკანასკნელი ცნობები

მთავრობის კანონპროექტი

ლონდონი, 18 ივნისი. მთავრობის კომისიამ დაამთავრა სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციის და რვა საათის სამუშაო დღის შესახებ კანონპროექტის დამუშავება.

მაღაროს მეპატრონეებმა, ბოლდუინის თემთა პალატაში განცხადების მიხედვით, შეიმუშავეს მუშაობის განახლების პროექტი 8 საათის სამუშაო დღის საფუძველზე. პირველი კატეგორიის მაღაროებში, რომელშიაც შედიან მთელი მაღაროების დაახლოებით 50%, სამუშაო ხელფასი არ იქნება შემცირებული. მეორე კატეგორიის მაღაროებში (25% მთელი მაღაროებისა) განზრახულია სამუშაო ხელფასის 10 -ით შემცირება. დანარჩენ მაღაროებში განზრახულია ხელფასის შემცირება 10%-ზე მეტის რაოდენობით.

ბრიანი უარს აცხადებს კაბინეტის შედგენაზე

პარიზი, 18 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ვინაიდან ერიომ უარი სთქვა მთავრობაში მონაწილეობის მიღებაზე, ბრიანმა უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე.

სკანდინავიის მუშა ახალგაზრდობის დელეგაცია ამხ. კალინინთან და ტროცკისთან

მოსკოვი, 18 ივნისი. სკანდინავიის მუშა ახალგაზრდობის დელეგაცია 18 ივნისს მიიღო საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა, რომელმაც დაწვრილებით გააცნო დელეგაციას ჩვენი აღმშენებლობა და პასუხი გასცა შეკითხვებზე.

შემდეგ დელეგაცია მიიღო ამხანაგმა ტროცკიმ, რომელიც, დელეგაციის თხოვნით, ესაუბრა მათ ინგლისის გაფიცვისა და მისი როლის შესახებ რევოლიუციონურ მოძრაობაში.

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება

პარიზი, 18 ივნისი. საფრანგეთის კომპარტიის ცეკა ინგლისის ნოტის შესახებ მოწოდებაში მოუწოდებს მუშებს აღიმაღლონ ხმა საბჭოთა კავშირის დასაცავად და შეაგროვონ ფული ინგლის მემაღაროეთა სასარგებლოდ.

კამათი „რუსეთის საკითხის" შესახებ

ლონდონი, 18 ივნისი. ინგლისის მთავრობამ თემთა პალატაში განაცხადა, რომ იგი თანახმაა „რუსეთის საკითხის" შესახებ კამათი დანიშნოს პარასკევს, 25 ივნისს.

საუბარი როზენგოლცთან

ლონდონი, 17 ივნისი. პრესა მოწინავე წერილებში არაფერს ამბობს საბჭოთა მთავრობის პასუხის შესახებ ინგლისის მემორანდუმზე. გაზეთების უმრავლესობამ დღეს გამოაქვეყნა საუბარი კრასინის დროებითი მოადგილე როზენგოლცთან, რომელიც კატეგორიულად უარყოფს განცხადებას, თითქოს საბჭოთა მთავრობამ ფული გადაუგზავნა გაფიცულებს.

კომპარტიის წინადადება

ლონდონი, 17 ივნისი. ინგლისის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტმა დამოუკიდებელ მუშათა პარტიას მიმართა წერილით, რომელშიაც წინადადებას იძლევა დაწყებულ იქნეს გაერთიანებული კამპანია ნახშირის დატვირთვისა და გადატანისათვის ხელის შესაშლელად.

დამოუკიდებელ მუშათა პარტიას ჯერ არ გაუცია წერილობითი პასუხი, მაგრამ კუკმა, რომელიც გაეცნო წერილს, კომპარტიის ორგანოს „უორკერ უიკლის" წარმომადგენელს განუცხადა:

„დიდებულია! აი რა ესაჭიროება მუშებს".

აბდ-ელ-ქერიმი

პარიზი, 18 ივნისი. საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენციის დადგენილებით აბდ-ელ-ქერიმი გადასახლებულ იქნება. გადასახლებაში მასზე სასტიკი თვალყურის დევნება დაწესდება. აბდ-ელ-ქერიმს არ მოექცევიან ისე, როგორც ყოფილ სულთანს.

შეთქმულება ქემალის წინააღმდეგ

პარიზი, 18 ივნისი. სმირნაში აღმოაჩინეს შეთქმულება მუსტაფა ქემალ-ფაშას წინააღმდეგ. შეთქმულების მონაწილენი დაატუსაღეს. ისინი დანაშაულში გამოტყდენ. შეთქმულების მეთაურია ყოფილი დეპუტატი ზიაზურშიდ-ბეი.

კანდიდატები მინისტრის თანამდებობაზე

პარიზი, 18 ივნისი. დაიწყო მოლაპარაკება მომავალ კაბინეტის შემადგენლობის შესახებ. ბაკანოვსკი დასთანხმდა იკისროს ფინანსთა მინისტრობა. მინისტრებად ასახელებენ კოლერს, ლეტროკს, ფლანდერს და ლეგს. ერიოს იმედი აქვს, რომ მას მხარს დაუჭერენ სოციალისტები ზოგიერთ დათმობების მოხდენის შემდეგ.

ერიო—პრემიერი

პარიზი, 18 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით ერიო პრინციპიალურად დათანხმდა იკისროს კაბინეტის შედგენა.

ნიაღვარი გერმანიაში

ბერლინი, 18 ივნისი. ძლიერი წვიმების გამო ადიდდენ მდინარეები. წყალმა დიდი ზიანი მიაყენა მოსახლეობას. დრეზდენის ქუჩები წყალით არის დაფარული, რადგან მდინარე ელბამ ჩვეულებრივ დონეზე 4 მეტრით აიწია. აღმოსავლეთ პრუსიაში ნათესებს დიდი საფრთხე მოელის.

რას ამბობს ინგლისის პრესა

ლონდონი, 18 ივნისი. ინგლისის პრესა ჰკიცხავს მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის მიმართ დაკავებულ პოზიციას.

პორტუგალიის დიქტატორი

ბერლინი, 18 ივნისი. გენერალმა დეკოსტამ საალყო წესები გამოაცხადა პორტუგალიაში. პრემიერი კაბახალისი გადაყენებულია. დეკოსტას მხარეზე გადასულ ჯარების ხელშია ყველა საყურადღებო პუნქტები. დღემდის შეტაკებას მოწინააღმდეგე მხარეთა შორის ადგილი არ ჰქონია. მთელი ძალა-უფლება დე კოსტას გადაეცა.

მთავრობის კრიზისი გრძელდება

პარიზი, 18 ივნისი. ჯერ არ არის გადაწყვეტილი საბოლოოდ საკითხი საფრანგეთის მთავრობის შედგენის შესახებ. პრესა იუწყება, რომ ერიომ უარი სთქვა ახალ კაბინეტში მონაწილეობაზე. ფიქრობენ, რომ შესაძლებელი იქნება „ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა კაბინეტის" შედგენა, რომელშიაც პუანკარეც შევა.

ბოლდუინის განზრახვა

ლონდონი, 18 ივნისი. მთავრობა ორშაბათს შეიტანს ბილს, რომელიც სანახშირო მრეწველობას ეხება.

ბილში იქნება სულ ორი მუხლი: სანახშირო მრეწველობაში რვა საათის სამუშაო დღისა და სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ.

თათბირობენ

პარიზი, 18 ივნისი. დღეს დილით ბრიანს თათბირი ჰქონდა ერიოსა და პუანკარესთან.

ესპანეთი იმუქრება

პარიზი, 18 ივნისი. ესპანეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ესპანეთი მონაწილეობას არ მიიღებს ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე, რომელიც ჟენევაში უნდა შესდგეს, თუ კი იგი არ მიიღებს გარანტიას, რომ მას ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილი მიეცემა.

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი

17 ივნისს, საღამოს 7 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგა თბილისის კომიტეტის პლენუმი რაიკომთა ბიუროების წევრების და მსხვილ უჯრედთა მდივნების თანდასწრებით. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები 1) ს. კ. პ. მესამე რაიკომის მუშაობის ანგარიში 2) ანარიცხის შესახებ ინგლისის მაღაროს მუშების სასარგებლოდ.

მესამე რაიკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვართაპეტოვმა. მომხსენებელი ვრცლად შეეხო რაიკომის მუშაობას 1925 წ. ოქტომბრის თვიდან—ამ დრომდე.

შეეხო რა ნაციონალურ საკითხს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მდგომარეობა ამ მხრივ სავსებით დამაკმაყოფილებელია. გაუგებრობას ეროვნულ ნიადაგზე ადგილი არ ჰქონია. მესამე რაიონში არიან სომხები, ქართველები, თურქები, რუსები და სხ.; ერების ასეთი მრავალფეროვანობა რამოდენიმედ აფერხებს მუშაობის ტემპს.

რაიკომის პრეზიდიუმი სათანადო ყურადღებას აქცევდა სამეურნეო ხასიათის საკითხებს. სხდომაზე ხშირად ისმებოდა სამეურნეო დარგში მომუშავე ამხანაგების მოხსენებები.

რაიონულ ორგანიზაციის შემადგენლობა შემდეგია: სულ რაიონში ირიცხება პარტიის წევრები და კანდიდატები 1.156 კაცი. ამათგან მამაკაცი 1.071 (96%) და ქალები—85. დაზგის მუშები ორგანიზაციაში შეადგენს 53 პროცენტს. პარტიაში მიღებას რაიკომი ფრთხილად ეპყრობოდა. საანგარიშო ხნის განმავლობაში ორგანიზაციაში მიღებულ იქნა 125 კაცი. ამათგან მუშებია 99 კაცი (92%) გლეხები—18 და მოსამსახურენი 8 კაცი, ასე რომ ორგანიზაციის ზრდა ხდება უმთავრესად მუშების ხარჯზე. ნაციონალური შემადგენლობის მხრით ახალ მიღებულთა შორის ქართველები არიან 43 კაცი, სომხები—50 კაცი, თურქები 11 კაცი, რუსები—18 კაცი და დანარჩენი 3 კაცი. ორგანიზაციაში იყო დისციპლინის დარღვევის (საწევრო გადასახადის დროზე არ გადახდა, კრებებზე დაუსწრებლობა და სხვა) შემთხვევაც. გამორიცხულ იქნა პარტიიდან 10 კაცი. ამათგან თავის ნებით გამოვიდა 2 კაცი (ოჯახური მდგომარეობის გამო) ორგანიზაციიდან გასიურ გამოსვლას ადგილი არა აქვს. ყველა უჯრედები გადავიდენ საგეგმო მუშაობაზე. უჯრედების მუშაობის გეგმა სწარმოებს კალენდარული ცხრილის მიხედვით.

უჯრედების ბიუროთა გადარჩევის წინ მოწვეულ იქნა უჯრედების მდივნების თათბირი, რომელზედაც გაკეთებულ იქნა საინსტრუქციო მოხსენება ამ საკითხზე.

უმთავრესი ნაკლულოვანებანი, რომელიც გამოირკვა ბიუროთა გადარჩევის დროს შემდეგია:

1) მასიური მუშაობის სისუსტე.
2) პარტდისციპლინის სისუსტე.
3) სუსტი ხელმძღვანელობა საწარმოო და ეკონომკომისიებზე.
4) პარტიის წევრების სუსტი დასწრება პოლიტსკოლებში და პოლიტწრეებში სამაცდინოდ.
5) ამხანაგების არა თანასწორად დატვირთვა მუშაობით.

ახალ ბიუროთა შემადგენლობის ნაციონალური და სოციალური შემადგენლობა დამაკმაყოფილებელია. უჯრედების მუშაობაში უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ ხასიათის საკითხებს არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება რაიც აიხსნება იმ გარემოებით, რომ დღის წესრიგისთვის იყო წამოყენებული საკმაო საკითხები თბილისის კომიტეტის და რაიკომის მხრივ.

ქალთა შორის მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სადელეგატო კრებები იყო სულ 10, ამათგან 2 ქალაქად და 8 მაზრაში.

რაიონში იყო დაარსებული 20 სკოლა. პოლიტსკოლების ქსელში ჩაბმული იქნა 806 კაცი. ამათგან სკოლები დაამთავრეს 605 კაცმა (70% ორგანიზ. შემადგენლობის). სკოლებში დასწრების საშუალო პროც. იყო 56%. რაც შეხება კომკავშირს უნდა აღინიშნოს, რომ პარტკადრი კავშირში არ არის საკმაო.

პროფ. კავშირებთან არის მჭიდრო კავშირი.

მე-14 პარტყრილობის დადგენილებანი, გარდა უჯრედის კრებებისა, იქნა დამუშავებული აგიტკოლექტივებში და აგიტწრეებში.

თანამომხსენებელმა ამხ. სვანიძემ აღნიშნა შემდეგი ნაკლულოვანებანი.

1) არასაკმაო ხელმძღვანელობა რაიკომის პრეზიდიუმის მიერ განყოფილებებზე.
2) არა საკმაო ორგანიზაციული ხელმძღვანელობა უჯრედებზე.
3) ორგთათბირის მუშაობა სუსტია.
4) ორგანიზაციული სტრუქტურა ზოგიერთი უჯრედების არ არის სწორი.
5) ნებაყოფლობითი საზოგადოებანი სუსტად მუშაობენ.
6) უპარტიოების დასწრება უჯრედის ღია კრებებზე ძლიერ მცირეა.
7) უჯრედების მდივნების თათბირი სუსტად მუშაობს.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

პლენუმმა მესამე რაიონის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და გამოიმუშავა მომავალი მუშაობისათვის მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებისა ზემოაღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად.

შემდეგ ამხ. სვანიძემ გააკეთა ინფორმაციული მოხსენება ინგლისის მაღაროს მუშების სასარგებლოდ ანარიცხის შესახებ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ბარიტი

ქუთაისი, 18 ივნისი. ივნისის თვეში ბარიტის ამოღება და მოტანა გასულ თვესთან შედარებით 100% აიწია.

გაფლანგვისათვის

ქუთაისი, 18 ივნისი. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ბაღდათის ერთიან მომხმარებელ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის: გრიგოლ ფურცელაძის და იმავა კოოპერატივის ნოქრების: ერმილე ნატროშვილის, კირილე გიორგაძის, ვასილ დოგრაშვილის და აკაკი და სერგო მემარაშვილების. ერმილე ნატროშვილი სასამართლომ დამნაშავეთ სცნო 1.000 მან. გაფლანგვაში და მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. კირილე გიორგაძე—900 მან. გაფლანგვაში და მიესაჯა 1 წ. 2 თვე. დანარჩენები სასამართლომ გაამართლა.

ექსკურსიაზე

ქუთაისი, 18 ივნისი. 18 ივნისს საღამოთი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თბილისში მოემგზავრება გლეხთა 105 დელეგატი ქუთაისის მაზრის ყველა თემებიდან.

ახალი ხიდი

ქუთაისი, 18 ივნისი. სოფელ ამბროლაურში დაიწყეს მუშაობა დიდი ხიდის ასაგებათ მდინარე რიონზე.

ქურდები

ქუთაისი, 18 ივნისი. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ლანირ-ჭაგანის ერთიან მომხმარებელ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის: კირილე მანჯგალაძის, იმავე კოოპერატივის გამგეობის წევრების: ნიკოლოზ კიკელიას და პავლე მანჯგალაძის და ნოქრის ალექსანდრე ლეჟავას, რომელთაც ბრალი ედებოდათ „კავშირიდან“ მიღებულ 160 არშინი მანუფაქტურის მითვისება. სასამართლომ კირილე მანჯგალაძე და ნიკოლოზ კიკელიას მიუსაჯა თითო წლით თავისუფლების აღკვეთა; დანარჩენები გაამართლა.

ქურდების ბანდა

ახალ-სენაკი, 18 ივნისი. ბანძის რაიონის მილიციამ აღმოაჩინა ქურდ-რეციდივისტების დიდი ბანდა, რომელნიც სამეგრელო-გურია იმერეთში მოქმედებდნენ.

ბანდა მსხვილფეხა საქონლის ქურდობას ეწეოდა.

სპილენძის მადანი

თალავი, 18 ივნისი. ჩამოვიდა გეოლოგების კომისია პროფესორ კოზმევსკის მეთაურობით, რომელიც გაემართა სოფელ ართანისკენ სპილენძის მადანის გამოსაკვლევად.

წერილები

წყალტუბო. შენდება

(წერილი ქუთაისის მაზრიდან)

წყალტუბოს ძველად „კუნტის“ და ქარების აბანოს ეძახოდნენ, რაიც ამ წყაროს იშვიათი მკურნალობითი ღირებულების მაჩვენებელია.

დღემდე ეს აბანოები თითქმის უყურადღებოდ იყო. მართალია გასაბჭოების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა აქ (ეზო შემოიღობეს, შენობები შეაკეთეს, ბაღის გაშენებას შეუდგნენ, აბანოებიც შეაკეთეს), მაგრამ ახალი ამით არაფერი შესძენია წყალტუბოს.

რაც მთავარია არ იყო, ხეირიანი გზა კურორტისათვის. შარშან ერთხელ და უკანასკნელად გადაწყდა გზატკეცილის გაყვანა და კიდეც შეუდგნენ ამ მუშაობას. გზატკეცილის გაყვანაზე დღესაც გახურებული მუშაობა სწარმოებს. ის უნდა დამთავრდეს აგვისტოს შუა რიცხვებისათვის.

არც გზები არის კარგად მოწყობილი, რომელნიც, როგორც გაკეთებულა მამა-პაპის დროს, იმვევა ეხლაც. წელს შეუდგნენ აუზების საფუძვლიანად შეკეთებას, მაგრამ ე არ კმარა. საჭიროა ახალ სისტემაზე იქნეს მოწყობილი აუზები.

დღეს მაგ. ასეთი მდგომარეობაა: არის აუზები, რომლებშიაც 30—40—50-დე ავადმყოფი ერთად ჩადიან.—ამ ნიადაგზე მრავალ გაუგებრობას აქვს ადგილი და, რაც უმთავრესია, საერთო აუზი სნეულების გადადების შესაძლებლობას ჰქმნის.

ამ აუზების ნაკლი კიდევ ის იყო, რომ ძირზე მოყრილი იყო ხრეში ქვები, რაიც ჩხვლეტდა მობანავეს ფეხებს და ნერვებს უშლიდა მათ. არ იყო აგრეთვე ხეირიანი გასახდელი და დასაჯდომი. წელს ყველა ეს დაბრკოლებები აცილებული იქნება თავიდან.

№ 1, დიდ აბანოში, ნატეხი ქვის მაგიერ დაგებულია თლილი ქვები. გაკეთდა ტანთგასახდელი განყოფილება და დასაჯდომები. გაკეთდა აუზში წყლის ორი გასაშვები—ერთი ძირში, ხოლო მეორე ზედაპირზე.

№ 2, აბანოს გაუკეთდა ფუნდამენტი. ამ აბანოშიც დაგებულ იქნა თლილი ქვები. შეკეთდა ყველა შენობები, განსაკუთრებით შეკეთებულია კუჭის წყლის შენობა და გიორგი იოსელიანის ყოფილი სახლი. ამ სახლის ქვეშ მოეწყო საუცხოვო სასადილო.

ორჯერ გადიდდება კოდის აბანო. ამ აბანოს უკან ამოჩუხჩუხებდა ყველაზე უფრო დიდი რადიო შემადგენლობის წყარო, რომელიც მდინარის ერთვოდა და ტყუილად იკარგებოდა. დღეის კი ეს წყალი გამოყენებულ იქნება მიზან შეწონილად.

დიდ აბანოზე კეთდება ტალახის და მზის ვანნების მისაღები მოედნები. ის, ვიეზირთილა აუზია და მობანავეებისათვის საშიშროებას წარმოადგენდა თავისი სიღრმით. ის მოუწყობელი იყო და არა ერთი კაცი დაღუპულა აქ. დღის შიგ მოგებული იქნება იატაკი განსაზღვრულ სიმაღლეზე. რითაც თავიდან აცილებული იქნება უბედური შემთხვევა.

გარდა ამისა, შენდება სრულიად ახალი ორი თვალი აბანო. შენობა ქვისაა: ერთი თვალი ქალებისათვის, ხოლო მეორე კაცებისათვის. ეს აბანო შენდება სპეციალურად ახალ ჩამოსულთათვის. აქ უნდა იბანაოს ყველა ახალ ჩამოსულმა, გასუფთავდეს და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემათ უფლება ჩავიდნენ სუფთა აუზებში.

აბანო—მიიღებს საათში 30 სულს (15 ქალს—15 კაცს). აქვე შეეძლებათ ბანაობა ადგილობრივ გლეხებსაც. ამ აბანოსთან იქნება მოწყობილი სამრეცხაო თავისი სადეზინფექციო, საშრობ-საუთაო განყოფილებებით.

ასეთია წყალტუბოს დღევანდელი აღმშენებლობა. მაგრამ კმარა ეს?!

ცხადია, არა.

წყალტუბოს უამრავათ ხალხი აწყდება. ეს ქმნის დიდ მოთხოვნილებას სადგომ ბინებზე. ასეთი კი ძლიერ მცირე იყო, რის გამო მრავალი უკან ბრუნდებოდა, ხოლო მრავალი ცის ქვეშ ათევდა ღამეს.

წარმოიდგინეთ აბა, როგორი აგარაკობა-მკურნალობა ექნებოდათ ასეთ პირობებში ავადმყოფებს?

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სადგომ ბინების აგებას.

შენობების უმრავლესობა, რომელიც დღეს გვაქვს აგარაკზე თითქმის გამოუსადეგარია.

ეს შენობები სავსებით უნდა იქნას მოშლილი. მის ადგილზე კი ახლები უნდა ავაგოთ.

ამ სეზონში წყალტუბოს მიემატა ერთი დიდი შენობა, რამდენიმე ათეულ ოთახებით, რომელიც აგებულ იქნა საქ. ცენტრალურ დამზღვევ სალაროს მიერ. შენობას არაუშავს, ოთახებიც გვარიანია, ხოლო არ შეიძლება ითქვას. რომ ის კარგად არის აგებული. ეს სახლი უფრო ყაზარმას მოგაგონებს, ვიდრე საგარაკო შენობას.

აგარაკზე შენდება სხვა შენობებიც, რომელნიც მოკლებული არიან ყოველივე გეგმას. არ არის დაცული სისტემა.

ისე უნდა ავაგოთ ახალი შენობები, რომ შემდეგ მათი დანგრევა არ შეგვიხდეს. საკურორტო სამმართველომ ამას დაუყოვნებლივ უნდა მიაქციოს ყურადღება.

ამასთანავე. მიუხედავად იმისა, რომ ამ „დალოცვილ“ ადგილზე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამოჩუხჩუხებს თბილი-სამკურნალო წყლები, აბანოები მხოლოდ ოთხ ადგილზეა მოწყობილი, ისიც სამი პატარები, ორ-ორ თვალიანი. ეს აღარ აკმაყოფილებს მოზღვავებულ ხალხს და ვეებერთელა კუდებია აბანოებთან ჩამწკრივებული. სადაც რამდენიმე საათი უხდება მოქალაქეებს რიგზე დგომა და ყურყუტი.

უნდა გაშენებულ იქნეს ახალი აბანოები, რის შესაძლებლობასაც იძლევა უხვად მოჩუხჩუხე წყაროები.

ნ. ალინი.

წერილებიდან

ს. ბუგეული (რაჭა)

— ეს დაუშვებელია. აქაურ კოოპერატივის თანამშრომლები, ასე სჭრიან და კერავენ, როგორც მათ მოუხდებათ. 12 ივანობისთვის სევერიან ფოფხაძემ და კოსტა გურბანიძემ დაკეტეს კოოპერატიული სავაჭროები და საქეიფოდ გაემგზავრნენ მახლობელ სოფელში. ამნაირათ ბუგეულის კოოპერატორები გლეხებთან კავშირს კოოპერატივის დაზგაზე კი არ ანხორციელებენ, სუფრასთან და ხელადასთან უკავშირდებიან მათ.

შმაკი.

ს. წავკისი (თბილ. მ.)

უნდა აილაგმონ. ჩვენი სოფლის მიწის კომისიაში სხვებთან ერთად არჩეული იყო მიტრო ქოროღლიშვილი. კომისიამ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მუშაობა დაასრულა და ყოფილ თავადების მიწები დაურიგა გლეხებს. მიწის განაწილებით უკმაყოფილო დარჩენ ფიხზე მოვაჭრე წავკისელი გლეხები: ვასო ფეიქრიშვილი და ლადო ქოროღლიშვილი. ვინ იცის რით არ ემუქრებიან ისინი კომისიის წევრს მიტრო ქოროღლიშვილს. საჭიროა აქედავე მიიღოს ზომები ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსალოდნელ სისხლის ღვრის თავიდან ასაცდენათ.

მეზობელი.

მუშათა ცხოვრება

ორი გამოფენა

(მუშის მოგონება)

ამიერ-კავკასიის სას.-სამ. გამოფენაზე დიდძალი ხალხი დაიარება. განსაკუთრებით კვირა-უქმე დღეს, როცა მშრომელთათვის დასვენების დღეა. მშრომელთა მასას აინტერესებს ნახოს სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომლებიც მრავლად არის აქ გამოფენილი.

დღევანდელ გამოფენას სხვანაირი ელფერი აქვს და შენდაუნებურად გაგონებს ამ 26 წლის წინად კავკასიის გამოფენას, რომელიც გამართული იყო მუშტაიდის ბაღის შესავალთან. მაშინდელი კავკასიის გამოფენა უფრო თავად-აზნაურებისათვის იყო მოწყობილი და მათ გასართობათ ითვლებოდა.

მაშინ [illegible] გაკოტრების გზაზე დამდგარი „ბრწყინვ[illegible]ლე“ წოდება თავის ხანჯალ-ქამრით და სხვა[illegible] ხვაფერ ჩოხებში გამოწყობილი ერთ „დიუჟინ[illegible]ე“. თვითონაც იყვნენ გამოფენილნი, რომ თავ[illegible] „მოეჭრათ“ რუსეთიდან აქ ჩამოსულ არისტოკრატებისათვის და მათთვის თავი მოეწონებინათ:

— აბა, შემოგვხედეთ, რა ბიჭები ვართ ქართველი თავად-აზნაურებიო!

ბევრ მათგანს „ზედმა“ გაულიმა და „პროპორშჩიკის“ ეპოლეტებით „დაიმშვენეს“ მხრები და რუსთაველის პროსპექტზე მათი შიშით ჯარისკაცები ვერ ბედავდენ გამოსვლას—ეს ჩიტირეკია და მეტიჩარა მუქთახორები განრისხებით აჩერებდნენ გზად მიმავალ ჯარისკაცებს, რომ მათზე გული ეჯერებინათ:

— როგორ გაბედე და „პოდკოზირიოკი“ არ მომეცი, ხომ ხედავ „ოფიცრის“ პაგონები მაკერია, კავკასიის გამოფენაზე ხელმწიფემ გვიბოძაო.

ერთი მათგანი, თბილისში კარგად ცნობილი მუქთახორა და ყოველთვის მშიერი, გამოფენის შემდეგ ბარონის ტიტულით დააჯილდოვა ყირიმიდან ჩამოსულმა ერთმა ბარონესმა და ბოლოს, გახუნებული ჩოხის გამოცვლის შემდეგ, ყირიმისაკენ გაემგზავრა და „კაცი“ გახდა...

სხვანაირ სიომ დაჰბერა და ოქტომბრის ტალღამ ისინი ისტორიულ არქივს ჩააბარა.

დღეს გამოფენაზე მშრომელი მასა დაიარება და ითვალისწინებს, თუ რომელი მანქანა არის გამოსადეგი მშრომელთა სამეფოს ასაყვავებლად, აუტანელი შრომის უფრო მარტივი მანქანების საშუალებით დასამუშავებლად კულტურის ასაყვავებლად და მუშურ-გლეხური რესპუბლიკის განსავითარებლად, რომ შრომამ თავის ნაყოფიერებით ყველა უხვად დააჯილდოვოს და ფაბრიკა-ქარხნების ქსელით მოფინოს შრომის ქვეყანა.

დღევანდელი და 1900 წლის გამოფენას შორის დიდი განსხვავებაა. ძველად მუშები და გლეხები წელებზე ფეხს იდგამდნენ, დღე-ღამეს ასწორებდნენ, მათი შრომის ნაყოფი სოფელში „ბრწყინვალე“ წოდებას ეკუთვნოდა. ქალით მიჰქონდათ, რომ ქალაქ თბილისში ქეიფში და დროს ტარებაში რამდენიმე დღეში გაენიავებიათ სიმწარის ოფლით გლეხების მიერ ნაწვავ-ნადაგი...

ქალაქის მუშებიც ასეთ დღეში იყვნენ და მათი შრომის ნაყოფს და ზედმეტ ღირებულებას ბურჟუაზია ითვისებდა, მუშა კი მარტო ხმელ პურზე იყო თავისი ცოლშვილით ცივ და ნესტიან სარდაფებში...

მაგრამ დღეს აშკარად ვიტყვით, რომ არც ისე შორსაა ის დრო, როცა ჩვენი პატარა კუთხე გადაიქცევა ინდუსტრიალურ საწარმოო ქვეყნათ. ამის თავდები არიან ის მუშები და გლეხები, რომელნიც დიდი ინტერესითა და ხალისით ათვალიერებენ ამიერ-კავკასიის გამოფენას დიდუბეში, რასაც ხელს უწყობს საბჭოთა წესწყობილება.

მუშკორი ყ—ნი.

ჩვენი ქარხნის წარმოება გაიზარდა

როზა ლიუქსემბურგის სახელობის ს. მ. უ. ს. პაპიროსის ქარხანაში ითვლება 332 მუშა-ხელი. მათ შორის ქალია 235 მამაკაცი 119, მოზარდი თვრამეტ წლამდე—8. აქედან ეროვნების მხრივ ქართველი 107, რუსი 110, სომეხი 100 და სხვადასხვა ეროვნების 15 მუშა. მუშების საშუალო თანრიგია მე-6-ხე ამ თანრიგით მუშა ღებულობს 46 მან—25 კაპ. ხელფასი მინიმუმი პირველი ხარისხისათვის უდრის 18 მან. 50 კაპ., ხოლო მაქსიმუმი იგივე ხელფასის მე-17-ე თანრიგით 148 მან. დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება საქართველოს ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტსა და გემოკვების კავშირს შორის.

ფაბ-ქარხკომმა გაგზავნა წერა-კითხვის უცოდინარი მუშები სალიკვიდაციო პუნქტში რიცხვით 60 კაცი.

ქარხანაში გამოდის კედლის გაზეთი „წითელი თავსაფარის“ სახელწოდებით. გაზეთს ჰყავს 35-დე კედლის კორესპონდენტი. გაზეთი შინაარსიანია და ემსახურება ადგილობრივ მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

ამჟამად გამოსულია კედლის გაზეთი მე-7-ე ნომერი სარედაქციო კოლეგიაში მუშაობს 9 კაცი.

კოლექტიური ხელშეკრულება დადებულია 1-ლ აპრილიდან 6 თვის ვადით 1ლ ნოემბრამდე კოლხელშეკრულება ცხოვრებაში ტარდება სწორად, რაც ადმინისტრაცია და მუშებს შორის ქმნის მებრძოლ განწყობილებას და ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ქარხანაში შრომის ნაყოფიერებამ საგრძნობლად მაღლა აიწია. ავიღოთ მაგ. საშუალო სამუშაო ერთი თვისა. ერთ თვეში მუშები აკეთებენ ორმოც მილიონ ცალ პაპიროსს. ხოლო მაისისის თვის განმავლობაში გაკეთდა გაცილებით მეტი ე. ი. ორმოცდაშვიდი მილიონი. ამგვარად. წარმოება დაახლოვებით ხუთი პროცენტით გაიზარდა ერთი თვის განმავლობაში.

ეს კი ქარხნის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მუშკორი ჯავ—შვილი.

კანონებს ბოროტად იყენებენ

ყველამ ვიცით, რომ დღეს მთელ საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკების მაშტაბით ვერ ვნახავთ ვერც ერთ დიდ და დაბა ქალაქებსაც კი, სადაც საბინაო საკითხი მწვავედ არ იდგეს. მაგრამ არც ისე ბოროტად უნდა ექცეოდნენ ასეთ მოვლენას სახლის პატრონები, როგორც მას თბილისის სახლის პატრონები სჩადიან. წინედ მათ თითქმის სახლები ხელიდან ეცლებოდათ და მაშინ ისინი ნიანგის ცრემლებს აქცევდნენ „ოღონდ ჩვენი საკუთრებად დაგვრჩეს სახლები, ნუ ჩამოგვართმევთ და როგორ ფასებსაც არ დააწესებენ, სიამოვნებით მივიღებთო“. მაგრამ, როცა სახლის პატრონებს მიეცათ ნება თავიანთი სახლების თავისუფალი გაქირავების; აქ უკვე ემჩნევათ სიბოროტე ყველა იმათ, ვისაც გასაქირავებელი სახლი აქვთ. თუ მისცემ ერთ ოთახში 60—100 მანეთამდე წინდაწინ მაშინ მოგაქირავებენ, ოთახს თუ არა და იხეტიალე ქუჩებში, ვინაიდან ოთახში არც კი შეგახედებს.

რა ქნას საბრალო მუშამ. ის მზად არის გადიხადოს ყოველ თვე 5—10 მან. და ერთად კი წინდაწინ 60—100 მან.—არ აქვს.

განას ასეთი თავგასულობა დასაშვებია?

იმედია აღმასკომი სათანადო ყურადღებას მიაქცევს ამას და ალაგმავს სახლის პატრონთა თავგასულობას.

მუშა ვასო.

მუშათა ქრონიკა

— **საკავშირო კედლის გაზეთი.** ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ცენტ. გამგეობის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა გამოსცეს საკავშირო კედლის გაზეთი.

— **გაფლანგვა.** წითელდროშოვან სასურსათო ბაზის ადგილკომის პასუხისმგებელმა მდივანმა კარაპეტიანცმა გაფლანგა საკავშირო თანხა 202 მან. 73 კაპ. რაოდენობით. ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის გამგეობამ ხსენებული პირი კავშირის წევრობიდან გამორიცხა და საქმე სასამართლოს გადასცა.

— **ტრანსპორტზე** მომუშავეთა კავშირმა დამზღვევ სალარო საპენსიო კომისიაში წარმომადგენლად გაგზავნა ამხ. პაიჭაძე.

— **ბალისთვის.** ავტო-კლუბის ბალის მოსაწყობად ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირმა გადასდო დამატებითი თანხა 150 მან. რაოდენობით.

— **ტრანსპორტზე** მომუშავეთა კავშირმა გამოჰყო კომისია სამი კაცის შემადგენლობით რომლებიც გაანაწილებს მუშებს შორის კურორტებზე დათმობილ ადგილებს.

პროფკავშირებში

ყველა სამაზრო პროფბიუროებს და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებს

ინგლისის მაღაროს მუშების დასახმარებელ ფონდში ფულის შემოტანა მიმდინარეობს მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლად. ბევრმა ორგანიზაციებმა საკმაო ყურადღება არ მიაქციეს ხსენებულ ფონდისათვის ფულის შეგროვების საქმეს. ზოგიერთ პროფკავშირებს სრულიად არ შეუგროვებიათ და არ გაუგზავნიათ საქ. პროფსაბჭოში ფული, ზოგიერთებმა კი შეაგროვეს ძლიერ მცირე თანხა. ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ საქართველოს პროფსაბჭომ ვერ შესძლო გადაეგზავნა საკავშირო პროფსაბჭოსათვის ინგლისში გასაგზავნათ 30.000 მანეთზე მეტი.

ვინაიდან მაღაროს მუშათა გაფიცვამ მიიღო ხანგძლივი ხასიათი, პროფორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ინგლისის გაფიცულ მუშების დასახმარებლად ფულის შეგროვების საქმეს, უნდა აუხსნან პროფკავშირების წევრებს გაფიცვის მნიშვნელობა და სხვა.

იმ მიზნით, რათა შეგროვილ თანხის გადაგზავნა უფრო გაადვილებულ იქნეს და სამაზრო პროფბიუროებს და პროფკავშირთა საბჭოს მეტი საშუალება ექნეთ ფულის შეგროვების ხელმძღვანელობისა, საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროთ აღიარა შეცვლილ იქნას შეკრებილ თანხის გადმოგზავნის წესი. ამასთანავე საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რათა სამაზრო განყოფილებებში შეკრებილი თანხები მოკრიბონ სამაზრო პროფბიუროებმა და პროფსაბჭოებმა და გადმოგზავნონ საქ. პროფსაბჭოში.

დაუყოვნებლივ უნდა შეკრებილ იქნას სამაზრო განყოფილების საშუალებით პროფკავშირთა წევრებს შორის დღიური ხელფასის ერთი მეოთხედი და უკვე შეკრებილ თანხებთან ერთად სასწრაფოდ გადმოიგზავნოს სამაზრო პროფბიუროს და ავტონომიურ რესპუბლიკებში—პროფსაბჭოების საშუალებით საქართველოს პროფსაბჭოში. ამასთანავე უნდა იყოს აღნიშნული, თუ რომელ კავშირიდან რამდენი თანხა იგზავნება.

ამ საქმის დაუყოვნებლად და სისწორით განხორციელებას თქვენ გავალებს ის გარემოება, რომ ინგლისის მაღაროს მუშები თვენახევარზე მეტია, რაც გაფიცულნი არიან და მტკიცედ იცავენ თავიანთ მოთხოვნილებებს. ჩვენი მოვალეობაა სათანადო დახმარება აღმოუჩინოთ გაფიცულ მოძმეთ.

საქ. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყ. გამგე: **მარკმანი.**

ყველა ცენტრალურ გამგეობებს

ძვირფასო ამხანაგებო! საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად. სამაზრო პროფბიუროებს და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფკავშირთა საბჭოებს მიეცათ წინადადება, რომ მომავლისათვის პროფკავშირთა სამაზ. ვანყოფილებების მიერ ინგლისის გაფიცულ მაღაროს მუშების სასარგებლოდ შეკრებილი თანხები გადაეცეს პროფკავშირთა სამაზრო ბიუროებს და პროფსაბჭოს, რომლებიც შეგროვილ თანხებს უშუალოდ გადაგზავნიან საქართველოს პროფსაბჭოში.

ამ მუშაობის წარმატებით ჩასატარებლად საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ შეკითხვების საშუალებით, რაც შეიძლება ხშირად შეამოწმოთ და გამოარკვიოთ, რამდენად ასრულებენ თქვენი კავშირის სამაზრო განყოფილებები კავშირის წევრთა ხელფასიდან აღნიშნული მიზნისთვის გადადებული თანხების აკრეფის საქმეს და იგზავნება თუ არა ეს თანხები პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **ფანცხავა.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე **მ. მარკმანი.**

ინგლისის გაფიცულ მუშებისათვის

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა 17 ივნისის სხდომაზე დაადგინა, რომ ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვის დახმარების კამპანია ხელმეორეთ იქნას ჩატარებული, მაისის თვის ხელფასიდან გადადებული ფული დაუყოვნებლივ იქნას შეკრებილი. თუ მუშა-მოსამსახურეები საზოგადო კრებაზე კიდევ გამოსთქვამენ სურვილს დამატებითი დახმარების შესახებ, მათ უფლება ეძლევათ გადასდვან ივნისის თვის ხელფასიდან დღიური ხელფასის ერთი მეოთხედი.

ეკონომიური ცხოვრება

ვაჭრობა ოსმალეთთან

ამიერ-კავკასიის ვაჭრობა ოსმალეთთან დაიწყო 1923 წელში; პირველ წლებში სავაჭრო ბრუნვა არ იყო დიდი; მაგალითად, 1924—25 სამეურნეო წლის ექსპორტის ბრუნვა უდრიდა მხოლოდ 220.000 მანეთს.

ვაჭრობა ოსმალეთთან სწარმოებდა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საშუალებით. უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში ანატოლიაში გახსნილი იქნა რამოდენიმე კანტორა, რომელთა სავაჭრო ბრუნვა საგრძნობლად იზრდება. ჩვენი ექსპორტის განვითარებას შედეგათ მოყვა ევროპიული შაქრის, ნავთის, ლითონის ნაწარმოების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების და სხვა საქონლის განდევნა ანატოლიის ბაზრიდან.

ამიერ-კავკასიის და ოსმალეთის ვაჭრობაში ერთ-ერთ მთავარ საქონელს წარმოადგენს საბჭოთა საფეიქრო ფაბრიკებში დამზადებული ბამბეული მანუფაქტურა; ამ უკანასკნელმა ნაწილობრივად უკვე განდევნა ოსმალეთის ბაზრებიდან უცხო სახელმწიფოების საფეიქრო ნაწარმოები.

გარდა აღნიშნული საქონლისა, ოსმალეთში დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე საბჭოთა საღმშენებლო მასალებზე. ამ საქონლის გატანა მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საექსპორტო ოპერაციებში. ამჟამად უკვე მზადაა ანატოლიაში გასატანად 50.000 ფუთი ცემენტი, 10.000 ფუთი სახურავი რკინეულობა და სხვა საამშენებლო მასალები, უმთავრესად ლითონის ტრესტის ნაწარმოები.

სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას ოსმალეთთან ხელს შეუწყობს სატრანზიტო გზის გახსნა აღმოსავლეთ ანატოლიიდან ევროპაში ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე გავლით; ამ გზით განზრახულია ოსმალეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანა ევროპაში.

თუ რამდენად გაძლიერდა ჩვენი ვაჭრობა ოსმალეთთან სჩანს იქიდან, რომ მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ ნახევარში ოსმალეთში გატანილი იქნა 430.000 მანეთის საქონელი.

ლითოგრაფიის ქვა

ს. მ. უ. ს. ლაბორატორიაში ამჟამად სწარმოებს ქართული ლიტოგრაფიული ქვების ხელმეორე გამოცდა.

ამჟამად ბაზარზე ლიტოგრაფიული ქვების დიდი მოთხოვნილებაა, ვინაიდან გერმანიაში არსებული ზოლინგოფენის ქვების მარაგი ძლიერ შემცირდა და სხვაგან არსებული მადნები ვერ იძლევიან კარგი ხარისხის ქვებს.

ჩვენში ლიტოგრაფიული ქვის მადნები მოიპოება დუშეთის, თიანეთის და თელავის მაზრებში, მთაგრეხილის მიყოლებით.

ანალიზის შედეგებით ირკვევა რომ ზოლინგოფენის ქვა ჩვენს ქვას ბევრად ვერ სჯობია, მხოლოდ იქ (გერმანიაში) ამ ქვებს ამუშავებენ ნივთიერებით, რომლის ქიმიური შემადგენლობა ჩვენთვის უცნობია.

თუ ჩვენში მოეწყო ლიტოგრაფიული ქვების ისეთი ტეხნიკური გადამუშავება, როგორც გერმანიაში, მაშინ ჩვენებური ქვა დაიპყრობს საერთაშორისო ბაზარს.

ა.-კ. რაიონებათ დაყოფა

ა.-კ. საგეგმო კომისიის დადგენილებით, ამიერ-კავკასიის რაიონებად დაყოფის მიზნით მოწყობილმა კომისიებმა მუშაობა უნდა აწარმოონ ორი მიმართულებით:

უნდა დაამუშაონ საკითხი ამიერ-კავკასიის და ცალკე რესპუბლიკების ეკონომიურ რაიონებად დაყოფის შესახებ და მოახდინონ ცალკე რესპუბლიკების ადმინისტრატიული დაყოფის ანალიზი ადგილებზე ხელისუფლების ორგანიზაციის და ქვედა ადმინისტრატიულ ერთეულების ფინანსიური ბაზის (ბიუჯეტის) თვალსაზრისით.

რაიონებად დანაწილებისათვის წარმოებული მუშაობა უნდა შეუთანხმდეს რესპუბლიკანურ კომისიების მუშაობას: ამ მიზნით უნდა გაძლიერდეს ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკანურ კომისიებს შორის კონტაქტი.

რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიებს დაევალათ განაგრძონ მუშაობა ნიხრების გამოსამუშავებლად და წარმოადგინონ ნიხრების პროექტი 1927 წლის პირველი ივნისისათვის.

ა.-კ. საგეგმო კომისიამ გადასწყვიტა დააწესოს ა.-კ. რესპუბლიკებში სატყეო აგარაკების 5 ჯგუფი იმის მიხედვით, თუ რა მანძილით არიან დაშორებულნი სატყეო აგარაკების გასაღების ბაზარს. როგორია სატყეო აგარაკების ტყეების მდგომარეობა და საგარაკოებში მიმავალი გზები. სატყეო აგარაკების ჯგუფებად დანაწილება უნდა მოახდინონ რესპუბლიკების მიწთმოქმედების სახალხო კომისარიატებმა ფინანსთა, შინა-ვაჭრობის კომისარიატების, ინსპექციის და სატყეო მრეწველობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თბილისის კომუნალური მეურნეობა

თბილისის აღმასკომის სტატისტ. განყოფილებას დამუშავებული აქვს სტატისტიკური ცნობები თბ. აღმასკომის კომუნალურ წარმოებათა შესახებ. ამ ცნობებიდან ნათლად სჩანს, რომ გასულ წლებთან შედარებით თბ. კომუნალური მეურნეობის ყველა დარგები შეუჩერებლივ უმჯობესდება.

წყალსადენი

მაღ. წყალსადენმა, წყალსაზომების რიცხვის გადიდების შემდეგ, საგრძნობლად გააუმჯობესა წყლის აღრიცხვა; დიდათ დაიკლო აგრეთვე წყლის დაღვრამ, რომელიც 1924-25 წელში მიწოდებული წყლის მთელი რაოდენობის 19 პროცენტს უდრიდა, ხოლო—ამჟამად კი 9.6 % არ აღემატება. ერთი ორად იმატა აგრეთვე წყლის ფულის შემოსავალმა, რაც მიღებულ ღონისძიებათა შედეგია.

ტრამვაი

ტრამვაის მეურნეობის და მოძრაობის გაუმჯობესება ყველასათვის თვალსაჩინოა. ამ კომუნალური წარმოების წარმატების დასახასიათებლად კმარა ორი ციფრის—მომუშავე ვაგონებისა და გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის—მოყვანა.

ნაცვლად გასული წლის 92 ვაგონისა, ამჟამად მუშაობს 129 ვაგონი, ხოლო გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 14.609.212 კაცის ნაცვლად ამჟამად აღწევს 21.246.580.

ელექტრო-სადგურები

თბილისის ქალაქის ელექტრო-სადგურების ნომინალური ძალოვნობა გადიდებულია 15 ცხენის ძალით, ფაქტიური ძალოვნობა კი 985 ცხენის ძალით ე. ი. 37,5 %-ით. 10.263 აბონენტს დაუხარჯავს 1.252.552 კილოვატ-საათი ენერგია, რისთვისაც მათგან მიღებულია 534 მანეთი. გასული წლის ამავე პერიოდში ელექტრო-სადგურების შემოსავალი 348.383 მანეთს არ აღემატებოდა.

სასაკლაო

საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე სასაკლაოს მეურნეობა, მისი პროდუქცია. 1924-25 წლის პირველ ნახევართან შედარებით, წელს დაკლული საქონლის რაოდენობა გაიზარდა 6,3 პროცენტით, ხოლო დაკლულ საქონლის წონა გასულ წლის პირველ ნახევარის 294.818 ფუთიდან ავიდა—333.062 ფუთამდე ე. ი. წელს თბილისის მცხოვრებლებს თითქმის ორმოცი ათას ფუთით მეტი ხორცი მოუხმარიათ, ვიდრე შარშან.

აბანოები

ყველაზე ნაკლებ დაწინაურებულიხ არიან აბანოები. მათი მუშაობა გადიდებულია მხოლოდ 1,5 პროცენტით.

ეს აიხსნება მით, რომ აბანოები უკვე სავსებით დატვირთულნი არიან.

აბრეშუმის პარკი

დასავლეთ საქართველოდან დაბრუნდა ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკის ინსპექციის გამგე ამხ. **მაზმანოვი,** რომელმაც ადგილობრივ დაათვალიერა აბრეშუმის პარკის დამზადების ოპერაციების მდგომარეობა.

ჩვენს თანამშრომელს, მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ, ამხ. **მაზმანოვმა** შემდეგი უთხრა:

მიმდინარე სეზონში აბრეშუმის პარკის მოსავალს სამაგალითო პირი უჩანს. თვისების მხრივ უკეთესია პარკი: ქუთაისის, სამტრედიის და ოზურგეთის რაიონებში, სადაც როგორც ჰავის, ისე ატმოსფერის პირობები ხელს უწყობენ აბრეშუმის ჭიის ნორმალურ მუშაობას; რაც შეეხება ზუგდიდის რაიონს, აქ მდგომარეობა შედარებით ცუდია, ეს აიხსნება განუწყვეტელი გვალვებით და არა ჩვეულებრივი სიცხეებით, რაც ინტენსიურ მუშაობის საშუალებას არ აძლევს ჭიებს. ამის გამო ზუგდიდის რაიონის პარკი ვერ შეედრება ზემოდ აღნიშნულ რაიონების პარკს ხარისხით. მაგალითად თუ სამტრედიის და ხონის რაიონში მოსალოდნელია 3 ფუთ ნედლ პარკიდან 1 ფუთ ხმელი პარკის მიღება, ზუგდიდის რაიონში მოსალოდნელია 3 ფუთიდან 10-15 გირვანქის.

პარკის თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოში წელს მოვა 145 ფუთი ნედლი პარკი, რომლიდანაც 20-25 ათასი ფუთი დატოვებულ იქნება საკუთარ საშუალებებით დამუშავებისათვის, ხოლო დანარჩენი გატანილ იქნება საბჭოთა კავშირის და უცხო ბაზრებზე. წელს დამზადებული პარკი ნაწილობრივ უკვე შემოაქვთ გასასყიდათ სამტრედიის ბაზარზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით რაოდენობა მისი მცირეა. პარკის მასიური შემოზიდვა ბაზარზე დაიწყება 26-27 ივნიიდან.

უნდა ითქვას, რომ შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებული ფასები პარკზე (22 მან. პირველ ხარისხისაზე და 20 მან. მეორეზე) გლეხებს აკმაყოფილებს. რადგან წელს პარკის მთელი მოსავალის გასაღება სრულიად უზრუნველყოფილია, უნდა ვიფიქროთ, რომ სასოფ.-მეურნეობის ეს დარგი მომავალში უფრო განვითარდება და მოსავალი მიაღწევს უდიდეს ნორმას—300 ათას ფუთს.

წელს დამზადება პარკისა სწარმოებს კოოპერაციის საშუალებით და უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ჯერ-ჯერობით კარგათ მუშაობენ და საკმაოდ მომზადებული არიან მოსავლის შესაკრებათ.

— გარდა რაიონების დათვალიერებისა, განაცხადა ამხ. მაზმანოვმა—ჩემს მიზანს შეადგენდა მეაბრეშუმეთათვის ფულის მიმწოდებელ პუნქტების მოწყობა ადგილებზე, რათა წლევანდელი კამპანია უმტკივნეულოთ ჩატარდეს, და საზ-ბა „აბრეშუმ“-თან დადებულ ხელშეკრულებათა ფარგლებში, დაკმაყოფილებულ იქნეს. როგორც შინა, ისე უცხო ბაზრების მოთხოვნილება.

ეს საქმეც შესრულებულ იქნა.

შტატები

სახკომსაბჭოში

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1926/27 საბიუჯეტო წლის შტატი დამტკიცებულ იქნა 181 კაცის რაოდენობით, თანახმად მ. გ. ინსპექციასთან არსებულ საშტატო კომისიის დასკვნისა.

აჭარისტანში

თანახმად მ. გ. ინსპექციასთან არსებულ საშტატო კომისიის დასკვნისა, აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატის 1926/27 საბიუჯეტო წლის შტატი დამტკიცებულ იქნა 172 კაცის რაოდენობით.

საკითხი ახალი დაწესებულების გახსნის შესახებ გაირჩევა საქართველოს განათლების სახ. კომისარიატის ახალი დაწესებულების გახსნის დროს.

ჯანსახკომში

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის 1926/27 საბიუჯეტო წლის შტატი პერიფერიებში 937 კაცის რაოდენობით.

საკითხი ახალი დაწესებულებათა გახსნისა და საწოლების გადიდების შესახებ არსებულ საავადმყოფოებში და ინსტიტუტებში, განხილულ იქნება ცალკე სხვა ახალი დაწესებულებებთან ერთად.

ზაჰესი

მუშაობა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასამთავრებლად და გასახსნელად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ელექტრო-ხაზის გასაყვანად და მოსაწყობად. ამ მიზნით მოსკოვში შეძენილია ცვალებადი დენის ელექტრო-ენერგიის 2.000 მრიცხველი, ამას გარდა 5.000 მრიცხველი შეკვეთილია ლენინგრადის სუსტი დენის ტრესტის ქარხნებში. მრიცხველების მიღება მოსალოდნელია მიმდინარე წლის დეკემბერში.

ამას გარდა შეძენილია მრავალი სხვადასხვა ელექტრო-მოწყობილობა თბილისის ქუჩების განათების მოსაწესრიგებლად.

ელექტრო-ქსელის გასაყვანა[illegible] [illegible]ძენილია 60 ტონა მავთული, აქედან 20 ტ[illegible] მიღებული იქნება ახლო ხანში. დანარჩენი რაოდენობა თბილისში მიღებული იქნება მიმდინარე წლის ნოემბერში. საერთოდ ყველა იმ მასალების მიღება, რომლებიც საჭიროა ელექტრო-ქსელის მოსაწყობად, მოსალოდნელია ზაჰესის გახსნის წინ.

სას. სამეურნეო მანქანები

შინა-ვაჭრობის კომისარიატის სპეციალურმა კომისიამ განიხილა და დაამტკიცა „ზაკსელმაში“-ს პროექტი გლეხების მიერ სასოფ.-სამ. იარაღ-მანქანებზე ხელმოწერის შემოღების შესახებ.

თანახმად ამ პროექტისა ხელმოწერას აწარმოებს „ზაკსელმაში“ შ.-ვაჭრობის კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით და ა.-კ. და რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების, სასოფ.-სამ. კოოპერაციის და მიწად-მოქმედების კომისარიატების მონაწილეობით.

ფინანსების მიწოდების და საშუალებათა გამონახვის საქმეს ამ შემთხვევაში იღებენ თავის თავზე სასოფლო-სამეურნეო ბანკები.

ხელმოწერა იწარმოებს ძირითად სასოფ.-სამ. კოოპერატივების საშუალებით.

ხელმოწერასთან ერთად ამიერ-კავკასიის ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონებში გაიმართება გლეხთა ყრილობები, რომლის წინაშე იწარმოებს სასოფ.-სამ. იარაღ-მანქანების დემონსტრაცია.

სატყეო ნიხრი

ამიერ-კავკასიის საგეგმო [illegible]მისიის პრეზიდიუმმა დროებით მისაღებათ სცნო საქართველოსათვის გამომუშავებული სატყეო ნიხრი და დაადგინა გატარებული იქნეს იგი ცხოვრებაში ნორმალურ ნიხრის გამომუშავებამდე. ამასთანავე მიღებული იქნა დადგენილება-წინადადება მიეცეს აზერბეიჯანს, სომხეთს, აფხაზეთს, აჭარისტანს და სამხრეთ-ოსეთს ერთი თვის განმავლობაში გამოიმუშაონ ახალი ნიხრები, რომლებსაც საფუძვლად უნდა დაედვას საქართველოსათვის გამომუშავებული ნიხრი.

საძოვრები

თანახმად ოსმალეთ-საბჭოთა კავშირს შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ, ზოგიერთმა მეცხვარეებმა უკვე გადარეკეს ცხვრის ფარა ოსმალეთის საძოვრებზე.

მიღებული ცნობებით, საძოვრებზე ძლიერ კარგი ბალახია და ჩვენი ცხვარი იქ ძლიერ ხეირობს.

ცხვრის საძოვრებზე გაყვანამ გავლენა მოახდინა ყველის ბაზარზე.

ორი კვირის შემდეგ საზოგადოება „მწყემსის“ ცნობებით, ყველის ბაზარი დაკმაყოფილებულ იქნება ახალი ყველით.

დახმარება სომხეთს

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო დახმარება გაუწიოს სომხეთის მოსახლეობას ვენახების აღდგენის საქმეში.

ამ მიზნით, საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა წინადადება მისცეს ამიერ-კავკასიის და სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკებს შეიტანონ თავის გეგმებში 1926—27 წლისათვის გრძელვადიანი კრედიტი 432.000 მანეთის რაოდენობით, რომელიც უნდა მოხმარდეს ვენახების აღდგენას.

ხორცის ბაზარი

თბილისის ხორცის ბაზარზე ამჟამათ მრავალ არასასურველ მოვლენებს აქვს ადგილი. რათა მოწესრიგებულ იქნეს ბაზარი და ასეთ მოვლენებს ადგილი აღარ ექნეს, თბილისის საქონლის ბირჟის კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსოს ბირჟასთან ხორცის სექცია, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ხორცის ბაზარს.

საგეგმო კომისიაში

საკონტროლო ციფრები

საქართველოს საგეგმო კომისიამ დაადგინა დაავალოს ყველა თავის სექციებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ სახალხო მეურნეობის 1926—27 წლის საკონტროლო ციფრების სათანადო ცხრილების შევსებას, რისთვისაც სპეციალურად გამოყენებული უნდა იქნეს სათანადო რიცხვი თანამშრომლებისა.

საკრედიტო ამხანაგობა

საქართველოს საგეგმო კომისიამ სასურველად სცნო ქ. ზუგდიდში საურთიერთო ნდობის ამხანაგობის დაარსება.

გადასახლება

საგეგმო კომისიამ განიხილა ახალქალაქის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობა სოფ. აბულის მცხოვრებთა გადასახლების შესახებ დ[illegible] [illegible]ადგინა ეთხოვოს მიწათმოქმედების და [illegible] საქმეთა სახალხო კომისარიატებს საქ[illegible] [illegible]ნეს შეკრებილი და გადაგზავნილი [illegible] კომისიაში შემდეგი ცნობები:

რომელ მაზრაში რა და რა სოფელია [illegible] სახლებელი სტიქიურ მიზეზთა გამო; რა[illegible] კომლისაგან შესდგება თვითეული მათგანი და რამდენი თანხაა საჭირო ამ მიზნით თითო სოფლისათვის.

მიღებული ცნობების თანახმად დახმარება უნდა აღმოეჩინოს ამა თუ იმ სოფელს საოპერაციო გეგმის ფარგლებში და ამისათვის ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა დროებით შეჩერებული უნდა იქნეს.

კრედიტი სახმედვაჭრობას

საგეგმო კომისიამ საჭიროთ სცნო მიეცეს სახმედვაჭრობას წარმოების გასაფართოებლად 30.000 მანეთის კრედიტი სამი წლის ვადით და 69.950 მანეთი ცხრა თვის ვადით.

დანარიცხები

საგეგმო კომისიამ მიიღო პროექტი ხე-ტყის საჭირკვო ღირებულებაზე პროცენტულ დანარიცხების შემოღების შესახებ; ეს პროცენტები უნდა მოხმარდეს ტყეების აღდგენას და მოშენებას.

სპეციალური ფონდი

საგეგმო კომისიამ დააკმაყოფილა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა ცხენთსაშენის განყოფილებასთან სპეციალური ფონდის დაარსების შესახებ.

სათესლე სესხი

სათესლე სესხის დაბრუნების საკითხი ჩვენში ვერ არის სათანადოთ მოგვარებული. გლეხები დროზე არ აბრუნებენ წაღებულ სესხს, არიან ისეთებიც, რომლებსაც ჯერჯერობით არაფერი არ გადაუხდიათ.

1924 და 25 წლის თესვის კამპანიის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ სათესლე სესხი გაცემული იყო 761.000 მანეთის რაოდენობით; აქედან: აზერბეიჯანში—325.000 მანეთი, საქართველოში—269.000 მანეთი, სომხეთში—157.000 და აფხაზეთში—10.000 მანეთი.

ამას თუ დაუმატებთ იმ თანხებს, რომლებიც გაღებული იყო რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების მიერ, მაშინ შეიძლება ვიანგარიშოთ, რომ სათესლე სესხის სახით 1924—25 წლის განმავლობაში გაცემული იყო მილიონ მანეთზე მეტი.

გაცემულ სათესლე სესხის დაბრუნების ვადები დიდიხანია გავიდა. სათესლი სესხის დაბრუნება ძალიან გაჭიანურდა. არსებული ცნობებით, დაბრუნებული თანხა მეტად მცირეა და უკეთეს შემთხვევაში არ აღემატება გაცემული სესხის საერთო რაოდენობის 1,5 პროც.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ გაითვალისწინა ეს გარემოება და შეიმუშავა სათესლე სესხის დაბრუნების საბოლოო ვადები; სესხის 50 პროც. დაბრუნების უკანასკნელ ვადათ დაწესებული იქნა 1 მაისი, სესხის მთელი თანხა კი მთლიანად დაბრუნებული უნდა იქნეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისა.

მთავრობის მიერ დაწესებული პირველი ვადა გავიდა, სესხის 50 პროც. კი არ არის მთლიანად დაბრუნებული. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი იღებს მთელ რიგ ზომებს სათესლე სესხის აკრეფის დასაჩქარებლად. განზრახულია მთავრობის მიერ დაწესებულ მეორე ვადისათვის სათესლე სესხის აკრეფა დამთავრებული იქნეს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში.

გ.

სას.-მეურ. მდგომარეობა

თელავის მაზრაში გამუდმებულ წვიმებმა ცუდათ იმოქმედეს პურის ნათესებზე, ვენახებზე და ხილის ბაღებზე.

აფხაზეთში წვიმებმა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მდგომარეობა თვალსაჩინოთ გამოაკეთეს. პირველ ივნისიდან სიმინდს და ვენახებს საშუალოზე უკეთესი პირი უჩანს; ბაღებს და თამბაქოს—საშუალო. მინდვრათ მუშაობა გაცხოველებულია.

ახალ-სენაკში ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს, ხილისას—საშუალო, ხოლო სიმინდის თესვა ეხლახან დაიწყეს. დიდათ დაეხმარა გლეხობას ხნაში საკრედიტო ამხანაგობის ტრაქტორი, რომლის საშუალებით დახნეს მიწები მცირე ქირის გადახდით.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

გუშინ გამოფენის დასათვალიერებლად ზუგდიდიდან ჩამოვიდა 35 გლეხი, ახალ-სენაკიდან—31.

ექსკურსია სომხეთიდან

თბილისში გამოემგზავრა გამოფენის დასათვალიერებლად 21 გლეხი ლორ-ბამბაკიდან და 34 ლენინაკანიდან.

172 გლეხი

ამჟამად ექსკურსანტ-გლეხების საერთო ბინაში სცხოვრობს 172 გლეხი.

რამდენმა გლეხმა დაათვალიერა გამოფენა

დღემდე საერთო ბინაში გაიარა 201 სომეხმა გლეხმა, 325 თათარმა, 66 ქართველმა და 84 წითელარმიელმა.

რკინისგზელები გამოფენაზე

ა.-კ რკინისგზელთა საგზაო კომიტეტის კულტგანყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა საექსკურსიო ბიუროს წინაშე, რომ გამოფენაზე უფასოდ გატარებული იქნეს რკინისგზელთა 25 ექსკურსია თვითეული 40 კაცის შემადგენლობით.

რამდენი კაცი დაათვალიერებს გამოფენას

საექსკურსიო ბიუროს განზრახული აქვს გამოფენაზე გაატაროს 25.000 მოწაფე, 30.000 მუშა-მოსამსახურე, 10.000 წითელარმიელი და 5.000 გლეხი; სულ 70.000.

„სელმაშ“-ის პავილიონში

კვირას სინდიკატ „სელმაშ“-ის პავილიონში გაიმართება მანქანა-იარაღების დიდი დემონსტრაცია.

საგლეხო სესხის პლაკატები

საქართველოს ფინსახკომის სავალუტო განყოფილებას გამოფენაზე მოწყობილი აქვს პატარა პავილიონი, სადაც გლეხებს განმარტებას აძლევენ საგლეხო სესხის შესახებ და ურიგებენ სათანადო პლაკატებს და ბროშიურებს.

სიმფონიური კონცერტი

ხვალ გამოფენაზე გაიმართება სიმფონიური ორკესტრის მორიგი კონცერტი. შემდეგი კონცერტი—კვირას.

მანქანების დემონსტრაცია

ამიერიდან ყოველ დღის საღამოს 5 საათზე ა.-კ. სასოფ.-სამ. გამოფენაზე გაიმართება სასოფლო-სამეურნეო მანქანების დემონსტრაცია დემონსტრაციის დროს დამსწრეთ მიეცემათ განმარტებები.

საკრედიტო საქმე

ელექტრო-ბანკის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა ელექტრო-ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორის გამოკვლევა.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ელექტრო-ბანკის არსებული სტრუქტურა, რომელიც დამტკიცებული არ არის ცენტრალური გამგეობის მიერ, მეტათ რთულია და არ შეეფერება ელექტრო-ბანკის მიზანს და დანიშნულებას, რადგან შეიცავს საბანკო ოპერაციების ყველა სახეებს.

ელექტრო-ბანკის მოსამსახურეთა შტატი—25 თანამშრომელი არ შეეფერება ბანკის მუშაობას, რამოდენიმე მათგანი ზედმეტია.

ავანსების გაცემას შრომის ხელფასის ანგარიშში სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. გამოკვლევამ აღნიშნა აგრეთვე ჯამაგირის არაპირდაპირი გადიდების შემთხვევა—ბანკის, აზერბეიჯანის განყოფილების, ერთ თანამშრომელს თვიურად ეძლეოდა 120 მანეთი სამგზავროთ, რაც გათვალისწინებული არ არის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორის ხარჯთ-აღრიცხვაში.

ანგარიშვეშ წაღებულ თანხების ანგარიშები არ იყო თავის დროზე წარმოდგენილი. ყოფ. გამგის — **გურალნიკის** მიერ გაწეულ ხარჯებზე არ არის წარმოდგენილი გასამართლებელი საბუთები. ანგარიშები უმეტეს შემთხვევაში, მიუხედავად ბუხჰალტერიის მიერ მიღებულ ზომებისა, მტკიცდებოდა ფორმალურად, არ ხდებოდა მათი შემოწმება არსებითად.

საქმის წარმოება ვერ არის სათანადოთ დაყენებული. ანგარიშ-წარმოება კი სავსებით შეეფერება საბანკო ტეხნიკას. ოპერაციების და გარიგებების ჩამოყალიბების დროს იყო შემთხვევები, როდესაც ბანკი გვერდს უხვევდა კანონებს, წესებს და ინსტრუქციებს.

გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შეიმუშავა ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს ყველა შენიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად.

სასოფლო სამეურნეო პროდუქტები

საქართველოს საგეგმო კომისიამ შეისწავლა საკითხი მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (ხილი, ღვინო, არაყი, დაფნა,) დამზადების შესახებ.

გამოირკვა, რომ 1925-26 წლის პირველ ნახევარში აღნიშნული პროდუქტების დამზადების გეგმა მეტათ ნელი ტემპით სრულდებოდა.

ასე, მაგალითად, გეგმით განზრახული იყო ერთ მილიონ ვედრო ღვინის დამზადება. წლის პირველ ნახევარში კი დამზადებული იყო მხოლოდ 596.230 ვედრო, ე. . მთელი რაოდენობის 60 პროც. გამორკვეული იქნა ამ მოვლენის მიზეზები. აღმოჩნდა, რომ მიზეზი მდგომარეობს ზოგიერთ ღვინის დამზადებელ ორგანიზაციების სისტემაში („ბაღდათი“, „კახეთი“); მათ არ ჰქონდათ საკუთარი თანხები და დამზადებას აწარმოებდნენ პროდუქტების დაგირავებით აღებულ კრედიტების ხარჯზე.

ასეთი კრედიტი ართულებდა და აძვირებდა დამზადების ოპერაციებს, ამასთანავე ის მეტად ანელებდა დამზადების ტემპს.

ამის გამო ღვინის დამზადების სეზონი—ნოემბერ - თებერვალი, არ იყო სავსებით გამოყენებული; თებერვლის შემდეგ კი დამზადება თავის თავად შემცირდა ღვინოზე მოთხოვნილების შემცირების გამო.

ყურძნის არაყის დამზადების გეგმა შესრულებული იქნა 41 პროც. ამ გარემოებას საქართველოს საგეგმო კომისია ხსნის იმით, რომ სპირტის სახელმწიფო სამმართველო დამზადებას აწარმოებდა კერძო აგენტურის საშუალებით, რომელიც აჭიანურებდნენ დამზადებას და დროზე არ ასრულებდნენ ვალდებულებებს.

ხილის დამზადების გეგმა, როგორც გამოირკვა, შესრულებულია 40 პროც.; ბაღ-ბოსტან - კავშირი, რომელიც აწარმოებდა დამზადებას, შედარებით ახალგაზრდა ორგანიზაციაა, რომელსაც არ აქვს საკუთარი თანხები. ამან აიძულა ის მიემართა საბანკო კრედიტისათვის, რომელსაც მას აძლევდნენ პროდუქტების გირაოს ქვეშ, ეს კი ართულებდა და აძვირებდა დამზადების ოპერაციებს.

დამზადებულ ხილის 17,5 პროც. დალპა. საგეგმო კომისია ფიქრობს, რომ ოპერაციები საზარალი იქნება. დაფნის ფოთოლი დამზადებული იქნა 15.000 ფუთი, გეგმის მიხედვით კი დამზადებული უნდა ყოფილიყო 40.000 ფუთი. ეს აიხსნება, ერთის მხრივ, ბაზრის მცირე ტევადობით, მეორეს მხრივ კი თანხების ნაკლებობით.

მიიღო რა მხედველობაში ყველაფერი ეს, საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო, რომ მომავალში დამზადების გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული იქნეს რეალური ფინანსიური შესაძლებლობა თვითეული ორგანიზაციისა.

აუცილებლად იქნა აგრეთვე ცნობილი სუსტი ორგანიზაციების ფინანსიური გაჯანსაღება.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

უყაირათობა აზერბეიჯ. გზატკეცილებზე

ა.-კ. რკინის გზებზე არსებულ საფინანსო საკონტროლო განყოფილებამ მოახდინა სარევიზიო დათვალიერება აზერბეიჯანის გზატკეცილების მდგომარეობის გამოსარკვევათ

სარევიზიო დათვალიერების დროს აღმოჩენილ იქნა მთელი რიგი უწესოებისა: აგდამში რევიზიის დროს აღმოჩენილ იქნა სალაროს დანაკლისი 1203 მანეთის რაოდენობით, ნუხაში 118 მანეთის, ხრეშის დასამზადებელი მუშაობა, ევლახ-ნუხასა და ნუხა-ზაქათალას შორის, ხდებოდა ტეხნიკურ სმეტის გარეშე. ევლახ-ნუხასა და მრავალ სხვა ადგილებში ხრეში დამზადებულია მცირე ზომის [illegible] მოყოლობით, დიდრონ ქვების შერევით, რითაც გამოწვეულია ზედმეტი ხარჯები.

აღმოჩენილია აგრეთვე უყაირათობა აგდამ-შუშა და ევლახ-აგდამის გზებზე.

დოკუმენტალურ რევიზიის დროს აღმოჩენილ იქნა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ გზები იმყოფებოდა ყოველგვარ მეთვალყურეობის გარეშე. ასე რომ, აზერბეიჯანის გზატკეცილების სამმართველოს, დაუშვია ზედმეტი ხარჯები თოთხმეტი ათასი მანეთის რაოდენობით.

შემჩნეულია მრავალი შემთხვევები ამა თუ იმ მასალის ყიდვის დროს ფულის წინასწარი გაცემისა. საავანსო ანგარიშები დგება ორი-სამი თვის შემდეგ დღიდან ავანსის მიღებისა და სხვა ამისმაგვარი უწესოება, რომლებიც აშკარათ მოწმობენ ცალკე პირების „მოღვაწეობას“. დამნაშავეები ამჟამათ გადაცემული არიან პროკურატურაზე.

პ. ჩხიკვაძე.

ხარჯები შემცირებულია 14,722 მან.

(საქართველოს სას.-სამ. ბანკი)

მომჭირნეობის კომისიამ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველობაში შემცირა ერთი მემანქანე და ერთი მასთან მივლინებული პრაქტიკანტი, საკრედიტო ამხანაგობათა ინსპექციაში გაუქმებულია ბანკის კონსულტანტის თანამდებობა; ბუღალტერიაში გაუქმებულია ერთი განყოფილების გამგის თანამდებობა და სამი პრაქტიკანტის ნაცვლად დატოვებულია ერთი პრაქტიკანტი; სრულიად გაუქმებულია სათამასუქო ნაწილის გამგის თანაშემწის თანამდებობა; სამნეო ნაწილში შემცირებულია ერთი მეეზოვე.

ამ ღონისძიებით შტატის შესანახი თანხა **78.464** მანეთის რაოდენობით განსაზღვრული შემცირებულ იქნა **8.454** მან. **40** კაპეიკის რაოდენობით.

შტატების შესანახი ხარჯთაღრიცხვის გარდა, შემცირებულია ზედმეტი სამუშაოები 75 მან., სალიკვიდაციო და საკომპენსაციო ხარჯები 540 მანეთით, დამზღვევ სალაროს ანარიცხები (შტატის შემცირების გამო) 821 მან. 63 კაპეიკით, ანარიცხები კავშირის კულტფონდისთვის—86 მანეთით, სალერბო და სანიტარო ხარჯები—35 მანეთით, განათებისა, გათბობისა და რემონტისათვის საჭირო ხარჯები—420 მანეთით; საკანცელარიო ხარჯები—300 მანეთით, სასტამბო ხარჯები—1.000 მანეთით, საპუბლიკაციო ხარჯები—180 მანეთით; სამგზავრო და მივლინების ხარჯები—2.250 მანეთით, მოულოდნელი ხარჯები—1.750 მანეთის რაოდენობით განისაზღვრებოდა, შემცირებულ იქნა 261 მანეთით.

ამრიგათ საბჭოს მიერ დამტკიცებული ბანკის 1925—26 წლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 121.101 მანეთის რაოდენობით განისაზღვრებოდა, შემცირებულია 14.722 მანეთი და 90 კაპეიკით—ანუ 12 პროცენტით.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

იაფი ქების წინააღმდეგ

არის შემთხვევები, როცა გარეგნულად წარმოება ან დაწესებულება ჩინებულად მუშაობს. ნამდვილად კი ამ დაწესებულებაში მრავალ გაუგებრობას და ზოგჯერ ბოროტმოქმედებასაც კი აქვს ადგილი. ყოფილა ისეთი მაგალითებიც, რომ დაწესებულება-წარმოებას ქებაც დაუმსახურებია ზემდგომ ორგანიზაციებისაგან, მაშინ, როცა ეს ნაქები დაწესებულება თუ წარმოება არა თუ ქების, გინების ღირსი ყოფილა.

გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-ს (№ 129) მოჰყავს ერთი ასეთი თვალსაჩინო მაგალითი ის სწერს:

„ოქტომბრის რკინისგზების სამმართველომ საგანგებო ბრძანებაში, რომელიც 2 მარტს გამოუშვა, რკინისგზის სახელით მადლობა გამოუცხადა მოქ. ივანოვს „სამასალო საწყობების ჩინებულად დაცვისათვის“.

მარტის დასასრულს ოქტომბრის რკინისგზის საფინანსო-საკონტროლო განყოფილებამ დაამთავრა ხუთი საწყობის რევიზია, რომელმაც გამოარკვია, რომ საწყობში მეპოვება 634 კუბ. საჟენი ზედმეტი შეშა და 15 ტონა ქვა-ნახშირი. ამავე რევიზიამ დაგვანახვა, რომ საწყობებს აკლდათ 345 ტონა ნავთი. მგა-ლისინოს შტოზე აღმოჩენილ იქნა უპატრონოდ დაყრილი 300 კუბ. საჟენი შეშა, 1.062 ცალი ახალი შპალი და 190 ცალი ახალი ფიცრები ტელეგრაფისათვის. ეს მასალები მიღებული აქვს ოქტომბრის რკინისგზებს ჯერ კიდევ 1925 წლის 9 ივნისს, მაგრამ აქამდე არ გადაუზიდავთ საწყობებში.

ამასთანავე მე-21 ვერსზე აღმოჩენილი იქნა 200 კუბ. საჟენი შეშა, რომელიც 1921 წელში ყოფილა დამზადებული. დიდი ხნით ცის ქვეშ ყოფნის გამო ეს შეშა დამპალა, სოკოებით შემოსილა და სანახევროთ დაუკარგავს თავისი ღირებულება.

კიდევ მრავალი ასეთი ფაქტები მოჰყავს „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-ს ამავე ნაქებ [illegible]ზების უყაირათობისა და დაუდევრობის დასახასიათებლად. ეს მაგალითი საუცხოვო მაჩვენებელია იმის, თუ როგორ ადვილად შეიძლება შეცდომაში შევიდეს ხელმძღვანელი ორგანიზაცია მის ხელქვეით დაწესებულების შეფასებაში.

დაწესებულება-წარმოებათა ასეთი ზერელე შეფასებით და იაფი ქება-დიდებით ჩვენ უფრო წა[illegible]ხალისებთ დაუდევრობას და უყაირათობას, ვი[illegible]რე აღმოვფხვრით მას.

უბედო კოოპერატივი

(ს. ჯანდაურა, სიღ. მაზრა)

ჰადიაურის რაიონული ემოსი არსებობს 1923 წლიდან. მას თავიდანვე ვერ დაუდგა კარგი დარი. ჯერ იყო და ისიდორე ფხალაძემ წამოადო ვალები. მერე სათავეში მოექცა უფრო „მცოდნე“ პირები—კ. ჯუკასაშვილი და ნ. ციციშვილი. ამათ კიდევ მთლად ანდერძი აუგეს. ორი წლის განმავლობაში ეპოში არც შეუშვეს რამე და არც გაუშვეს.

ციციშვილი თუმცა გამგეობის წევრი იყო, მაგრამ მისი ხსოვნა დაუვიწყარია გლეხობაში, როგორც 500 შპალის ფარის მითვისებლის. რის ვაივაგლახით 1925 წლის მეორე ნახევარში მოხდა მათი გადახალისება. თუმცა ციციშვილი ისევ გამგეობაში გაიყვანეს, თავმჯდომარეთ კი მოიწვიეს ახალი საქმის „მცოდნე“ ვინმე შალვა მათიკაშვილი. ამ ვაჟბატონმაც კარგათ წაიყვანა კოოპერატივი. ვიღაც აბაშიძე გახადა ბატონ-პატრონად ქოდალოს რაიონისა. მათიკაშვილი ეპოს სახელზე ყიდულობს შეშას გლეხებიდან, მხოლოდ თბილისში კი მთელი შეშა აბაშიძის ხელში გადადის. რატომ ხდება ასე? თუ მათიკაშვილი მომჭირნეობის რეჟიმს მისდევს და ზედმეტ ხარჯებს ერიდება, სხვა მხრივ შეუძლია გააკეთოს ეს, და არა აბაშიძის გამდიდრებით.

მათიკაშვილი სხვა საქმეშიაც ყოჩაღი გამოდგა. კოოპერატივს ჰყავდა მოლარე, რომელიც ცუდი საქციელისათვის დაითხოვეს. მის მაგიერ კი მათიკაშვილმა მიიღო ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი ნ. ფხალაძე, რომელიც დღეში 2 საათი ბავშვებთან მეცადინეობდა და მერე კი კოოპერატივში გარბოდა.

13 ივნისს მათიკაშვილმა გააკეთა მოხსენება კაკაბეთის თემის კრებაზე, სადაც სხვათა შორის აღნიშნა, რომ თვიური გასავალი ჯამაგირებში და სხვა შეადგენს 100 მან. ამავე დროს კი რვა თვის განმავლობაში კოოპერატივს ჰქონია 4.200 მან., ე. ი. თვეში 525 მანეთი. აი სად ტარდება „მომჭირნეობა“.

ტარო.

სასამართლო

ვ. ჩხაიძის საქმე

მეორე სხდომაზე სასამართლომ დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეებისა. დაკითხვიდან გამოირკვა საქმის ახალი გარემოება. ბრალდებულ ჩხაიძეს მოსკოვში წასვლის წინა დღეებში ამიერ-კავკასიის რკ. გზ. არტელის მთავარ მოლარესთან არ გაუსწორებია ანგარიშები. სპეციალურმა კომისიამ გახსნა ბრალდებულის სალარო, სადაც აღმოჩნდა 3.000 მანეთის გასამართლებელი საბუთები. სალაროში აღმოჩენილ 3.000 მ. გასამართლებელი საბუთების აქტის შედგენისას მიწერილ იქნა ინწკირველის და ყუფარაძის სახელზე. ამგვარად ბრალდებულზე მიწერილ იქნა სრული 4.403 მანეთის დანაკლისი.

გუშინ დაკითხულ იქნა ყუფარაძე, რომელმაც განაცხადა, რომ მისი გასამართლებელი საბუთები ჩხაიძის სალაროში არ ინახებოდა და მაშასადამე, ეს საბუთები მისი კი არაა, არამედ ჩხაიძის.

სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. **ბერიშვილი** ეკითხება ექსპერტებს—„შეგიძლიათ თუ არა მოწმეების დაკითხვის, და კერძოთ კი, ყუფარაძის დაკითხვის შემდეგ წარმოადგინოთ თქვენი დასკვნა?“.

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ აუცილებლივ საჭიროა ყველა დოკუმენტების ხელმეორედ გასინჯვა.

სასამართლო ადგენს: საქმე გადაიდოს დამატებითი გამოძიების მოსახდენათ.

ცოლის მკვლელი

ხვალ, 20 ივნისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო ლენინის უბანში (ნაძალადევი) აწყობს რკ. გზ. მთავარ სახელოსნოების მომუშავე პავლე მაკაროვის საზოგადოებრივ-საჩვენებელ გასამართლებას.

მაკაროვს ბრალდება თავისი ცოლის მოკვლა.

საქმის შინაარსი ასეთია: რამოდენიმე თვე ცოლ-ქმარი კარგად ცხოვრობდენ, შემდეგ მაკაროვმა დაიწყო უმიზეზოთ ეჭვიანობა და სხვა.

მაკაროვს შეუყვარდა სონა ქავთარაშვილი. აღუთქვა ცოლათ შერთვა, მაგრამ ქალმა უარი უთხრა. ბრალდებულის ცოლმა ეჭვი აიღო ქავთარაშვილის ქალზე და ერთ დღეს, ქუჩაში შეხვედრისას უშვერი სიტყვებით მიმართა მას. ეს ამბავი ქავთარაშვილის ქალმა უამბო ბრალდებულ მაკაროვს. მაკაროვმა სიმთვრალის დროს თოფით მოჰკლა თავისი ცოლი.

მკვლელობა

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ბრალდებულ კორნელი პატარიძეს და ნიკო შვილდაძეს მიუსაჯა—პირველს 8 წლით და მეორეს—10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლაციით და 5 წლით უფლებების შეზღუდვით.

პატარიძეს და შვილდაძეს ბრალდებათ აფრასიონ ჰყოიძის მოკვლა შურისძიების ნიადაგზე.

მსჯავრდადებულმა პატარიძემ და შვილდაძემ საკასაციო საჩივარი შეიტანეს უზენაეს სასამართლოში.

ორჯონიკიძის და სხვათა საქმე

22 ივნისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა ზაქარია **ორჯონიკიძის,** თადეოზ **ქამალოვის** და გასპარ **იაროვის** საქმე.

1922 წ. ბრალდებული ორჯონიკიძე შინაგან საქმეთა კომისარიატში ირიცხებოდა ექსპედიტორათ. აღსანიშნავია, რომ წინეთ იგი იყო დიდი ვაჭარი, რომელსაც თბილისში საკუთარი საპნის ქარხანა ჰქონდა. მოვალეობის აღსრულების დროს, ბრალდებული მჭიდრო კავშირს იჭერს კომერსანტებთან, რომლის დახმარებითაც იგი აწყობს სხვადასხვა კომბინაციებს.

1925 წ. ორჯონიკიძეს დაევალა 50 ფუთი პერგამენტი ქაღალდის შეძენა. უკანასკნელმა ქაღალდის ყიდვა დაავალა ვაჭარ ქამალოვს. ქამალოვმა მოლაპარაკება იქონია იაროვთან. ამ უკანასკნელმა ფუთი ქაღალდი იყიდა 20 მან. და ბრალდებულ ორჯონიკიძეს მიჰყიდა 22 მანეთად ფუთი. შემდეგ შეთანხმებით შეადგინეს ყალბი ანგარიში ფუთი ქაღალდის 2[illegible] მანეთად ყიდვის შესახებ. განსხვავება კი მიითვისეს. გარდა ამისა, ორჯონიკიძეს ბრალდება მთელი რიგი ყალბი საბუთების მ[illegible]. ბრალდებულის მიერ ამ გზით სულ მითვისებულია 2.221 მან. და 50 კაპ.

ქამალოვს და იაროვს ბრალდებათ ზ. ორჯონიკიძის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

დოლიძის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ბრალდებულ გიორგი დოლიძეს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

დოლიძეს ბრალდებოდა საგამომძიებლო ოქმის მოპარვა.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

რკინის გზებზე

შეშის გადაზიდვა

ვინაიდან ზაფხულის პერიოდში ა.-კ. რკინის გზებზე, ტვირთების გადაზიდვის საქმეში ადგილი აქვს ერთგვარ შესუსტებას, ა.-კ. გადაზიდვის კომიტეტმა დაადგინა ეს გარემოება გამოიყენოს შეშის გადაზიდვის გაძლიერებით.

სადგურები სოფლებში

დასავლეთ საქართველოს შემდეგ სოფლებში: ვანი, ხონი, სამტრედია და ბაღდათი (ქუთაისის მაზრა) გახსნილია რკინის გზის სადგურები, სადაც იწარმოებს ბილეთების გაყიდვა და ბარგების მიღება.

ტვირთზიდვა ივნისში

გადაზიდვის მომწესრიგებელ კომიტეტის გამონანგარიშებით ა.-კ. რკინის გზებზე, ივნისში დატვირთული იქნება სულ 965 ვაგონი. აქედან მშრალი ტვირთები გადაზიდული იქნება—600 ვაგონის და სველი ტვირთები—185 ცისტერნის რაოდენობით. ჩრდილო-კავკასიის გზებიდან მიღებული იქნება 180 ვაგონი.

ხილისა და ბოსტნეულის გადაზიდვა

მიმდინარე სეზონში ხილისა და ბოსტნეულის გადაზიდვა ადგილობრივად სწარმოებს სახალხო მატარებლებით № 13 და 5—ორივე ვაგონის რაოდენობით, ხოლო დერბენტის იქით გასატანათ—სახალხო მატ. № 13 და 21-თ—12 ვაგონის რაოდენობით. ვაგონები ნაწილდება შემდეგნაირათ: „ბაღბოსტანკავშირ“-ს — 50 პროც. დანარჩენი კოოპერატიულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს ოცდა ხუთ-ოცდა ხუთი პროცენტი.

შემთხვევები

მატარებლის გაწყვეტა

სარვან-დივიჩის შუა (აზერბ. ხაზი) მატ. № 1044 გაწყდა. გაწყვეტილი ნაწილები დაეჯახნენ ერთმანეთს. მატარებელი გააჩერეს 1 საათით და 40 წუთით.

უბედური შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

ცისტერნების გადავარდნა

სადგ. ჩერნოგორკაზე (აზერბ. ხაზი) ღამის 11 საათზ ედა 20 წუთზე მატარებელი № 247 მანევრების დროს დაეტაკა გასამაგრებელს და დაამტვრია იგი. ამის გამო ლიანდაგს ასცდა ორი საქმე ცისტერნი. უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

დიდი წვიმა

სადგ. ზეგამში საღ. 6 საათზე და 10 წუთზე დიდი წვიმების გამო, წყალმა დაფარა სადგურის ბაქნის დონემდე. წვიმა ძლიერდებოდა ღამის 10 საათამდე, რის შემდეგ წყალმა კლება იწყო. ამ მიზეზის გამო ზეგამ-კოვლიარსა და ძეგამ დოლიარის შუა გზა დაიკეტა საღ. 7 ს. და 15 წუთიდან ღამის 1 ს. და 10 წუთამდე. ძეგამ-დოლიარის შუა ხაზი წაილეკა 4—5 საჟენის მანძილზე ½ საჟენის სიღრმეზე.

ძეგამიდან დოლიარში ორთქლმავლით გაემგზავრა მოძრაობის დარგის უბნის უფროსი. ვინაიდან გზა გავსებული იყო ნიაღვრის მიერ ჩამოტანილი ხრეშით, ორთქლმავალი ლიანდაგს ასცდა.

განჯიდან გაიგზავნა მატარებელი მუშებით, ორთქლმავლის ამოსაღებათ და გზის გასაწმენდათ.

გზა ზაზლიდან-განჯამდე დიდი წვიმის გამო დაკეტილ იქნა ღამის 9 საათ. 25 წუთიდან ღამის 11 ს. და 20 წუთამდე.

ამავე მიზეზით დაკეტილ იქნა ხაზები: დალიმამატლისა და კიურაკ-ჩაის შორის 2 საათით და 20 წუთით.

ახალი წყალსადენი

განზრახულია წყალსადენის გამოყვანა ნატახტარიდან.—თბილისი დღე-ღამეში მიიღებს 9 მილიონ ვედრო წმინდა წყალს.—წყალსადენის გამოყვანა დაჯდება 2.700.000 მანეთი

17 ივნისს ნატახტარის წყაროების დასათვალიერებლათ გაემგზავრენ: ამხ. ს. ორჯონიკიძე, ლ. ქართველიშვილი და ლ. ღოღობერიძე ინჟენერ ლიასამიძის და ჭიჭინაძის თანხლებით.

გამგზავრების მიზანი იყო შემოწმება იმისა, თუ რამდენათ ხელსაყრელი იქნება ნატახტარის წყაროებიდან წყალის გამოყვანა თბილისისათვის. ზამთრის განმავლობაში ნატახტარის წყაროებზე ჩატარებულ იქნა კვლევა-ძიება და გამოირკვა, რომ იქ წყალის დიდი მარაგია, წყალი კარგი ღირსებისაა, მისი მიწოდება შეიძლება ქალაქისათვის თვით მდინარე წყალსადენის სისტემის საშუალებით, შედარებით იაფი ჯდება და იგი სავსებით დააკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილებას.

გამოკვლევითი მუშაობის დროს იქ გაკეთებულ იქნა, პირველათ საქართველოში, არტეზიანული ჭა, საიდანაც 60 მეტრის სიღრმიდან დიდძალმა წყალმა ამოხეთქა, ჭა ახლაც მოქმედობს და მითი სარგებლობენ სოფ. წილკანის მცხოვრებნი.

სულ ნატახტარში მოიპოება 40 წყარო სათავე, რომლებიც შეერთების შემდეგ მოგვცემენ დღე-ღამეში 9 მილიონამდე ვედრო წყალს.

ქალაქ თბილისს კი ამჟამად ესაჭიროება მხოლოთ 3 მილიონი ვედრო და 40 წლის შემდეგ დასჭირდება (ქალაქის გაფართოებისა და გაზრდის გამო) 6 მილიონი ვედრო—ასე რომ თბილისი უზრუნველყოფილი იქნება წყალით.

წყალსადენის გაყვანა დაჯდება 2.700.000 მანეთი. ამჟამად სწარმოებს ცდები, თუ რა სისტემის წყალსადენი იქნება აქ უფრო შესაფერისი — ამერიკული (ხის და ბეტონის), იტალიური (სეტერნიტის), თუ სხვა...

ქრონიკა

საქონლის ჭირის გამო.

ამას წინად მცხეთაში საქონლის ჭირით დაავადებულ საქონლის აცრისაგან დაღუპვის მიზეზების ყოველმხრივ გამოკვლევის მოხდენის მიზნით, საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა დეპეშით სთხოვა რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს, რათა თბილისში გამოგზავნილი იქნან საექსპერტო კომისიაში მონაწილეობის მისაღებად ცნობილი სპეციალისტი-ბაქტერიოლოგები, რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატების სამეცნიერო საბჭოს წევრები, პროფ. ტარტაკოვსკი და ვიშელევსკი.

თბ. აღმასკომში

— **სისუფთავის დაცვა.** კეთილმოწყობის განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს სავალდებულო დადგენილება ქალაქში სისუფთავის დასაცავად.

— **სასოფლო - სამეურნეო ობიექტთა** აღწერის ჩასატარებლად მაზრაში, გადადებულ იქნა 2226 მან.

— **აქციები.** აღმასკომმა შეიძინა კომუნალურ ბანკის 8000 მანეთის აქციები.

— **პროფილაქტიური დღე.** აღმასკომმა კვირაობით დანიშნა პროფილაქტიური დღე. ამ დღეს მაზრაში ჩატარდება ლექცია-საუბრები ავადმყოფობის წინასწარ გამაფრთხილებელ ზომების შესახებ.

სოც. დაზღვევა

— **სიმულიანტის გასამართლება.** სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასწყვიტა საჯაროთ გაასამართლოს ქიათურის დამზღვევ სალაროს წევრი სიმულიანტი მოქ. კუხალეიშვილი.

— **სოც. უზრუნველყოფის** პენსიონერების ნაწილი სოც. დაზღვევის სამმართველომ გადაიყვანა ადგილობრივ დამზღვევ ორგანოების კმაყოფაზე.

— **საექსპერტო ბიურო.** სოც. დაზღვევის სამმართველო ბორჯომის დამზღვევ სალაროსთან აწყობს საექიმო - საექსპერტო ბიუროს, რომელიც აგრეთვე სამსახურს გაუწევს ახალციხის და ახალქალაქის დამზღვევ პუნქტებს.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

— **საქონლის ჭირი.** ვეტგანყოფილებამ მიიღო ცნობა, შორაპნის მაზრის სოფ. ქალლოვანში და ჯაჯანიძეანთ კარში საქონლის ჭირის გაჩენის შესახებ. ამ რაიონში გაიგზავნა ვეტექიმი მირიანაშვილი.

სამეურნეო დაწესებულებებში

— **აბრეშუმის პარკი.** ეკ. საბჭოს ცნობით უახლოეს წლებში კახეთში წლიურად დამზადებული იქნება 50 ფ. ნედლი პარკი.

— **ბამბის ნათესები.** მთელ ამიერ - კავკასიაში წელს დათესილია 125,450 დესეტინა ბამბა.

— **ხორბალი.** ა.-კ. მებამბეობის კომიტეტი წელს მებამბეთათვის შემოიტანს 1800 ათას ფუთ ხორბალს.

— **ფასი მატყლზე.** წელს საგაზაფხულო თუშურ მატყლში მეცხვარეებს ფუთში ეძლევათ 14 მან.

— **სამკურნალო მცენარეები.** გასულ წელს ბათომის ნავთსადგურიდან საზღვარგარეთ გაიგზავნა 405 ათასი ფუთი სამკურნალო მცენარეები.

— **საქართველოს შინამრეწველთა** საჭიროებისათვის საკავშირო მთავრობიდან გამოთხოვნილია 450,000 მ. სესხის სახით.

კრებები და მოხსენებები

განათლების მუშაკთა სახლში. კვირას, 20 ივნისს, დილის 11 საათზე, დანიშნულია განათლების მუშაკთა სახლის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგი: გამგეობის მოხსენება, სარევიზიო კომისიის მოხსენება, არჩევნები.

შემთხვევები

გაფლანგვა

თბილისის აღმასკომის საკონტროლო განყოფილებამ პასუხისგებაში მისცა აღმასკომის ადმინისტრაციული განყოფილების თანამშრომლები: ჩიგოგიძე, რუსაძე, პატკორია, ბეკკერი და ბალახიშვილი, რომელთაც ბრალდებათ 3 ათასი მანეთის მითვისება და გაფლანგვა.

— **სახელმწიფო გამომცემლობის** წიგნის სავაჭროდან 16 ივნისს ღამით მოიპარეს 70 მ. სხვადასხვა ნივთები. ქურდი ვინმე ერმოლაევი შეიპყრეს.

— **ახალი კლუბიდან** 17 ივნისს მოიპარეს ტელეფონი და სხ. ნივთები. ქურდი ვალერიან ბატიუკოვი დაპატიმრებულია.

— **მკვლელობა.** თიანეთის რაიონში მილიციელმა გიორგი მოსახლიშვილმა მოჰკლა შლიახევის საბჭოს თავმჯდომარე ტიმოთე მარაული.

— **ქურდი ქალები.** 17 ივნისს ქურდობისათვის შეიპყრეს დარო ამირიძე.

— ამავე დღეს სხვადასხვა სახის ქურდობისათვის შეიპყრეს მცირე წლოვანი მარუსია დავითის ასული ხიტარეული, იგივე მეტრეველი.

— **ზაჭესის ფარგლებში.** 17 ივნისს მონარდე სიხარულიძის ბინიდან მოიპარეს 2460 მანეთი ფული.

— **დიღომის** აღმასკომის სამმართველოდან 18 ივნისს მოიპარეს 72 მანეთი.

— **ქურდობა.** 17 ივ. დიდი ვანქის ქ. № 19 გაქურდეს გიორგი კამალიანის ბინა.

— 16 ივ. მიხეილ შახვერდოვის წისქვილიდან მოპარული იქნა ერთი ტომარა ფქვილი.

— 17 ივნისს მირზოევის ფეხსაცმელების სახელოსნოდან მოიპარეს 660 მ. ფეხსაცმელები.

ხელოვნების ქრონიკა

— **მუშათა ახალ კლუბში** დღეს გაიმართება სიმფონიური კონცერტი სტოლერმანის დირიჟორობით.

— **ბაქოს თეატრის გასტროლები** დაიწყება 1 ივლისს.

— **ალექსიძის საცეკვაო სტუდიის** საღამო გაიმართება დღეს რუსთაველის თეატრში.

— **თეატრების შეკეთება.** ახლო ხანში დაიწყება ოპერის და დრამის თეატრების შეკეთება.

— **ქართულ ცენტრალურ მუშფაკში** დღეს გაიმართება საღამო-წარმოდგენა.

— **კინო „პალასის"** გვერდით გაიხსნა საზაფხულო კინო „პალასი".

— **წითელი თეატრი.** მიმდინარე წელს განზრახულია წითელი თეატრის გაფართოება-გადაკეთება.

— **გიგო ხეჩუაშვილის ნაწერები.** რედაქციამ მიიღო მუშა-მწერალის გიგო ხეჩუაშვილის ნაწერების პირველი ტომი, გამოცემა ა.-კ. რკინის გზების სტამბის მუშების. წიგნი შეიცავს 304 გვ. და ღირს 1 მ. 30 კაპ.

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** ხვალ, კვირას 20 ივნისს დილის 11 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება საქ. პროლ. მწერალთა ასოციაციის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა.

ცხენთა გადარბენა

სხვადასხვა ჯიშების ცხენთა გამძლეობის და მუხლის სიმაგრის გამოცდის მიზნით დონის როსტოვიდან თბილისამდე მოეწყო ჯიშიანი ცხენების გადარბენა. გადარბენაში სულ მონაწილეობას იღებს 23 ცხენი.

გადარბენა დაიწყო 15 ივნისს. ცხენებმა ოთხ დღეში უნდა გაიარონ მანძილი როსტოვიდან თბილისამდე.

დღეს, დილას გადარბენაში მონაწილენი ჩამოვლენ თბილისში. გუშინ დუშეთში გაემგზავრა სახელმწ. ცხენთსაშენის წარმომადგენელი გადარბენის მონაწილეთა შესახვედრად. ამაღამ ცხენებს დაასვენებენ ცხენთსაშენის თავლებში და ხვალ დოღის მოედანზე გაიმართება ცხენების აღლუმი.

ამინდი

15 ივნისამდე თბილისში შედარებით ცივი ამინდი იყო. 15 ივნისს ამინდი შეიცვალა და დათბა; 17-ს საღამოთი შეხუთული ამინდის შემდეგ, დაიწყო წვიმა.

თბილისის ობსერვატორიის ცნობით, ამინდის ასეთი ცვალებადობა აიხსნება ამიერ-კავკასიაზე შავი ზღვიდან—კასპის ზღვისაკენ მცირე ციკლონის გავლით. ციკლონის წინ ტემპერატურას აწევა დაეტყო.

საქართველოს ზოგ ადგილებში, 17 ივნისს, ადგილი ჰქონდა ქარიშხალს, ხოლო შავი ზღვის სანაპიროებზე აღნიშნულია გრიგალი.

18 ივნისს თბილისში ღამით კარგი ამინდი იყო, დილით კი მოვიდა ძლიერი წვიმა; აბასთუმანში მოვიდა სეტყვა და იყო ქარიშხალი. ძლიერ წვიმებს ჰქონდა ადგილი აგრეთვე ყარაიაზში და თიანეთში.

მეცნიერება და ტეხნიკა

40.000 წლის წინათ

უკვე მრავალი წელიწადია, რაც ადრიატიკის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებზე იტალიის სამეცნიერო საზოგადოებები გათხრებს აწარმოებენ. პირველათ აქ სამუშაოთ მოვიდენ არქეოლოგები, მაგრამ ჩქარა გამოირკვა, რომ ეს რაიონი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პალეონტოლოგიისათვის (მეცნიერება უძველეს ხანაში მცხოვრებ ცხოველთა და არსებულ მცენარეულობათა შესახებ), რომელსაც აქ წილად ხვდა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები.

თანდათანობით მთელმა მუშაობამ თავი მოიყარა პოსტუმიის გამოქვაბულებში, რომლებიც ვენეციიდან რამდენიმე ვერსის მანძილზე მდებარეობენ, აქ კალვარიის გამოქვაბულში თიხის ფონებში იპოვეს ამ რაიონში დიდი ხნის წინათ მომსპარ ცხოველების ძვლები: სპილოს კბილები, ვეფხვისა და უზარმაზარ ირმების ყბები. იპოვეს აგრეთვე გამოქვაბულში მცხოვრებ დათვების თავის ქალები. ეს უკანასკნელნი ეკუთვნოდენ უახლოეს ეპოქას და ამიტომ ყველაზე უფრო შენახული აღმოჩნდენ. ამ ძვლების აღმოჩენამ არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია მეცნიერებაში და პალეონტოლოგები ყველა ქვეყნებიდან გაეშურენ პოსტუმიაში.

დაახლოებით 10 წლის წინათ ასეთივე აღმოჩენები მოახდინეს „ძველ სახელწოდებათა" გამოქვაბულში, რომელიც ცნობილია ჯერ კიდევ დანტეს დროიდან. ასეთი სახელწოდება გამოქვაბულმა მიიღო იმიტომ, რომ იქ კედლებზე იპოვეს გაუგებარი წარწერები და ნიშნები.

ახლა ნაპოვნი ძვლები ეკუთვნიან ეპოქას, რომელსაც ოცდაათი-ორმოცი ათასი წლით ვართ დაშორებული. ამ დროს პოსტუმიის რაიონი გაუვალი ტყეებით იყო დაფარული. ძნელი წარმოსადგენია ახლა უკვე გამქრალი ბუნების სიმდიდრე და მრავალფეროვანობა, ძნელი წარმოსადგენია სისხლის მღვრელი ბრძოლები, რომელიც აქ იმართებოდა ცხოველებსა და ადამიანებს შორის. მაგრამ გამქრალ ცხოველთა ერთი წარმომადგენელი მაინც იპოვეს იქ. ეს არის რაღაც საშუალო ჭიას და ხვლიკს შორის, რომელსაც უწოდეს „პროტეუს სანგვინეუს". ამ ქვეწარმავალის შესწავლას აწარმოებდა რამდენიმე მეცნიერი. მისი გამრავლების საკითხმა მეცნიერებს შორის დიდი დავა გამოიწვია და შეთანხმება მაინც არ იქნა მიღწეული. დადასტურდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს ქვეწარმავალი კვერცხს სდებს იქ, სადაც წყლის ტემპერატურა 15 გრადუსზე ნაკლები არ არის. ამ შემთხვევაში იგი სდებს 60 კვერცხს. თუ წყლის ტემპერატურა აღნიშნულ დონეზე ნაკლებია, მაშინ კვერცხს არ სდებს და ცოცხლად შობს. ამ გასაოცარი მოვლენის მიზეზები მეცნიერებს დღემდი ვერ აუხსნიათ.

როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყო პოსტუმიის გამოქვაბულებში, სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა იმ გამოქვაბულებისათვის, სადაც წყაროები იყო. ცხოველები იბრძოდენ წყალისათვის. როგორც კი პოსტუმიის მიდამოებში პირველყოფილმა ადამიანმა ფეხი შესდგა, პოსტუმიის გამოქვაბულების მფლობელებს დაუძინებელი და ულმობელი მტერი გაუჩნდათ. ადამიანს უკვე შეძენილი ჰქონდა ბრძოლის საშინელი იარაღი—ცეცხლი. ამით აიხსნება, რომ გამოქვაბულებში ერთად იპოვეს სხვადასხვა ცხოველების ძვლები.

გამოქვაბულების გამგე დოქტორი პერკო ამას ხსნის პირველყოფილი ადამიანების მოხერხებულობით. პირველყოფილმა ადამიანებმა, რომ ახლობელი ტყეები გაენთავისუფლებიათ საშიში ცხოველებისაგან, ტყეებს ცეცხლი წაუკიდეს. დამფრთხალი ცხოველები გაეშურენ გამოქვაბულებისაკენ, სადაც მათ უსათუოდ სიკვდილი მოელოდა. ის, რაც ერთი შეხედვით ფანტასტიური ჩვენება გვგონია, ემყარება სწორ მეცნიერულ დასკვნებს. ძვლების შეგროვება ერთ ადგილას მათი განაწილება, [illegible] ეს ამტკიცებს, რომ რაღაც შიშმა მორეკა [illegible] ეს ცხოველები გამოქვაბულებში. ტყეებში დარჩენილ მხეცებს ადამიანი უკვე ქვის იარაღით ებრძოდა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

გვაქვს თუ არა უფლება სოცდაზღვევის უზრუნველყოფაზე დაზღვეულებთან თანაბრად

კითხვა

ჩვენ ხუთი უმუშევრები შრომის ბირჟის მიერ მოწვეული ვართ საზოგადო სამუშაოებში.

გთხოვთ განმარტებას გვაქვს თუ არა უფლება სოცდაზღვევის უზრუნველყოფაზე დაზღვეულებთან თანაბრად.

ხელს აწერს **ხუთი მუშა.**

პასუხი

თანახმად ს. ს. რ. კ. შრომის სახკომატთან არსებულ სოციალ. დაზღვევის უმაღ. საბჭოს დადგენილება № 91 908-ის მუხ. 8-ი საზოგადო სამუშაოებში მოწვეულ უმუშევრებ[illegible] მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ უფლება დაზღვეულებთან თანაბრად სოცდაზღვევის უზრუნველყოფაზე, თუ კი მათ საზოგადო სამუშაოებზე გაგზავნამდე ჰქონდათ უფლება უმუშევრობის გამო დახმარების მიღებაზე.

მაქვს თუ არა უფლება მივიღო ბავშვის საკვებ რძის ფული

კითხვა

ჩემი ქმარი მსახურობს რკინისგზაზე, არის კავშირის წევრი და დაზღვეული. თვითონ ცხოვრობს თბილისში ერთ პატარა ნესტიან ოთახში (16 კვად. არშინი). მე ვცხოვრობ უბინობის გამო სოფელში ბავშვებით. ქმარი შეძლების და გვარად გვინახულობს. ამ უკანასკნელ შვიდი თვის წინეთ შემეძინა ბავშვი. ბავშვის საკვები რძის ფული დღემდე ვერ მივიღია.

გთხოვთ განმარტებას, მომეცემა თუ არა მე ასეთი და საიდან.

გლეხის ქალი—მაია.

პასუხი

თანახმად საკავშირო სახკომთა რესპუბ. ცაკის 1926 წ. 14 მაისის დადგენილებისა, (იხ. გაზ. „ზარია ვოსტოკა" 1926 წ. 11 ივნისის № 1198) ბავშვის შეძენის გამო ერთდროული დახმარების და მის საკვები რძის ფულის შესახებ მოთხოვნა უნდა წარგედგინათ ადგილობრივ დამზღვევ სალაროს ან პუნქტისთვის არა უგვიანეს ექვსი თვისა ბავშვის დაბადებიდან. ვინაიდან თქვენ ეს ვადა გამოგიშვიათ, თქვენ აღნიშნული დახმარებანი არ მოგეცემათ საერთო წესით. თქვენ გაქვთ მხოლოდ უფლება მიმართოთ ამის შესახებ საქართვ. რესპუბლ. სოცდაზღვევის სამმართველოს, რომელსაც აქვს უფლება განსაკუთრებული ვადის გასვლის შემდეგაც გასცეს ზემოხსენებული დახმარებები.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვმსახურობ რ.-გ. გადატვირთ-გადმოტვირთვის საქმეზე „ზაკპოგრუზის" განყოფილებაში; ვცხოვრობ განაპირა უბანში ჩერქეზიშვილის ქუჩა № 127. მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 40 კვ. არშინი; ვარ კავშირის წევრი (წიგ. № 3167) ჯამაგირს ვღებულობ მე-11 ხარისხით 75 მ. ოთახი ნესტიანია, კუხნა არა აქვს. სახლის პატრონი მთხოვს 10 მანეთს. მე კი ამის მიცემის შეძლება არა მაქვს.

გთხოვთ განმიმარტოთ, თუ რამდენი მეკუთვნის ბინის ქირა?

ბეგლარ **ს. ჯღენტი.**

პასუხი

თითოეულ კვადრატ არშინზე იხდით რვა კაპ.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატი წინადადებას აძლევს ქვემო მოხსენებულ უფროსთა შემადგენლობის პირთ, რომლებიც იმყოფებიან გრძელვადიან შვებულებაში ან მუშურ-გლეხურ წითელ არმიის თადარიგში, რათა იხილნი გამოცხადდნენ თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატში ჯორჯიაშვილის ქ. № 8, (ყოფ. ბარიათინის ქ.) სამხედრო-სააღრიცხვო ბილეთებით დილის 9 საათზე ქვემო აღნიშნულ დღეებში:

24 ივნისს უნდა გამოცხადდენ:

სტეფანოვი მიხეილ მიხეილის ძე, პაპოვი მიხეილ ფილიპეს ძე, საფრანოვი ვასილ ვასილის ძე, გრიშინი ვასილ სიმონის ძე, მარგოლინი დავით აბრამის ძე, რეტკოზუბოვი ნიკოლოზ ეფრემის ძე, არაბაჯიანი შავარშ ნიკიტის ძე, სტურუა დომენტი დიმიტრის ძე, მურუსიძე იოკიმე ალექსის ძე, ფიცხელაური რომან სოფრომის ძე, მირიანაშვილი დავით ესტატეს ძე, ბერეკაშვილი აკაკი იზმაილის ძე, აღნიაშვილი გიორგი რომანის ძე, ადუაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე, შიუკაშვილი მიხეილ მიხეილის ძე, ზარძმაშვილი გიორგი ვასილის ძე, სვანიძე ივანე ვასილის ძე, ჩიკვეტაძე აკაკი გიორგის ძე, ჩხობაძე გედეონ სოლომონის ძე, გურბელაძე გიორგი მიხეილის ძე, მაჭავარიანი კონსტანტინე გიორგის ძე, ცაგარელი გიორგი სოლომონის ძე, იმერლიშვილი არჩილ ილიას ძე, ჯიბლაძე სერგო ფილიპეს ძე, კავზინაძე ილია მიხეილის ძე, ოსიპოვი ივანე პავლეს ძე, ნოსოვი სერგო ივანეს ძე, კოტლაროვი ვიქტორ მიხეილის ძე, შევრიუგი გრიგოლ ლუკას ძე, კავირიაგიბი ივანე ანდრიას ძე, ზონკონი მიხეილ ანდრიას ძე, შინოკ რუდოლფ ადამის ძე, ნიკიტენკო კონსტანტინე მიხეილის ძე, პუჩკოვი ვასილ ნიკოლოზის ძე, ვინეცკი ფიოდორ ალექსანდრის ძე, შევცოვი იოსებ პავლეს ძე, შტეინფიქელი გერმან ემანუილის ძე, ვასილიევი პავლე ვასილის ძე, ზალუშინი ივანე კლიმენტის ძე, პლოტკინი ისაკი იაკობის ძე, ანტონოვი სერგო ფილიპეს ძე, ნავოდჩენკოვი სიმონ გრიგოლის ძე, ტოლმაჩევი კუზმა გრიგოლის ძე, ფიოდოროვი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, დუდკო ნიკოლოზ სერგოს ძე, ალექსანდროვი არკადი პეტრეს ძე, ზაიცევი ევგენი ვასილის ძე, შუმოვი ალექსანდრე ვასილის ძე, სკოლზიევი ბორის ტრიფონის ძე, პოდლუჟნი ვასილ ივანეს ძე, რუმიანცევი ვასილ იაკობის ძე, ასსანოვიჩი ივანე იოსების ძე, ტოდორსკი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, სოკოლოვი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, ბულაევი ალექსანდრე პავლეს ძე, მიხაილოვი ფიოდორ მიხეილის ძე, კოვშიკოვი კონსტანტინე ფიოდორის ძე, კარპენკო ვარსანოფიერემის ძე, ანტონოვი ალექსანდრე იაკობის ძე, პოკროვსკი ანდრია მიხეილის ძე, ფიზერვი მოისეი სოლომონის ძე, იაკოვლევი ნიკოლოზ პავლეს ძე, ლისენკო სიმონ [illegible] ძე, პავშენცევი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ბური ვასილ სიმონის ძე, კონიუსოვი გაბრ[illegible] ფიოდორის ძე, ანისენკო პავლე ფილიპეს ძე, ნედოსპასოვი ევგენი ვასილის ძე, პანოვი ივანე აფანასის ძე, პეტროვი სტეფანე პეტრეს ძე, კრემინსკი პავლე სპირიდონის ძე, დერჟავინი კონსტანტინე სეველის ძე, რიაშენცევი გიორგი ანტონის ძე.

25 ივნისს უნდა გამოცხადდენ:

კიზენკო პეტრე ვასილის ძე, ივანოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, სიდოროვი მიხეილ ფოკას ძე, მოისეევი გრიგოლ ვლადიმირის ძე, კრავცევი ივანე ნიკოლოზის ძე, მისოხაროვი ლექსი ივანის ძე, სავინ გუსი ვლადიმერი დავითის ძე, კუტიტევი სერგო მიხეილის ძე, სლივიცკი დიმიტრი სიმონის ძე, მუხინი კონსტანტინე მაკარის ძე, ნიკოლაევი ვიქტორი ივანეს ძე, პაპოვი სერგო პეტრეს ძე, დადიანი ვასილ კონსტანტინეს ძე, კარპოვი სერგო ივანეს ძე, სტაროსელსკი მიხეილ იულიანის ძე, ნეიკოვი დომენტი ივანეს ძე, ვანეციანი გურგენ ქრისტეფორეს ძე, ოგანოვი არკადი იოსების ძე, კუზმინი ვასილ ვაილის ძე, ბაბახანიდი ქრისტეფორე ფეოკლიტის ძე, იანოვიჩი ვლადიმერ ალექსი ივანეს ძე, სავინ გუსი ვლადიმერი დავითის ძე, კუტიტევი სერგო მიხეილის კუზმინი ვასილ ვაილიევის ძე, ბაბახანიდი ქრისტეს ძე, უიდკოვსკი ევგენი იოსების ძე, ბაბახანიდი ირკლი ფერკლიტის ძე, პაპოვი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, სამსონოვი დავით ალექსანდრეს ძე, ნოსენკო მიხეილ გრიგოლის ძე, შლიგინი ივანე ალექსანდრეს ძე, შმიდტი გიორგი ლეონტის ძე, ბოჩაროვი ფიოდორ ფიოდორის ძე, პილიკინი ვენიამინ ფილიპეს ძე, კრაკოვი ვიკენტი ანდრეის ძე, ბაბანოვი ევგენი არკადის ძე, კრიუნი პეტრე სტანისლავის ძე, უსკოვი ნიკოლოზ ივანეს ძე, პაპოვი პავლე ვასილის ძე, ბალაბევი ალექსანდრე ფიოდორის ძე, მარუსინი ვასილი ივანეს ძე, ოხრიცი ივანე ალექსის ძე, ივანოვი ბორის ანდრიას ძე, ვოინაროვსკი ალექსანდრე ანტონის ძე, სერბინოვსკი პეტრე მირონის ძე, ოგურცოვი აკიმ ნიკონორის ძე, ჟურავლევი ნიკოლოზ ტიმოთეს ძე, ბონდაროვი პეტრე ზაქარიას ძე, მარკოვსკი დიმიტრი ივანეს ძე, ლატიშევი პავლე ფიოდორის ძე, დომანტოვიჩი ანატოლი ნიკოლოზის ძე, სერგეევი გიორგი მიხეილის ძე, ვოლიანსკი იოსებ პავლეს ძე, ბაევი სერგო ალექსანდრეს ძე, გლაზკოვი ნიკოლოზ პავლეს ძე, სოლოვიევი იური ნიკოლოზის ძე, დინნიკი ვლადიმერ იაკობის ძე, არისტოვსკი მიხეილ ვიქტორის ძე, როხსკი ბორის სტეფანეს ძე, ოანილოვი პავლე გრიგოლის ძე, ლოზიცკი მიხეილ ზაქარიას ძე, გოსენეცკი კონსტანტინე მიხეილის ძე, მიტრიაევი სერგო ივანეს ძე, ნეკლიუდოვი ვასილ ალექსის ძე, კუდინოვი ივანე გაბრიელის ძე, ლარიონოვი მათე ვლადიმერის ძე, ბოროზდინი დიმიტრი მათეს ძე, ბეკკერი ედუარდ ანტონის ძე, ოვსიანნიკოვი ვიქტორ ვასილის ძე, შევჩენკო ნიკოლოზ პიმენის ძე, კალინინი ნიკოლოზ გუგოვის ძე, ფიდოროვი დიმიტრი მიხეილის ძე, ზეკარევიჩი ევგენი ემილიანის ძე, პოტებნია ბორის გიორგის ძე, ნეუმოვი ნიკოლოზ იაკობის ძე.

26 ივნისს უნდა გამოცხადდენ:

გალანოვი სტეფანე კუზმას ძე, ერმოლოვი სერგო გრიგოლის ძე, ბაკურსკი სერგო მიხეილის ძე, ნიკულინი ივანე ივანეს ძე, პროსკურინი ილია ევგენის ძე, სმირნოვი ალექსი ათანასის ძე, მაზალსკი იგნატი მიხეილის ძე, რუდენკო ბორის ტიხონის ძე, ოზეროვი გრიგოლ ალექსანდრეს ძე, მაჭავარიანი ერმოლოზ ქრისტეფორეს ძე, როინიშვილი დავით იოსების ძე, ბუაჩიძე იასონ ბესარიონის ძე, ჩიგოგიძე გრიგოლ ალექსანდრეს ძე, მიქელაძე ზაქარია პლატონის ძე, ქავთარაძე გრიგოლ დიმიტრის ძე, ჭანკვეტაძე შალვა ილიას ძე, იოსელიანი იროდიონ საჩინის ძე, კახეთელიძე ვიქტორ ალექსანდრეს ძე, რჩეულიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე, ოქროპირიძე სოლომონ მიხეილის ძე, სიმონია ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, ოსიპოვი ანდრია ანდრიას ძე, მოსესოვი რუბენ ნაუმის ძე, ანთაძე სამსონ იოსების ძე, ივანოვი ანატოლ ვასილის ძე, მირიმანოვი ივანე იოსების ძე, ბოროდინი ანდრია კონსტანტინეს ძე, სტრელეცკი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, სმოლსკი ევგენი ფერდინანდის ძე, ციკლაური ნიკოლოზ ევგენის ძე, ჟურული ალექსანდრე ილიას ძე, მესხელი ვასილ პეტრეს ძე, ამაშუკელი ალექსანდრე ჯავასეევის ძე, მებუკე გიორგი ნიკოლოზის ძე, კარგარეთელი სერგო დიმიტრის ძე, ნაცვლიშვილი ლევან გიორგის ძე, ზუბენკო გრიგოლ ნიკოლოზის ძე, ამირშაგოვი მესროპ ალექსანდრეს ძე, იაკუბოვი სერგო ვიკენტის ძე, ვოლჩანეცკი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ლევჩენკო პავლე პავლეს ძე, შენგელია ალექსანდრე სამსონის ძე, სუშილნიკოვი ბორის ფიოდორის ძე, ალადაძე დიმიტრი სოფრომის ძე, ულენტი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, თუმანიშვილი დიმიტრი გრიგოლის ძე, სალოვი კონსტანტინე ივანეს ძე, ზარაძე ვასილ მურზაკოვის ძე, ებრაელიძე დიმიტრი სიმონის ძე, გეგელია ბისმარკ ალექსანდრეს ძე, ლეევსტამი მიხეილ მიხეილის ძე, კურცხალია მიხეილ დავითის ძე, დოლინინი ვალერიან ფიოდორის ძე, დადიანი შალვა ნიკოლოზის ძე, მდივანი სიმონ ბესარიონის ძე, პალასინსკი ამბროსი ადამის ძე, ლაზარენკო ბორის ივანეს ძე, მადატოვი გიორგი ალექსანდრეს ძე, კალინინი ვლადიმერ პეტრეს ძე, ლევკოვიჩი გლებ აპოლონის ძე, ტერეშვილი ზაალ ივანეს ძე, ჩოპიკაშვილი მიხეილ ვასილის ძე.

უფროსთა შემადგენლობის ის პირნი, რომელნიც არ გამოცხადდებიან ზემო ნაჩვენებ დღეებში, მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ გამოწვეულ იქნებიან მილიციის საშუალებით.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარი
საყვარელიძე.
თ-ნაშემწე ფანჯავიძე.
სამობილიზაციო ნაწილის უფროსი სიდამონერისთავი.

(დასასრული ხვალ)

---

*) გაგრძელება, იხ. „კომუნისტი" № 137.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— შაბათს, 19 ივნისს ამა წ. საღამოს 5 საათზე საქ. რემედას-ის ცენტრალურ კომიტეტის ბინაზე კომინტერნის ქუჩა № 5, **შესდგება რემედას-ის ც. კ. და ტ. კ.-ას მორიგი სხდომა.**

დასწრება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხ. ამხ. სავალდებულოა.

ასრიბეკოვი, მ. ჩოდრიშვილი, ჯიჯაძე, მუშიშვილი, იმედაძე, მეგრელიძე, გუდავაძე, ნაცვლიშვილი, მუმლაძე, არაზაშვილი, პელიძე, კიზირია, ნუცუბიძე, ალიხანოვი, ხახანოვი და შარაშიძე.

საქ. რემედას-ის ც. კ.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომ. უჯრედთა ბიურო იტყობინება ცალკე უჯრედების წევრთა საყურადღებოთ, რომ დღეს, 19 ივნისს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია კომ. პარტიის და კომ. კავშირის უჯრედების არაჩვეულებრივი სასწრაფო კრება.

დასწრება ყველა ამხანაგებისათვის სავალდებულოა.

— ცეკას საოლ. ქ/განყ. სთხოვს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს: ვალერიან მაღრაძეს, ივანე ბურდულს და სიმონ ზაზგაძეს გამოცხადდენ ცეკაში ორი დღის განმავლობაში ოთახი № 14.

საოლ. ქ/განყ. მდივანი—შავლიაშვილი.

გაუბედურებული მშობლები: კირილე პავლეს ძე რუხაძე, ეკატერინე, (კატო) გაბრიელის ასული რუხაძისა [illegible] მარგარიტა, პეტია და შალიკოთი, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს მათთვის უძვირფასესის [illegible] თბილისის მე-9 შრომის სკოლის ახლად კურს დამთავრებულ

ალექსანდრა (საშურა) კირილეს ასულ
რუხაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 20 ივნისს, კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე. წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარი გამოსვენებული იქნება: არსენალის გზატკეცილი სახლი № 18. 2856

უსაზღვროდ დამწუხრებული ბებია ალათი ბიძები აპალონ, კოწია, ნეოფიტე და პროკოფი ბიცოლები ელისაბედ, ანიჩკა და ნადია, მამიდა ვერა და ქმარი მისი ნიფონტი არველაძეები, შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარი თბილისის მე-9 შრ. სკოლის ახლად კურს დამთავრებული

ალექსანდრა (საშურა) კირილეს ასულ
რუხაძის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება მოხდება 20 ივნისს, დღით კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ არსენალის გზატკეცილი, სახლი № 18. 2856

აკაკი პავლეს ძე რუხაძე და მარო (ნატაშა) რუხაძისა შვილებით ელეონორა და ჟულიეტათი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს საყვარელი ძმისწულთა თბილისის მე-9 შრომის სკოლის ახლად კურს დამთავრებული

ალექსანდრა (საშურა) კირილეს ასულ
რუხაძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება 20 ივნისს, კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ არსენალის გზატკეცილი სახლი № 18. 2856

ბიძები: ისიხი, კაპიტონ და კოლია, ბიცოლები: დომნა და მარო სამსონიები, ივანე და თეკლე ურუშაძეები, სანდრო (ალექსანდრე) და სარა სურგულაძეები, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის თბ. 9 შრომის სკოლაში ახლად კურს დამთავრებულის

საშურა (ალექსანდრა) კირილეს ასულ
რუხაძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 20 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარი გამოსვენებული იქნება არსენალის გზატკეცილი სახლი № 18. 2856

შვილები პეტრე ცოლშვილით და ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი

ვასილ იოსების ძე თოფურიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთში კვირას, 20 ივნისს. ნ. 1451

შაბათს 19 ივნისს ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე საღამოს 5 საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ერთი წლის აღსანიშნავათ უსაყვარლესი

სევერიან უარამანისძე მახარაძის

რასაც მისი გულდამწვარი ღრმად დამწუხრებული ცოლი ანეტა, შვილი მიშა და დედა დესპინე მახარაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს 2852

საზაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
საზაფხულო
აპოლო
(არტოს ბაღში, პლეხ. № 105).
სოლეი
ნ. 1375 0—15

ასტა ნილსენის და ალფრედ აბელი სურათში
„ქალი ცეცხლში"
საუკეთესო სურათი
„სიკვდილზე უსწრაფესი"
(ტრიუკების მეფე) მთავარ როლებში: გარრი პილი და ულამაზესი ქალი მერი ხოლმი
ვინც კინოს ბილეთს შეიძენს, ბაღში უფასოდ შედის. კინოს შენობა გადახურულია, სეანსები ყოველდღე მიდის
სეზონის საუკეთესო სურათი ფერნ ანდრის მონაწილეობ.
„სიცოცხლის და სიყვარულის ტალღები"
განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს
ანონსი: ამ დღეებში „მეცხრე ზვირთი"

ორშაბათიდან
21
ივნისიდან
კინო-თეატრებში
საზაფხულო
აპოლო
(პლეხ. № 105, ბაღი)
„არტო"
საზაფხულო
ეთერი
სოლეი
ერთდროულად

სახელმწიფო
კინო
მრეწველობის
ახალი
სურათი

მეცხრე
ზვირთი
მხატვრული კინო-სურათი 7 ნაწილად.
მთავარი მომქმედნი პირები
ზოია ნევინსკაია, ტატიანა ვიშნევსკაია, მარია ტენაზი, პერე ვიშნევსკი, მიშა გელოვანი, ელენა ჩარსკაია, გრ. გომაროვი, იაკობ კრუჩინინი, იან ბურსკი, იოსებ თარხანოვი.
რეჟისორი: ვ. გ. ბარსკი
ოპერატორი: ა. ი. პოლიკევიჩი
ნ. 4454

სახელმწიფო ოპერის თეატრი
კვირას, 20 ივნისს 1926 წ.,
გაიმართება კონცერტი 3 განყ.
კომპოზ. კოტე მეღვინეთ-უხუცესის
(ევოლიუცია ქართული სიმღერებისა)
პროგრამაში შედის მთავარი ადგილები ქართული ორიგინალური ოპერებიდან: „დაისი", „აბესალომ და ეთერი", მუს. ფალიაშვილის: „თქმულება შოთა რუსთაველზე", მუს. არაყიშვილის და „ამირანი" (ახალი ქართული ორიგინალური ოპერა კომპ. კ. მეღვინეთ-უხუცესის).
მონაწილეობენ: 1. სახ. ოპ. მსახიობნი: გაბაშიძე, მრავალი, მაყაშვილი, ვენაძე, ქუმსიაშვილი, ლორთქიფანიძე, 2. ლენინგრადის აკად. სტუდიის თამ. მეღვინეთ-უხუცესი, 3. ხორეოგრაფიული ქართული სტუდია მირიმანოვა-კლეისტისა.
როიალთან და გარმონიუმთან: სახ. ოპ. ლოტბარი ა. მელიქ-ფაშაევი და კომპოზ. კ. მეღვინეთ-უხუცესი.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილ. 11—3 და საღ. 6—9 ს. დასაწყისი საღ. 8 ს. ნ. 1439 3—1

საქართ. ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება
კონსერვატორიის დარბაზში
შაბათს 19 ივნისს
სიმფონიური კონცერტი
ახალგაზრდა კომპოზიტორთა ნაწარმოებთაგან
(ანბანით) ვანო გოკიელი, გრ. კილაძე. შ. თაქთაქიშვილი ი. ტუსკია. მონაწილეობენ: (ანბანით) სახ. ოპერის არტ. დ. ანდღულაძე, ვენაძე, ს. გაბაშიძე, ვახტანგ ნეიმანი, ზ. სვანიძე, გ. თაქთაქიშვილი
რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვანო ფალიაშვილის ხელმძღვანელობით
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე
ბილეთები 50 კ.—3 მანეთ. კონსერვატორიის სალაროში დღით 11—2 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ, დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
იფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.
2215 3—1

საჯარო ვაჭრობა
27 ივნისს დღის 12 საათზედ სახალხო მამულთა ტრესტი გაჰყიდის მიმდინარე წლის
ხილის და სუფრის ყურძნის (ალექსანდრიის მუსკატი)
მოსავალს
პირობების გაგება შეიძლება სავაჭრო დარგში—ლუნაჩარსკის ქუჩა (ყოფ. ევანგულოვისა) № 2. ნ. 1414. 3—1

კვირას, 20 ივნისს, დილის 11 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში დანიშნულია ამავე სახლის წევრთა
საერთო კრება
დღის წესრიგი:
1. მოხსენება სახლის გამგეობის მუშაობის შესახებ,
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება,
3. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

2857. კავშირის ც.გ. კულტგანყ. გამგე ფანცულაია.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი **ნესტორ იზორია**

ამით აცხადებს, რომ 22 ივნისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 43 კომუნალური ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ხალილ აზიზ ოღლის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილებას შეფასებულს 71 მანეთად, მამედ ფატალი ოღლის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 11 ივნისის 1926 წ. თარიღით, № 3396, გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. 2863

ს.მ.უ.ს.
ტყავეულობის ტრესტი
აცხადებს, რომ ტრესტის გამგეობის ბინაზე
(კომუნალური ქ. № 82)
1926 წლის 3 ივლისს, დღის 12 საათზე
შესდგება
საჯარო ვაჭრობა
ქეჩისა და ტყავის ქარხნის შენობათა ასაგებათ სამუშაოთა იჯარით გაცემაზე.

ვაჭრობა წერილობითია. იმ დაწესებულებებსა და პირებს, რომლებსაც სურთ მონაწილეობის მიღება საჯარო ვაჭრობაში, ვალდებული არიან პირადათ შემოიტანონ ან ფოსტით გადმოგზავნონ დახურულ კონვერტებში განცხადება, რომელსაც თან დართული უნდა ჰქონდეს განცხადებული თანხის 5 პროც. ნაღდათ ან სათანადო საბუთით (ქვითარი).

სამუშაოთა ტეხნიკური პირობების, მუშაობის წარმოების გეგმის და ხელშეკრულების საერთო პირობებთან გაცნობა შეიძლება ყოველდღე ტრესტის კანცელარიაში 12-დან—3 საათამდე.

ნ. 1455. ტრესტის გამგეობა.

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8.
პლეხანოვის პროსპექტი, № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.
537 25—12

ცხენთსაშენის განყოფილება
აცხადებს, რომ 20 ივნისს, დილის 11 საათ. ქარხნის საჯინიბოში (ელისაბედის ქ. № 198) საჯარო ვაჭრობით გაიყიდება
ერთი მუშა—ცხენი.
ნ. 1453

საქართველოს ს.ს.რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი

ბალანსი

1926 წ. 1-ლ ივნისისათვის.

აქტივი.

1. კასა და სახელდახელო ანგ-შები	124.081—86
2. საფასენი	70.882—13
3. საქონელი	297.697—33
4. განაღდება და სპეც. სახელდახ. ანგ. თამას.	239.727—32
5. სესხები საქონლის დაგირავებით	950.870—37
6. სამიზნო სესხები	3.342.012—41
7. კორესპონდენტები	347.376—10
8. კლიენტები და კომიტენტები საქონლის ოპერაციები და სხვადასხვა პირნი	1.191.569—99
9. მონაწილეობა წარმოებაში	491.131—00
10. ანგარიში განყოფილებასთან	1.324.345—09
11. ანგ. ცენტრ. სას.-სამ. ბანკთან	26.999—56
12. გაპროტესტებული თამასუქები და საეჭვო ვალები	145.461—62
13. პროცენტები და კომისია დარიცხული და გადახდილი	107.659—16
14. მიმდინარე ხარჯები	109.023—34
სხვადასხვა აქტივი	202.669—91
ბალანსი .	8.971.507—19

პასივი.

1. ძირითადი კაპიტალი	1.531.796—70
2. სხვა კაპიტალი	83.490—33
3. სპეც. თანხ. სამიზნო კრედიტ.	1.394.787—48
4. სესხები	2.633.198—00
5. განაღდება და გადაგირავება	283.576—77
6. ანაბარები და სახელდ. ანგარიშები	191.112—01
7. კორესპონდენტები	77.386—97
8. კლიენტები და კომიტენტები საქონლის ოპერაც. სხვადასხვა პირნი	788.900—29
9. ანგარიში გამგეობასთან	1.592 907—00
10. სარგებელი და კომისია მიღებული და დარიცხული და სხვა შემოსავალი	308 690—87
11. სხვადასხვა პასივი	85.660—77
ბალანსი .	8.971.507—77

საქართველოს სას.-სამ. ბანკის გამგეობა **ი. ანდრონიკაშვილი, ი. მენაბდე.**

ნ. 1452

მთ. ბუხჰალტერის მაგ. **გრიგორაშვილი.**

ექიმი
მებრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.
25—2

თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82.
25—1 ქვ. 2356

დავკარგე წიგნაკი № 6297 განათლების მუშაკთა კავშირიდან მიღებულ აგრაფინა მასიკოს ასული ცინცაძის სახელზე, ჩ. გ. 2855

დავკარგე პირადობის მოწმობა, არტემა არუთინოვის სახელზე ჩ. გ. 2854

დავკარგე პირადობის მოწმობა სოლომონ ბეჟარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2861

დავკარგე ხეზე-მომუშავეთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 1195 ლავრენტი ბიჭიასძე თელიას სახელზე, ჩ. გ. 2860

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 420, ბარბალე ბათიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2862

დავკარგე პასპორტი სიმონ სარქისასძე ფირუმოვის სახელზე, ჩ. გ. 2859

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68